# არილი

№17 (162) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 7 დეკემბერ

ფასი 50 თეთრ

## წესრიგსა და ავანტიურას შორის

სლავომირ მროჟეკი

1134/
2000/2

#17

2000



# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე




ეროვნული ბიბლიოთეკა

**№17 ხუთშაბათი, 7 დეკემბერი, 2000**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ

**ლიტერატურა**

ანდრო ბუაჩიძე
სიმართლის თქმა დიაგნოზის დასმის ტოლფასია......1

რევაზ სირაძე
"ვზა" და "ლაბირინთი"......2

ნოდარ კაკაბაძე
სიურეალისტური კაპრიჩო იუდა ისკარიოტელის, მოცარტის, გოეთეს და კიდევ სხვათა მონაწილეობით... ......6

ბესო ხვედელიძე
ფრრრრრ... „RECYCLE BIN-ში მოძიებული" ......10

ნანა ექვთიმიშვილი
კონიუნქტივი გერმანულად ......17

იმირ მამედლი
ლექსები......19

თინიკო ხუტურიძე
ლექსები......21

იამზე გაგუა
"მსუბუქი სიყვარულის ხალისიანი მომღერალი"......23

პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი
ჰეროიდები ......24

ხულიო კორტასარი
ედგარ პოს ცხოვრება......34

**პერსონა**

სლავომირ მროჟეკი
ჩემი ავტობიოგრაფია......27

სლავომირ მროჟეკი
მოთხრობები......31

**პუბლიცისტიკა**

ზაალ დგებუაძე
"...სხვათა დღესასწაულზე..." ......37

ზაზა მოდემიძე
რატიანის ჯიბის ჰაერი......39

ანდრო ბუაჩიძე

# სიმართლის თქმა დიაგნოზის დასმის ტოლფასია

1. როგორ დაახასიათებდით პოსტსაბჭოთა პერიოდს ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით, რა მოიპოვა ლიტერატურამ და რა აბრკოლებს მას.
2. როგორ წარმოგიდგენიათ ლიტერატურული ცხოვრების პერსპექტიული ფორმები.
3. რას ფიქრობთ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე.
4. უკანასკნელ წლებში საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი თაობა გამოჩნდა (პოლიტიკოსები, მეწარმეები, მწერლები). რა აზრის ხართ მასზე.
5. როგორ წარმოგიდგენიათ ლიტერატურის როლი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში.
6. თქვენი აზრით, როგორი იქნება 21-ე საუკუნის საქართველო და ქართული ლიტერატურა.

1. კომუნისტური იმპერიის ეპიცენტრი რუსეთი იყო, იქ თამაშდებოდა მთავარი ბატალიები, რაც გამოძახილს სხვა მასშტაბით "პერიფერიებში" ჰპოვებდა. იგივე ლიტერატურული ცხოვრების ავ-კარგი რუსეთის მაგალითზე ძალიან რელიეფურად, მე ვიტყოდი, სახოვნად გამომჟღავნდა. სინამდვილე თითქოს თვითონვე ქმნიდა მეტაფორებს. მე ძალიან მომწონს ერთი შემთხვევა, რომლის შესახებაც "პერესტროიკის" პერიოდის პრესაში ამოვიკითხე. პატარა სუფრას უსხედან რუსი მწერლები. არაყს სვამენ და შებოლილ თევზს აყოლებენ. მათ შორის არიან მაქსიმ გორკი და ანდრეი პლატონოვი. ეს ორი სახელი თითქოს ორ სხვადასხვა სამყაროს ეკუთვნის, არადა, ერთად უსხედან სუფრას, საუბრობენ. გორკი - ოფიციოზის წარმომადგენელია, სახელოვანი მწერალია, "კრიტიკული რეალისტია", მას ერთმა კალმოსანმა "პლანეტარული ადამიანიც" კი უწოდა. პლატონოვი თუმცა ნიჭიერი, მაგრამ საეჭვო რეპუტაციის "ლიტერატორია", საეჭვოა მისი ხელწერა, ცხოვრების სტილი და, რაც მთავარია, რომანი სახელწოდებით "ჩევენგური". და აი, სუფრასთან გორკი სწორედ ამ რომანზე საუბრობს. ეს ნაწარმოები, რა თქმა უნდა, იმხანად არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ხელიდან ხელში გადადიოდა და კითხულობდნენ. რუსული ლიტერატურის მეტრი არსებითი ხასიათის შენიშვნებს გამოთქვამს. ის ფაქტობრივად იწუნებს "ჩევენგურს" და პლატონოვს ხარვეზებზე მიუთითებს. გადამწყვეტ სიტყვას გორკი ამბობს. პლატონოვი დუმს. გორკის ტოტალიტარულმა რეჟიმმა მიანიჭა მეტრის უფლებამოსილება. პლატონოვი მთელი თავისი არსებით - მსოფლმხედველობით და სტილისტიკით ტოტალიტარიზმის ანტიპოდია. XX საუკუნის ბოლოს რომ გაშლილიყო ეს სუფრა ანდრეი პლატონოვი ილაპარაკებდა, მაქსიმ გორკი კი ალბათ დაბნეული აიჩეჩავდა მხრებს: "ჩევენგური" მსოფლიო ლიტერატურის კლასიკად იქცა. პოსტსაბჭოთა პერიოდმა, უპირველეს ყოვლისა, შეფასების სწორი კრიტერიუმები აღადგინა.

პოსტსაბჭოთა პერიოდმა დაგვანახა, რომ, "ჯაყოს ხიზნები" და "კვაჭი კვაჭანტირაძე" წინასწარმეტყველური ნაწარმოებები იყო. ბევრი რამ ასრულდა ამ ნაწარმოებებში განჭვრეტილიდან. XX საუკუნეში საქართველოს ჰყავდა პროზაიკოსი, რომლითაც ნებისმიერი ღრმა ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანა იამაყებდა.

ჩვენშიც იგივე მდგომარეობა იყო: მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნები" მართალია გამოქვეყნდა, მაგრამ მის გამოქვეყნებას მძლავრი უკურეაქცია მოჰყვა. საერთოდ ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ამ მწერლის დაპატიმრების და წამების საბაბად ბერიას წინააღმდეგ წარმოთქმული ესა თუ ის ცალკეული ფრაზ იქცა. ამ ფაქტის უარყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მაგრამ, ჩემი აზრით, საფუძველთა საფუძველი სხვა რამ არის: მიხეილ ჯავახიშვილი იმ მწერალთაგანი იყო, რომელსაც არანორმალურად სწყუროდა სიმართლის თქმა და ამბობდა კიდეც. მას არ აშინებდა ფარული სინამდვილის მახინჯი და შემზარავი სახის გამოვლენა. ამ სინამდვილემ კი საბოლოოდ დაადასტურა მწერლის უცდომელობა, როცა ასევე შემზარავად იძია მასზე შური.

პოსტსაბჭოთა პერიოდმა დაგვანახა, რომ, "ჯაყოს ხიზნები" და "კვაჭი კვაჭანტირაძე" წინასწარმეტყველური ნაწარმოებები იყო. ბევრი რამ ასრულდა ამ ნაწარმოებებში განჭვრეტილიდან. XX საუკუნეში საქართველოს ჰყავდა პროზაიკოსი, რომლითაც ნებისმიერი ღრმა ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანა იამაყებდა.

ყოველივე ამის დაუნახაობა აბრკოლებს ლიტერატურის განვითარებას.

2. ლიტერატურული ცხოვრება ნიჭიერი მწერლების თანაარსებობაა. ისინი ერთმანეთს ამდიდრებენ და საერთო დონეს კარნახობენ. თვით ყველაზე უფრო გამორჩეული და ორიგინალური ინდივიდები გარკვეულ ლიტერატურულ გარემოში ყალიბდებიან. ძნელი წარმოსადგენია ამგვარ გარემოს აბსოლუტურად მოწყვეტილი მწერალი.

20-იან და 30-იან წლებში საქართველოში მაღალი ლიტერატურული დონის ცხოვრება იყო. 24-25 წლებში ახლადდაარსებულ ჟურნალ "მნათობში" გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსები (100 ლექსი ერთ ნომერში), გრიგოლ რობაქიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გერონტი ქიქოძის ნაწარმოებები. ასეთ საერთო დონეს ყოველთვის ინატრებდა კაცი.

3. რა თქმა უნდა, მწერალმა უნდა იფიქროს საქართველოს ორიენტაციის საკითხზე, მაგრამ მხოლოდ ფიქრი არაფრის მაქნისია. ვთქვათ, ხმამაღლა განვაცხადეთ, რომ ვართ ევროპელები, შევძლებთ კი დღევანდელი ჩვენი ზნეობრივი და ინტელექტუალური დონით ევროპელობას?

ქართველმა კაცმა უნდა დაძლიოს მზაკვრობა, მესაკუთრული ინსტინქტები, ბოღმა, კლანური მსოფლგაგება, ეგოიზმი, პროვინციალიზმი, მუცელღმერთობა, ბელადომანია, ყოვლად უსაფუძვლო ქედმაღლობა და ათასი სხვა რამ, ვიდრე სასურველი ორიენტაციის არჩევანზე მიდგებოდეს საქმე. მწერალი კი უნდა წერდეს ყოველივე ამის შესახებ, ოღონდ უნდა წერდეს სიმართლეს, ვინაიდან სიმართლის თქმა, ამ შემთხვევაში, დიაგნოზის

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასმის ტოლფასია. მკითხველის მაამებლობა არ არის საჭირო.

4. ბოლო დროს სხვადასხვა სფეროში მართლაც ბევრი საინტერესო და ნიჭიერი კაცი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ნამდვილ სარგებლობას თავის ქვეყანას მხოლოდ ის ადამიანი მოუტანს, ვინც ბუნებით შემოქმედია და სულიერი ან მატერიალური ღირებულების შექმნა შეუძლია. დროშების ფრიალის და რიტორიკის დრო წავიდა. არაერთხელ თქმულა: საქართველოს სჭირდება პროფესიონალები.

პროფესიონალმა ქართველმა მწერალმა კარგად უნდა იცოდეს ქართული ენა. წარმოუდგენელია ქართველი მწერალი (თუმცა დღეს ვხვდებით ახალთაობაში ასეთებს), რომელიც უარყოფს ქართულ კულტურას და ანტიქართულად არის განწყობილი. ქართული კულტურის თავი და თავი ქართული ენაა, ყოველივე ამის უარმყოფელი მწერალი კი ცხადია თავის თავსაც უარყოფს. სამწუხაროა, რომ ასეთი ტრივიალურ ჭეშმარიტებათა შეხსენება გვიხდება. საერთოდ, ანტიქართული განწყობილება ცალკეულ პიროვნებებში სნობიზმის და პროვინციალიზმის შერწყმამ განაპირობა. ნამდვილად ნიჭიერ ადამიანებს ეს საფრთხე არ ემუქრება.

**სახელმწიფოს მაღალზნეობრივი ადამიანები ქმნიან. ქურდები, მომხვეჭელები, მესაკუთრეები სახელმწიფოს ვერ შექმნიან. მაღალი ზნეობის ადამიანებს კი მაღალმხატვრული, ცხოვრების განმჭვრეტი ლიტერატურა აყალიბებს.**

მეორე დიდი ნაკლი მწერალ – ახალთაობელთა ერთი ჯგუფისა, ყოველად უაზრო პრაგმატიზმია. ჩემთვის პირადად სასაცილოა პოეტი, რომელიც "დიპლომატით" ხელში სწრაფად მიქრის ქუჩაში. ასეთზე ნამდვილად ვერ იტყვი გალაკტიონის სიტყვებს: "მოდის მეოცნებე გაუსწორებელი".

5. ავანგარდიზმის თუნდაც უკიდურესი გამოვლენა მხატვრულ ნაწარმოებში არ ცვლის მწერლობის არსს. მწერალი, თუნდაც ავანგარდისტი, უნდა ხედავდეს იმას, რაც ჩვეულებრივი თვალისთვის დაფარულია და მიუწვდომელი. მწერალი ზედაპირულ მოვლენებს მიღმა უნდა ჭვრეტდეს სინამდვილეს და შეულამაზებლად ალბეჭდავდეს მას. ამას ვეძახი მე სიმართლის თქმას. ასეთი მწერალია ბორხესი. ის თავისი ფარული ციტატების და ალუზიების მიღმა ამქვეყნიური ცხოვრების ფარულ საშინელებას ხედავს. ბორხესი ყველგან ცხოვრებაზე ლაპარაკობს – რთული, მაგრამ ძალზე ნათელი და მკაფიო სტილისტიკით. არსებობს სირთულე და არსებობს სირთულის ილუზია, რომელსაც ხელოვნურად შეკოწიწებული ბუნდოვანება ქმნის. ბორხესი რთული მწერალია.

სახელმწიფოს მაღალზნეობრივი ადამიანები ქმნიან. ქურდები, მომხვეჭელები, მესაკუთრეები სახელმწიფოს ვერ შექმნიან. მაღალი ზნეობის ადამიანებს კი მაღალმხატვრული, ცხოვრების განმჭვრეტი ლიტერატურა აყალიბებს.

6. პროგნოზები არ მიყვარს. ახალი, 21-ე საუკუნის დადგომა ქვეყანას ვერ შეცვლის. საჭიროა უფრო ღრმა და ძირეული ცვლილებები. ლიტერატურა კი ისეთი იქნება, როგორიც იქნება თვითონ ქვეყანა, ან პირიქით.

რევაზ სირაძე

# "გზა" და "ლაბირინთი"

## დ. გურამიშვილის ცხოვრების გზა

*"ახლა რა ვქნა?! სად წავიდე?!*
*გზა შემექმნა დახლართული,*
*ქარი ქრის და, აფრაგაშლით*
*ვარ ხომალდით ზღვას შერთული".*

"დავითიანი"

"მე ვარ გზაი, მე ვარ ჭეშმარიტებაი
და ცხოვრებაი"

*(იოანე, 14,6).*



"დავითიანში" ჩანს ყოფითი ცხოვრების გზაც და სულიერიც. აბსურდული იყო დავით გურამიშვილის ცხოვრების მთელი გზა. ეს აბსურდის გზა იწყებოდა ლამისყანაში, მისი შეპყრობით... შემდეგ ტყვეობა დაღესტანში (სოფ.ოსოქოლოს ხაროში)... მერეა გზა ედილით (მდ. ვოლგით) მოსკოვისაკენ, შემდეგ სვლა რუსის ჯარის საომარ გზებზე...

დასრულდა ეს გზა უკრაინის ქ. მირგოროდთან. აქ დასრულდა ეს გზაც და აქვე "გურამოვის" გვარით აღესრულა გორისუბნელი (საგურამოელი) კახთათავადი, დავით გურამიშვილი. ეს გზა წაიშალა და შემორჩა მხოლოდ "დავითიანში", ვითარცა ოდენ მიმსგავსებული რამ, იმიტაცია, პოეტური "გარდასახვა", მაგრამ ნამდვილ რეალობასთან შედარებით დამცრობილი, მისი "მულაჟი" ("სიმულაკრი"). შემდეგაც, გვიან, საგურამოსა და, მეტადრე, მცხეთის გახსენებისას, დ. გურამიშვილს შეეძლო შეეგრძნო გზათა თვით ეროვნული მნიშვნელობა: იქ, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, იკვეთებოდა საქართველოს ორი მთავარი ვექტორი, ორი მთავარი გზა: დასავლეთ-აღმოსავლეთისა (მტკვრის ხეობაში) და სამხრეთ-ჩრდილოეთისა (არაგვის ხეობაში). და ეს ქმნიდა საქართველოს გეოგრაფიის ჯვარსახოვნებას. მაგრამ გზებმა ისტორიული აზრი დაკარგა. და ეს იყო თავისებური პოსტისტორიზმი, ისტორიის "აზრიდან დაცლა". წაიშალა ისიც, რომ ესა თუ ის გზა რაღაცის პარადიგმა ანუ სანიმუშო რამ ყოფილიყო. ამას მაშინ არ გამოუწვევია დამკვიდრება პოსტ-პარადიგმული აზროვნებისა, ანუ მოშლა ყველა სანიმუშო სახე-სიმბოლოებისა. მაშასადამე, პოსტ-პარადიგმული თვალთახედვა ასე თუ ისე ითვალისწინებს წინარე პარადიგმების არსებობას.

"დავითიანში" პოეზია არ ამაღლებს ყოფითო-

ბას, პირიქით, ამდაბლებს წარმავლობას, ხოლო წარუვა-ლი და თავისთავად ამაღლებული კი აქ ქრისტიანული კრძალვითაა ("პიეტეტითაა") ხილული ზეაპყრობილი მზე-რით.

"დავიანთში" ორი გზაა: სულიერი გზა და ყოფითი გზა. სულიერი გზა დ. გურამიშვილისათვის დავით ფსალ-მუნთმგალობელთან თანაზიარებაა. ცხადია, ესაა მაცხოვ-რის გზაც. დავით ფსალმუნთმგალობელი არის დ. გურა-მიშვილის მეორე პოეტური "მე", მისი ალტერ-ეგო. "და-ვითიანის" პოეტური პირველნიმუშია (პარადიგმაა) "და-ვითნი", ანუ "ფსალმუნნი". "დავითნი" განმსაზღვრელია "დავითიანის" ლირიკული ნიაღსვლისა. "ღმერთო, მისმი-ნე დავითის (ანუ ფსალმუნთმეტყველის) საგალობელიო", - წერდა გურამიშვილი ("ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენიება"). დ. გურამიშვილს სურს იმ დავითისმიერი სიტყვებით ავედროს ღმერთს საკუთარი სულის მოხსენი-ება.

დღეს თუ დაიკარგა ფსალმუნურ სულიერ გზათა შეგ-რძნება, თუ ეს იქცა მხოლოდ წარსულად, და იქცა გა-მოფიტულ სიმულაკრად, ვეღარც "დავითიანის" სულიერ გზათა შეგრძნება შეგვრჩება და ვეღარც "გალობანი სი-ნანულისა" და საერთოდ, მთელი ფსალმუნური ლირიკა, იქნება ეს "ფსალმუნი" გრ. ორბელიანისა, ნ. ბარათაშვი-ლის "ჩემი ლოცვა" თუ აკაკის "ქებათა-ქება", ან ვაჟას მთელი ის ლირიკა, ორმლის წინამორბედად თვითონ ვა-ჟა "დავითიანის" ავტორს მიიჩნევდა.

დრომ მოიტანა და, ჩვენ ყოველივე ამას დიდად დავ-შორდით, თანაც ამის გამო სევდაც-კი არ ჩნდება-ხოლმე, როგორც ეს, მაგალითად, ნ. ბარათაშვილთან ხდება რწმენის დაკარგვის გამო ("ვპოვე ტაძარი"). დ. გურამიშ-ვილთანაც მსგავსი განცდაა:

*"დაუჰკარგე იგი ოქროს ბეჭედი,*
*რომლით ნიშნულ არს ჩემი შეყრადი",*
*აწ მექცევიან ვან(ნ)ი გებადი,*
*მე, საუკუნო განსვენებადი".*

აქ ასეთი რამ არის: რწმენის ბეჭდის დაკარგვით და-იქცევა დ. გურამიშვილის წილი ქვეყანა, ამქვეყნიურობაც და საუკუნო განსასვენებელიც.

"დავითიანი" დ. გურამიშვილის სულიერი ბიოგრაფი-აცაა და ხორციელიც. "დავითიანი" თვითშემეცნების წიგ-ნია. იგი იწყება და მთავრდება დ. გურამიშვილით. "და-ვითიანი" მისი "შვილია", სულიერი შვილი:

*"მე, უშვილომ ეს ობოლი მძლივ გავზარდე დიდი ჭირით"*
*(23,10).*

*"ყოველი წული მშობელთა მსგავსი, მსგავს ემსგავსებიან"*
*(29,15).*

ასეა "ამ წიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადებაში", რომელიც ხელნაწერში კრებულის ბო-ლოსაა და ამასვე ეხმიანება "დავითიანის" პირველი წიგ-ნის "თავი შესავალი": "ქართველთ უფალთა მეგვარტომო-ბის იგავი".

"დავითიანი" კრებულია, პოლიჟანრული კრებული: აქაა ისტორიული ნაწილი ("ქართლის ჭირი" და სხვა), დიდაქტიკური ლექსები, ბუკოლიკურ-პასტორალური (მწყემსთა ყოფის ამსახველი) პოემა "ქაცვია მწყემსი", მაგ-რამ მთავარია რელიგიური ლირიკა. "დავითიანი" მთლი-ანობაცაა, და მის მთლიანობას ქმნის სულიერი ნაკადი და ესაა სწორედ ავტორის სულის პოეტური გარდასახ-ვა. ეს მისი სულიერი გზაა.

დ. გურამიშვილის ცხოვრებისეულ, აბსურდულ, უაზ-რო გზას საზრისს ანიჭებს "დავითიანი". კითხვას: რომე-ლი გზაა? - "დავითიანი" ცვლის კითხვით - რისი გზაა? - როგორც ესაა "ეკლესიასტეში" დროის მიმართ: რა დროა? - ეს კი არაა მთავარი, არამედ - "რისი დროა?" (რისი ჟამია?).

გალაკტიონი წერდა: "გზები გაუვალი და გზები გავ-ლილი - გულისტკივილით მაქვს ყველა შესწავლილი. ად-ის მწვერვალზე, თუ ჭაობში ეფლობა, - ერთი ნიშანი აქვს დაუსრულებლობა". "დავითიანი" სულიერებით მაღ-ლდება მისივე ავტორის ცხოვრების გზებზე. ეს გზები გადაკვეთს დროსა და სივრცეს და იქმნება დრო-სივრ-ცული (ქრონოტოპული) მთლიანობა. დ. გურამიშვილი ხშირად მოიხმობს-ხოლმე ღვთისმშობელს, რათა იხსნას იგი "ადგილთა სატანჯველთაგან".

"დავითიანში" შეუცნობელია თვით ხილული გზებიც და მეტადრე, უხილავი გზები. თითქოსდა, ყოველივე მათ-განზე ვრცელდება ევანგელური აზრი: შეუცნობელნი არ-იან გზანი უფლისანი (რომ.,11,33).

დ. გურამიშვილის სახეა წიგნი - "დავითიანი". ისაა მისი "მომგონებელი" და ამას ეხმიანება მისივე ნუხილი: "მომხსენებელი არ მრჩების, მიშფოთებს, ეს მაღონებსა... ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მომიგონებ-საო" (29,16). წიგნით უნდა აღსრულდეს მისი ვედრება ღვთისადმი: "გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო" (73).

ეს სიტყვები ღვთისადმია მიმართული, მაგრამ შემთხ-ვევითი არაა (და გასაგები აზრით, კარგიცაა) ის ცდო-მილება, რომ მათ უკავშირებდნენ სამშობლოს (სამშობ-ლო-სამოთხე).

დ. გურამიშვილის ყოფითი ცხოვრება იყო ლაბირინ-თი, არა ამისი ანტიკური გაგებით, არამედ პოსტმოდერ-ნისტული აზრით: აბსურდული ცხოვრება და აბსურდუ-ლი ლაბირინთი, დ. გურამიშვილი თავისი ცხოვრებით ჩარჩა იმ ლაბირინთში, მაგრამ მას თავი დააღწია "და-ვითიანმა". მან, ე.ი. მისმა სულმა, სულმა ჩამოაღწია სა-ქართველოში, ხორციელად კი იქ, მირგოროდში განისვე-ნებს ("საფლავის ქვაზე დასაწერად" ასეთი სიტყვები და-უტოვებია: "ხორცით აქ ვლპები, აწ ჩემი სული, არა ვი-ცი რა, სად არს მისული").

საქართველოს დ. გურამიშვილი გადაურჩინა წიგნმა.

1787 წელს მირიან ბატონიშვილი, ძე ერეკლე II-ისა, უკრაინაში მიემგზავრებოდა ქ. კრემენჩუკს, ფელდმარშალ პოტიომკინთან მოსალაპარაკებლად გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატთან დაკავშირებით. გზა მირგოროდზე გა-დიოდა. უფლისწულმა გაიგო, რომ აქ ცხოვრობდა პო-რუჩიკი თავადი გურამოვი. ეს იყო დ. გურამიშვილი. სწორედ ამ დროისთვის შეუვსია და განუსრულებია თა-ვისი ავტოგრაფიული კრებული, თუმცა ზოგიერთი ხარ-ვეზიც დარჩენია. კრებულის ბოლოს ჩაურთავს წყლის ას-ამაღლებლისა და წისქვილის ნახაზი, რაც, ეტყობა, ძალ-ზე მოსწონდა, იმდენი რამის შესრულებას მიაწერდა ამ გამოგონებას... თანაც დასძენდა: რაც ჩამონათვალიდან



ვერ გაიგონ, "საიდუმლოდ მკითხონო". საერთოდ, ძალზე ასაიდუმლოებს ამ პროექტს, რომელიც მალაროსიისთვის ჰქონია გამიზნული.

მირიან ბატონიშვილმა წამო-ილო "დავითიანი"; გზაში კინა-ღამ დაუკარგავთ. მერეც დიდ-ხანს ცნობილი ვერ გამხდარა, თუმცა XIX ს-ის დასაწყისში რამდენიმე პირი გადაუწუს-ხავთ.

"დავითიანი" საქართვე-

ლოში ცნობილი ხდება მაშინ, როცა დ. გურამიშვილის ეპოქა დამთავრდა. მას ადრე ეხება მარი ბროსე (1838 წ.). პირველად 1870 წელს დაიბეჭდა, თუმცა მანამდე ნაწყვეტები გამოქვეყნდა "ცისკარში" (1852 წ.).

ჩნდება ალბათობრივი აზრი: დ. გურამიშვილის დროს საქართველოში ძალზე მძლავრობდა სპარსოფილობა ან ბესიკური ლირიკა. და მას რომ საქართველოში ეცხოვრა, იქნება, დიდწილად თბილისურ პოეტურ ჭამბარს გასჯიბრებოდა და არასასურველი წარმატებებისთვისაც მიეღწია.



თუკი დაიწერება, ალბათ, საინტერესო იქნება "დავითიანის" მკითხველის ისტორია. უმბერტო ეკოს კვალობაზე თუ ვიტყვით, "დავითიანი" ქმნის თავის მკითხველს, მაგრამ მკითხველიც ქმნის თავის "დავითიანს". სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მკითხველის მიერ ეს სხვადასხვაგვარად ხდება-ხოლმე. "დავითიანის" შინაარსი ნამდვილდება მკითხველში, ნებისმიერ საინტერესო მკითხველში. არსებითად, რაც მკითხველში ჩნდება, ისაა "დავითიანი".

დ. გურამიშვილმა თავისი თავი "დავითიანის" პერსონაჟად გამოიყვანა. ესაა ჩვენება საკუთარი თავგადასავალისა. დ. გურამიშვილის შინაგანი სულიერი სამყარო ჩანს თითქმის ყველა რელიგიურ ლექსში. და ასეა მაშინაც - კი, როცა ამა თუ იმ ნაწარმოებში სხვაა ლირიკული სუბიექტი ანუ სათქმელი მიეწერება სხვას: მაცხოვარს, დავით ფსალმუნთმგალობელს, ან ღვთისმშობელს.

"დავითიანში" დ. გურამიშვილი წარმოდგენილია არა კერძოობითი ბიოგრაფიით, არამედ განზოგადებული სახით, საჩვენებლად იმისა, თუ რა გადახდებოდა ხოლმე თავს ქართველ კაცს იმ ეპოქაში. დ. გურამიშვილის ცხოვრება ამისი ტრაგიკული და თან აბსურდული გამოხატულებაა.

დ. გურამიშვილი თითქოსდა გარედან უყურებს თავის ყოფით თავგადასავალს. მასში ჩნდება სხვა, მაღალსულიერი სუბიექტი, რომელიც სიკეთის თვალთახედვით აღიქვამს თავისთავზევე დატრიალებულ ძნელბედობას და ამას საკუთარი ცოდვილიანობით ხსნის. თანაც ამას კარგი იუმორი ახლავს.

ძალზე თავისებურია დ. გურამიშვილის თვითირონია. თვითირონია ხან რალაცნაირად შეფარულია, შინაგანია, არადა, გარეგნულად, თითქოსდა, ლაღად გამოთქმულია. ირონიულია მოძალებულ ფიქრთა პარადოქსული ურთიერთმონაცვლეობა:

*"მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე, გორისუბანსა,*
*ჯავრობას ჩვენი ქალ-რძალი იცვამდნენ არ ავს ჯუბასა,*
*მუნით გამტყორცნა საწუთრომ, გარდამაცილა ყუბანსა,*
*ვაი, რა კარგად მოვხთქმევდი, მეტყოდეს ვინმე თუ ბანსა".*

*(72)*

აქ სხვა მომენტებთან ერთად ჩანს ერთი რამ: დ. გურამიშვილი თითქოს თავისთავს მთლიანად ღირსად არც-კი თვლის საკუთარი ცოდვილიანობის შეგრძნებისას და ამასაც-კი ერთგვარ ირონიას ახლებს; ამგვარადვე უნდა აიხსნას, ცოდვის ტირილის ჟამს რომ ვიღაცის ბანს მოელის. ესაა ირონია მასზე, ვისაც არ ძალუძს გულწრფელად თქვას თავისი გალობანი სინანულისანი.

ლამისყანაში შეიპყრეს (1727 წ.) მკის დროს მუშებთან მისული ირტოზის გორით შემოპარულმა თხუთმეტმა ლეკმა და სოფ. ოსოქოლოში მიიყვანეს. ხაროში მჯდომი კაცის ვედრება ჩანს ღვთისადმი მის ლოცვაში: "ბნელსა ვზივარ, გეაჯები, სასინათლ[illegible] ტო, ამოვსძრე და გამოვი[illegible] და შენა გვჭრიტო" (73). "მომიყვანეს არა ღირსთა ღირსეულად მიმსახურეს, ...უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდლად დამაშურეს. გავეპარე, დამიჭირეს, რად წახველო დამპანღურეს" (72). "ხელმეორედ გავიპარეო, რაკი ვპოვე ჟამო, დრონი".

აქ რეალური და წარმოსახვითი ერთმანეთს ერწყმის. ასეა ლექსში "სიზმარი", საცა მას ეუწყა ტყვეობიდან გაქცევა. მანამდეა: "სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს წასვლაზე მზად ყოფნისა". აქ პოეტი ცდილობს, რომ თავისი უბედურება გადააქციოს ზოგად საფიქრალად: კაცი უნდა მზად იყოს შორს გადასაკარგავადო. თუმცა ეს იწყება რალაც თამაშისმაგვარი სილაღით: "რა ვარგონია, მგონია, ეს სიტყვა გასაგონია; ბალ-წალკოტისა მოქმედთა ვარდი დათესონ, რგონ ია. თუ სნეულებას უფრთხოდე, ქამე, სვი, შესარგონია". შემდეგ "თამაში" ასე შემობრუნდება: "უქმედ ბევრისა მჭამელი გაუმაძღარი ღორია; ყურმძიმე, ლაფში ჩაფლული, ზანტი, ულონო ჯორია". (79). ყოველივე ეს არ ჰგავს ტყვეობაში მყოფი კაცის ნაფიქრალს. ესეც ალბათ თვითირონიაა, პაროდირებაა ასეთი ფიქრებისა.

ერთი ლექსი - "ტყვეობითგან გაპარვა დავითისა" ასე იწყება: "გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს ღვარი". შემდეგ ნათქვამია: "დღისით წინამძღვრად მზე მყვანდის, ღამით ვუჭვრეტდი მთვარესა, მივენდე შვიდთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა, ღამით შიშველ მთას მივადექ შუვა დაღესტნის არესა". ღამით გზას ელვა მინათებდაო, დღისით ჯაგნარსა და გამოქვაბულებში ვიმალებოდიო.

ასეთ ძნელბედობის ჟამსაც-კი, ან, თუნდაც, ამის მოგონებისას. დ. გურამიშვილს სულ ახლავს იუმორი. იუმორი იგრძნობა არა მხოლოდ მოვლენათა აღწერისას, არამედ თვით აღწერის საკუთარი სტილის მიმართაც, კერძოდ, საგანგებოდ გადაჭარბებული დეტალიზაციის მიმართ:

*"თუმც არ მჭამა მე პური თბილ-თავჯა ჯავახურია,*
*არ მესვა ღვინო კახური, არ ვიყავ ნაბახურია;*
*ათი დღის მშიერს მოშვრთვა სადილი საკვეხურია,*
*მოუწევარი კვინჩხი და მჭვახე მე კოწახურია".*

*(89).*

კიდევ უფრო იუმორისტული იქნებოდა, სერიოზულად რომ ენატრა იქ "თბილ-თავჯა" ჯავახური პური და კახური, თანაც როცა თითქოს აქვს "სადილი საკვეხურია". კვინჩხი და კოწახური. ამ ნატვრა-ოცნებებს ცვლის რეალობა, რომლითაც "სარუსეთოში" შესვლა აღინიშნა: მოულოდნელად წააწყდა ორ კიტრსა და საზამთროს ნატეხს. მოულოდნელობამ "კარგი ცხოვრება" მოანდომა და მათი გარეცხვა გადაწყვიტა. ქავლმა გამოსტაცა ისინი და იმდენი სდია, კინაღამ წყალში დაიძირა. ღვთის საყვედურიც-კი წამოსცდენია: "თუ მომეც, რაღად წამართვი, აწ ასე რად გავიწირეო". "თუ არ გინდოდა ჩემთვისა, რად დამხვდა გამზადებულიო?!" მალე გონს მოეგო და სინანული მოეძალა და სალვთო სათნოებით აღვსილი ისეთი ტირადა წარმოთქვა, რომლის მცოდნეს მით უფრო არ ეპატიება სულმდაბლობა. ალბათ, ესეც თვითმხილებაა, წარმოჩენაა საკუთარი გაორებისა: დაეჭვებაა, თუ ვინაა ის, ღვთის მოსაყვედურეა თუ მისი სათნომყოფელი?

ბოლოს ყაზახ-რუსებს გადაჰყრია, როცა ქალ-კაცნი

კალოს ლეწავდნენ. ყელზე ჯვრები უჩანდათ. დ. გურამიშვილი პირჯვრის წერით ემთხვია მათ ჯვარს. მაშინ ერთმანეთს უთხრესო - "დაი ხლებაო, ლაზარი!" (ხომ არ ხდება ამ საკუთარი სახელით შეხმიანება ახალდატყვევებული დავითის ღვთისადმი ვედრებასთან: "ვით ლაზარეს დამარხულსა "აღდექ"-თავსა დამძახეო?!". (73).

ასე გადარჩა დ. გურამიშვილი. ამას მოჰყვება მაღალფსიქოლოგიური შინაარსით გამსჭვალული იშვიათი სტრიქონი:

*"ამ სიხარულმან დამშალა ჯაერით შეკრული კონაო"*

*(93).*

ასეთი მაღალმხატვრული სტრიქონი იშვიათია მთელს "ქართლის ჭირში", თუ არ ჩავთვლით ჩვენს მიერ ეპიგრაფად მოხმობილ სტრიქონებს.

დ. გურამიშვილი გადაურჩენიათ რუსებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ამ დროს დააქციეს საქართველო.

დ. გურამიშვილი იგონებს:

*"როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მამიარაო,*
*როცა მე მყვანდა, მიყლიდა მეტს მამაჩუმი არაო".*

ნავით საყდართან მიუყვანიათ და იქ ულოცია. მერე ასტრახანის გავლით მოსკოვს ჩასულა. აქ მოსკოვის ახლოს სოფ. ვსეხსვიატსკოეში ქართველები სახლობდნენ: აქ იყო სამეფო კარი, კარის ეკლესიით, იყვნენ დიდებულები, სამღვდელოება, მსახურები, აქ ისმოდა ქართული ენა, ყველაფერი იყო ქართული, მაგრამ არ იყო საქართველო, იყო ცივი და შორეული რუსეთი. ეს მინიატურული საქართველო დამცრობილი საქართველოს უბედურებას გამოხატავდა.

აქ დ. გურამიშვილს პატივი დასდეს და, ჯაბადარბაშობა (იარაღის მეთვალყურის) თანამდებობა ("სახელო") უბოძეს. იმასაც ამბობენ, რომ დ. გურამიშვილი აქ ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაებაო. თვითონ უფრო ობივატელურად გამოხატავს თავის განცდებს: "კარგი იყო აღდგომასა მეფეთაგან მეჯლიშობა, ზმა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა". ეტყობა, სამშობლოდაკარგულ სამეფო კარს არ ეთმობოდა დროსტარება. ეტყობა, სურდათ მხიარულებაში ჩაეხშოთ პატრიოტული სევდა (ცნობილი იდეით: "თუ ასე ვიმხიარულებთ, რას დაგვაკლებს მტერიო"). თვით დ. გურამიშვილი თავის მონაწილეობას აქაურ "ლიტერატურულ საქმიანობაში" ასე გადმოგვცემს:

*"ჯავახიშვილს გამილექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა,*
*პირად მჭლესა, ტანად ხმელსა ვით ნუჟრიანს ხესა მრუდსა.*
*რაც მე ვუთხრა, მას მაახნდის ვით ნაცეც ხლი უკან კუდსა,*
*ბევრჯელ ის, იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა"*

ეს ნატურალისტური სურათი აქაური საშაირო "შერკინების" მაინცდამაინც მაღალ დონეს ვერ წარმოაჩენს.

ამის შემდეგ ბევრი რამ აღარ ჩანს. რაც ჩანს, მასში დ. გურამიშვილის მონაწილეობა არ იყო მნიშვნელოვანი.

გავიდა დრო. 1737 წელს გარდაიცვალა ვახტანგ VI, რომელიც ასე დაიტირა დ. გურამიშვილმა: "ვაი რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო! ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო". ამით დ. გურამიშვილისათვის დასრულდა ყოველგვარი პერსპექტივა ეროვნულ საქმეებში მონაწილეობისა.

დაიწყო სულ ახალი გზა, კიდევ უფრო გაურკვეველი და კიდევ უფრო აბსურდული. პიროვნული ცხოვრებით იგი აღარ ეკუთვნის საქართველოსა და, აღბათ, არც თავის თავს. იგი ეკუთვნოდა რუსის ჯარს, ჯერ არა-ეროვნული "ქართული" ფორმით - იგი ჩაეწერა ქართველ ჰუსართა პოლკში. მერე იბრძვის რუსეთის რამდენიმე ომში, მაგალითად, პრუსიელების წინააღმდეგ. თითქოს პირად სიხარულს გამოხატავსო, ისე ამბობს: "ორმოცჩვიდმეტს ბრუსის კაროლს შევურყიეთ ტახტის სვეტიო". ამ ბრძოლისას იგი ჩავარდა ტყვედ და ერთხანს ჰყავდათ მაგდებურგის ციხეში.



დ. გურამიშვილი საოცრად აქებს რუსეთის იმდროინდელ იმპერატრიცას ანას - "ანა ხელმწიფე, რუსეთზე გამამწდომარე, ბრძენ, უხვი, მართალ-მოწყალე, სამართალ დაუცდომარე". ასეთი ღირსეული მეფის წარმოდგენამ რუსთაველის ფანტაზია მოითხოვა (როსტევანის სახით), აქ-კი იგი რეალობაშია დანახული.

ამ დროს ხდება ერთი საინტერესო რამ: დ. გურამიშვილი რომ პრუსიის მეფის დამარცხებით ამაყობს, იმ ხანად დიდი ფილოსოფოსი კენისბერგელი ემანუილ კანტი კენისბერგში იმპერატრიცა ანას წარმომადგენელს თხოვნის წერილით მიმართავს, რომ როგორმე ნება დართონ უნივერსიტეტში ლექციების კითხვისა და ამ წერილშიც მოულოდნელი მაღალფარდოვანი ქებაა ანა იმპერატრიცასი. შემონახულია ეს წერილიც და ნებართვის საბუთებიც. ცხადია, არვინ იცოდა, თუ ვინ იყო კანტი, არც იმპერატრიცამ და არც მისმა ჩინოვნიკმა, დ. გურამიშვილმა კი ისიც არ იცოდა, თუ რატომ ხარობდა პრუსიის დაცემით.

მაგდებურგის ციხის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ დ. გურამიშვილი აგრძელებს თავის შინაგანი სულიერი ცხოვრების გამოხატვას, რაც მოცემულია მრავალ რელიგიურ ლექსში. აქაც რამდენჯერმე გაკრთება - ხოლმე ზოგიერთი ბიოგრაფიული მომენტი: საცხოვრებლის დაკარგვა პრუსიაში ტყვეობისას, ანდა, თუ რეალობის ანარეკლად ჩავთვლით, ზუბოვკელ ქალთან შეხვედრა, ან "მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდითო". თუმცა ამ ლექსებში კონკრეტულ ცხოვრებისეულ რეალიებზე მეტად წარმოდგენილია რელიგიური სიმბოლიკა და ესაა მთავარი.

მთელი მესამე წიგნი "დავითიანისა" უმეტესწილად სოფლის სამდურავია. თავგადასავალი აღარც კი ჩანს, თითქოსდა, უკვე დამთავრდა პირადი ცხოვრება და იწყება მხოლოდ მისი გააზრებანი.

მერეა "ქაცვია მწყემსი", რომელიც გამონაგონზე დამყარებული ბუკოლიკური (მწყემსთა ცხოვრების ამსახველი) პოემაა, რაც უკრაინულ სინამდვილეშია გაშლილი, თუმცა მასშიც გაკრთება ისეთი რეალიები, რომლებიც არ შეიძლება უკრაინაში მომხდარიყო და დ. გურამიშვილის ბავშვობას ასახავს: "მით იკლო სწავლამა, ჩვენში ლეკთ დავლამა წიგნი" მოსპოო, - ამას თავის თავზე ამბობს ქაცვია მწყემსის მამა, თუმცა ეს დ. გურამიშვილს შეეხება. ეტყობა, მოხუცებულობაში რომ ადამიანი უბრუნდება თავის ბავშვობას, ეს ხდება აქაც.

"დავითიანის" ბოლოს, ლექსში - "საფლავის ქვაზე დასაწერი" პოეტი იხსენებს, რომ საგვარეულო საფლავი მქონდაო იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის მონასტრებში და ისე მოგვმართავს, რომ თითქოს იმ ქვეყნიდან გვესაუბრებოდეს. ეს ყველაფერი იწერება 1774-1787 წლებში, თუმცა ჩვენ გვაგულისხმებინებს მის გარდაცვალებასაც (1792 წლის 1 აგვისტოს).

ის მარტოდმარტო ცხოვრობს მირგოროდთან, ალბათ, ზუბოვკაში. მას ახსოვს უამრავი ქართული ხალხური ლექსი და ლიტერატურული ნაწარმოებები, მთელი ბიბლია და რელი-

გიური სიმბოლიკა.

საოცრად ახსოვს ქართული ენა. მისთვის ესაა რაღაც ერთიანი, ყოვლისმომცველი სინამდვილე, რომელშიც იგი ცხოვრობს და რომელშიც შედის როგორც ეკლესიაში. ეფრემ ასური (IV ს.) ამ ქვეყნისგან განშორებულსა და ყველაფერს მოკლებულ მეუდაბნოეზე წერდა: ეკლესიად ჰქონდა ენა თვისიო. უკრაინაში დ. გურამიშვილს საქართველო ეცხადებოდა ენით და ამ გამოცხადებას იგი რეალობად აქცევდა "დავითიანში". ქართული სიტყვა "დავითიანის" მთავარი პერსონაჟია.

დასრულდა დ. გურამიშვილის ცხოვრების გზა და დასრულდა "დავითიანი".

ბოლოსაა მისი ავტოპორტრეტი, პრიმიტიულად შესრულებული, მაგრამ სულიერებით აღვსილი და შთამბეჭდავი, თანაც ერთგვარი თვითირონიის შემცველი: გალეული სხეულით, ლოცვა-ვედრებად ზეაღმართული ხელებით და მაღლაპყრობილი მზერით. მისი ტანსაცმელი, მზერა და სიქაჩლე ისეა გამოხატული, თითქოს, ერთგვარად ირონიზებულია თვით ისიც-კი, რომ მას ეცოდება თავისი თავი, რუსის ჯარის ყოფილი პორუჩიკი, შემორჩენილი შავ-წითელი ძველმანი ფორმით და პორუჩიკისავე ბაკენბარდებით. სხეულს თითქოს უჭირს დაეყრდნოს ამქვეყნიურ საყრდენს და თანაც ამასთან კონტრასტსა ქმნის მისივე სხეულის ზეაღსწრაფვა.

ავტოპორტრეტს წამძღვარებული აქვს ლექსი - "ეს კაცი ასე ილოცავს", რომელიც ასე მთავრდება:

*"ყოვლად წმინდაო, დამადევ*
*წყლულ ზედ წამალი ხამთელი,*
*შემაძლებინე აღვანთო*
*მე შენს წინაწე სანთელი".*

ამითვე მთავრდება მთელი "დავითიანიც". ეს ლექსი "დავითიანს" ასრულებს, როგორც საგალობლებს "ღვთისმშობლისანი".

**არილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ კაკაბაძე

# სიურეალისტური კაპრიჩო იუდა ისკარიოტელის, მოცარტის, გოეთეს და კიდევ სხვათა მონაწილეობით...

შეიძლება ჩემი ხედვა, ჩემი ინტერპრეტაცია არ ემთხვეოდეს ავტორის, ლაშა ბუღაძის სუბიექტურ ჩანაფიქრს, მაგრამ მხატვრული ნაწარმოები იმდენი ურთიერთგანსხვავებული წახნაგისა და შრის შემცველია, რომ ბუნებრივი და მოსალოდნელია პარალელური, ზოგჯერ საკმაოდ დაშორებული დანახვის არსებობა.

ძალაუნებურად მახსენდება ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის ერთი პარადოქსი, ავტორი არის საკუთარი ნაწარმოების არა ყველაზე სარწმუნო, სანდო, არამედ ყველაზე საეჭვო ინტერპრეტატორიო.

მხატვრულ ნაწარმოებში თანაარსებობს იმდენი სხვადასხვა პლანი, ნიუანსი, ელფერი, ნაჩრდილევი, ისეთი რთული, მდიდარი სიმბოლიკა - მეტაფორულობა, რომ მისი ერთნიშნა, ცალსახა დახასიათება მის პროფანაციას, გამოშიგვნას და გაღარიბებას ნიშნავს.

მხატვრულ ნაწარმოებს აქვს თავისი შინაგანი "ლოგიკა" და შემოქმედებითი პროცესიც მხოლოდ სუბიექტურ განზრახვას არ ემორჩილება, რაც ავტორს ხშირად გაცნობიერებულიც არა აქვს. ყოველი მხატვრული ნაწარმოები გაცილებით მდიდარი, რთული, შინაგანად წინააღმდეგობრივი, ნაირშრიანი, მრავალასპექტოვანი და მრავალმხრივია, ვიდრე მწერლის თავდაპირველი და საწყისი მიზანდასახულება. ლიტერატურული თხზულება მრავალმნიშვნელოვანებით ხასიათდება, იგი ხშირად ურთიერთსაპირისპირო ელემენტების, ინგრედიენტების, კომპონენტებისა და ტენდენციების დამტევია, ამიტომ ყოველთვის არსებობს მისი "კასტრირებისა" და გაცალმხრივების ხიფათი, როცა ვცდილობთ მისი რომელიმე შრის წინწამოწევასა და გააბსოლუტებას და სხვა წახნაგების მიფუჩეჩებას.

ესეც განასხვავებს ხელოვნებას მეცნიერებისაგან: მეცნიერების, მეცნიერული კვლევის იდეალი ხომ სიზუსტე და ერთმნიშვნელობიანობაა! მხატვრული ლიტერატურის (საერთოდ, ხელოვნების) ერთნიშნა, ცალსახა ფორმულებზე დაყვანა ლიტერატურის პროკრუსტეს საწოლზე გაკვრაა.

ლაშა ბუღაძის "მათთვის, ვინც მოცარტის საფლავის პოვნითაა დაინტერესებული" ("არილი", 8 ივნისი, 2000) საოცრად თანადროული ნაწარმოებია შინაარსითა და ფორმითაც, რის ჩვენებასაც ქვემოთ შევეცდები. ჯერ მიახლოებით გავარკვიოთ ჟანრი, რომელსაც მიეკუთვნება ახალგაზრდა და, ჩემი აზრით, უაღრესად ნიჭიერი ავტორის ეს ნაწარმოები. ეს არც მოთხრობაა, არც ნოველა, არც პროზაული ეტიუდი და არც შორტ სტორი - ამ ჟანრების მკაცრი გაგებით (ამ მხრივ აქ ჩვენი მკითხველი და მე უნდა ვენდოთ ერთმანეთს, თორემ ამ ჟანრების სპეციფიკაზე გამოდევნება ძალიან შორს წაგვიყვანდა). ეს უფრო თავისებური



პროზაულ-დრამატული კაპრიჩოა, რომელიც მცირე ესკიზური პროზისა და დრამატული ნაწარმოების (დრამოლეტის) ერთგვარ "ჰიბრიდს", ფანტაზიის თავისუფალ სიურრეალისტურ-გროტესკულ "თამაშს", "ჭირვეულობას" წარმოადგენს, რომელიც არღვევს ტრადიციული, კლასიკური რეალისტური თხრობისა და წარმოდგინება-ჩვენების თითქმის ყველა კანონსა და ნორმას.

ლაშა ბუღაძის ამ კაპრიჩოში არ მოქმედებს არავითარი დეტერმინირება, არავითარი მიზეზ-შედეგობრივი, კაუზალური კავშირი, არავითარი ფსიქოლოგიზმი (ფსიქოლოგიური მოტივირება) - აქაური "სინამდვილე" ალოგიკური, ირრაციონალური, ქაოტურია. აქ განსხვავებული, ურთიერთშეუსაბამო სიტუაციები და სცენები ენაცვლება ერთმანეთს ყოველგვარი ლოგიკის, სუქცესიის, კონტინუიტეტის გარეშე, პირიქით, აქ შეინიშნება ტრადიციული მკითხველისათვის დამაბნეველი, გამაოგნებელი დისკონტინუიტეტი.

კაპრიჩოში მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან ემპირიულ-რეალურ-მატერიულ-ხილულ-გრძნობად კონკრეტული სინამდვილე და ქვეყანა ფიქციონალური, "შეთხზული", "ტყუილი" ანდა, სულხან-საბას ენით რომ ვთქვათ, "ცრუ", ფანტაზიისმიერი სინამდვილე, ლიტერატურა (საერთოდ, ხელოვნება) თვითონ ქმნის საკუთარ სინამდვილეს და აწესებს თავისსავე კანონებს.

აქ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სიამოვნებით აღვნიშნო ქართულ ლიტერატურაში ახალი ნაკადის შემოდინება, რის შედეგადაც ჩვენს მწერლობაში ახალმა მაცოცხლებელმა სიომ დაუბერა: ესენი არიან ახალგაზრდა, არა-"ნაფიცი", არა-"ოფიციალური" შემოქმედები, რომლებიც მამათა კურთხევისა და დალოცვის გარეშე თამამად შემოვიდნენ ჩვენს ლიტერატურულ გარემოში და თანდათანობით შეძლეს საკუთარი თავის დამკვიდრება; მათ მეტნაკლები რადიკალიზმით (ზოგმა მეტად, ზოგმა ნაკლებად) იწყეს ძველი, აქამდე გაბატონებული ტრადიციებისა და ესთეტიკური ნორმების მსხვრევა. აქ შეიძლება ჩვენი ავტორის, ლაშა ბუღაძის გარდა, დავასახელოთ აკა მორჩილაძე (გიო ახვლედიანი), ზაზა თვარაძე, შოთა იათაშვილი, კოტე ჯანდიერი, ზურაბ და ზაალ სამადაშვილები, დავით გოგიბედაშვილი, ბესო ხვედელიძე და სხვები. ისინი ალბათ მეტნი არიან, მაგრამ ზოგს, სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ, ზოგიც ახლა უცებ არ მახსენდება - ყველას მათ გულწრფელად ვუხდი ბოდიშს!

...ლაშა ბუღაძის კაპრიჩო თავიდან ბოლომდე ჰუმორით, ირონიით, გროტესკულობით, "არასერიოზულობით" და კვაზიმეცნიერული (ვითომც მეცნიერული, მოჩვენებითად მეცნიერული) ტონითაა "დანაღმული", რაც ამ ნაწარმოებს უნიკალური ესთეტიკური "საკაზმის" მომხიბვლელობას, სპეციფიკურ, ზუსტად გამოუთქმელ "გემოს" სძენს. ეს კვაზიმეცნიერულობა, კვაზიმეცნიერული სერიოზულობა მე ნაწილობრივ და, ალბათ, ძალიან შორეულად თომას მანის თამაშეულ აკრიბიასა და სკრუპულოზურობას მომაგონებს, როცა გერმანელი მწერალი ვითომ სამეცნიერო საკითხზე "მსჯელობს". გავიხსენოთ ლაშა ბუღაძის მოჩვენებითად "მეცნიერული" "მსჯელობა" ნაწარმოების თავში რიცხვების სიმბოლურ მნიშვნელობაზე. ეს ავტორისმიერი თომას მანისეული თამაში კვაზიმეცნიერულობით, კვაზისერიოზულობით და ვითომც სიზუსტისაკენ მისწრაფებით, ალბათ, ჩემი ძალიან სუბიექტური დაკვირვებაა და შესაძლოა ამ ანალოგიზირებას ობიექტური საფუძველი არცა ჰქონდეს. ეს არის სწორედ თანამედროვე ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი ირონიულ-პაროდიული, "არასერიოზული", უკეთ, მოჩვენებითად სერიოზული სტილი, რაც ფაქტიურად მაღალფარდოვნების, სტილური გაფუყულობის, მოარქაულო სიტყვებით კეკლუცობის საწინააღმდეგო რეაქციაა.

ამ თაობამ შეიგნო და გაიცნობიერა, რომ XX საუკუნის და განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის ადამიანი არსებითად განსხვავდება გასული საუკუნეების ადამიანისაგან და რადგან შეიცვალა ადამიანი, მისი ცნობიერებაცა და ყოფიერებაც, ამიტომ ადამიანის შეცვლილ ფსიქიკასა და ცნობიერებას ველარ გამოხატავ ძველი, ტრადიციული ენითა და სტილით - ახალი ცნობიერების გადმოცემას ადეკვატური სტილი სჭირდება. ვიცი, ამას ძალიან ბევრი ჩვენში მკრეხელობად ჩამითვლის, მაგრამ რასაც ვფიქრობ, მაინც უნდა ითქვას: აღარ შეიძლება ისე წერა, როგორც ვასილ ბარნოვი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია და ა.შ. წერდნენ. როგორც ჩანს, უფრო "გამძლე" და მომავლის მქონე აღმოჩნდა სტილის სფეროში (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) დავით კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის და ა.შ. ხაზი და მიმართულება. ცხადია, აქ საქმე გვაქვს ზოგ შემთხვევაში დიამეტრულად განსხვავებულ ავტორებთან, - მაგრამ აქ ამჯერად აქცენტირებულია სტილის ემფატურობისა და პათეტიკურობის ლოზირების საკითხი.

გარკვეული გაგებით აუცილებელია კერპების მსხვრევა (თუნდაც უხმაურო, ფარული და არააფიშირებული, რადგან მცირერიცხოვანი ერები ამ მხრივ ძალიან მგრძნობიარენი არიან), თუკი გვინდა თვისობრივად ახალი შეიქმნას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალი თაობის წარმომადგენლები აუცილებლად აღემატებიან ძველი თაობის წარმომადგენლებს - ეს უბრალოდ კალაპოტის შეცვლის, ლიტერატურაში ახალი სტილის, ახალი ფაზის დაწყებას მოასწავებს.

...ლაშა ბუღაძის ჩვენთვის საინტერესო გროტესკულ-სიურრეალისტური კაპრიჩო "მოთავსებულია"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გროტესკულ, ფანტასტიკურ და აბსურდულ "განზომილებებში" - არავითარი ლოგიკური თანმიმდევრობა, "ანტითხრობაში" და "ანტინარმოდგინებაში", თითქმის არავითარი მიმართულება ყოველდღიურ რეალობასთან - თითქოს ეს არის ტიპიური სიზმარეული ხილვა, დაულაგებელი, არათანმიმდევრულსიუჟეტიანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიზმარეული "კადრები". ნაწარმოები შეიძლება თავისებურ პროზაულ-დრამატულ კოლაჟადაც გავიზიაროთ: აქ დაახლოებით 3 ჰეტეროგენული მასალაა თვითნებურად, "ულოგიკოდ" ერთმანეთზე "მიწებებული": 1. იუდა ისკარიოტელი, პილატე, ქრისტე-იუდეა (პალესტინა); 2. მოცარტი, კონსტანცე ვებერი, კონსტანცეს მეორე ქმარი, ბარონი ვან სვიტენი - ვენა; 3. გოეთე, შილერი, ეკერმანი, ჰერცოგი კარლ ავგუსტი, მსახური შლოერი-ვაიმარი. საბოლოოდ ეს ქმნის ორიგინალურ, გონებამახვილურ, ჰუმორულ-კომიკურ, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, სიურრეალისტურ-აბსურდისტულ-გროტესკულ კაპრიჩოს.



ტიპიური გროტესკისგან ლაშა ბუღაძის ეს კაპრიჩო-კოლაჟი იმით განსხვავდება, რომ ტრაგიკული ელემენტი და ტენდენცია აქ არ არის საგანგებოდ გამძაფრებული (კაპრიჩოს შემზარაობის ნიუანსი აკლია და გროტესკი ხომ ჩვეულებრივ ჭარბი (გადაჭარბებული) შემზარაობისა და კომიზმის შერწყმით იქმნება). აქ კომიკური აღემატება ტრაგიკულს.

...ლაშა ბუღაძის კაპრიჩო-კოლაჟისათვის დამახასიათებელია განსხვავებული, დაშორებულ დროთა და სივრცეთა, ანუ ქრონოსისა და ტოპოსის ურთიერთაღრევა და განუსხვავებლობა. აქაა ახალი აღთქმისეული დრო, მოცარტის, სალიერის, კონსტანცე ვებერის, ბარონ ვან სვიტენის და სხვათა მე-18 საუკუნის მინურულის ვენა, სულ ბოლოს დრამატულ ნაწილში გოეთეს, ეკერმანის, ჰერცოგ კარლ ავგუსტის, მსახურ შლოერის და დაუსწრებლად შილერის მე-19 საუკუნის დამდეგის ვაიმარი. ეს დროები და ადგილები ერთმანეთში გადახლართული და შექრილია. დროსა და სივრცეში ურთიერთდაშორებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი "ამბები", "მოქმედება", "ფაქტები", "ხდომილება" "თამაშდება" და ერთმანეთში იხლართება.

მაშასადამე, კაპრიჩოში 3 სიბრტყე, 3 შრე "უწესრიგოდ" "ლაგდება" ერთმანეთზე ანდა იჭრება ერთმანეთში (მსჭვალავს ერთმანეთს). და ყველგან და ყველაფერში და ყველა დროში "მოქმედებს" მუდამ თანაარსებული, თანამყოფი სავსებით გამოგონილი და მთლიანად ფიქციონალური "სისხლიანი მინდორი", რომელიც სამივე დროში და სამივე სივრცეშია ჩართული და რომელიც თითქოს ყველაფრის საბოლოო გაქრობისა და ყველაფრის წარმავლობის სიმბოლოდ გვევლინება.

თითქოს კაპრიჩოში სამჯერვე მეორდება "ხელის დაბანის" მოტივი: პილატემ ხელები დაიბანა ქრისტეს მიმართ, ასევე დაიბანა ხელები კონსტანცე ვებერმა მოცარტის მიმართ და ხელებს იბანს, სამწუხაროდ, შილერის მიმართ გოეთეც...

...თითქოს ლაშა ბუღაძის კაპრიჩო ერთი შეხედვით და გარეგნულად ისტორიული განხრისაა, მაგრამ ისევე, როგორც თანამედროვე ავტორთა უმეტესობას, ქართველ ავტორსაც აბსოლუტურად არ აინტერესებს ისტორიული ავთენტურობა, ისტორიული სიზუსტე და ისტორიულ ნამდვილობასთან თანხვდენა-ადეკვატურობა. ეს აბსოლუტურად არ არის მისი მიზანი.

ლაშა ბუღაძეს, როგორც სუბსტანციურად თანადროულ ავტორს, აბსოლუტურად არ აინტერესებს კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ ლოკალური კოლორიტი და ატმოსფერო. შესაძლოა, ზოგი რამ კაპრიჩოში ისტორიულ ნამდვილობასა და დოკუმენტურობასთან წინააღმდეგობაში არც მოდის, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ავტორს სრულებითაც არ აინტერესებს ეს დოკუმენტური საფუძველი - მისდამი ინდიფერენტულია, ეს ყოველივე ნაწარმოებისათვის ირრელევანტურია, - ავტორისათვის მთავარია ფიქციონალობა. ვიმეორებ, კაპრიჩოში ჩვენს თვალწინაა არა სინამდვილე (Wirklichkeit), არამედ უფრო სინამდვლის მოჩვენებითობა (Schein), არა ემპირია (არა გამოცდილება), არამედ უფრო მირაჟი, ქვეცნობიერი ხატები - აქ არის თითქოს ერთმანეთთან თავისთავად დაუკავშირებელი (მხოლოდ ავტორის მიერ დაკავშირებული) ქვეცნობიერი ხილვანი, ჩვენებანი, ვიზიონები, ფანტასმაგორიები, სიზმარეული შეუსაბამობანი. ასევე ირრელევანტურია ნაწარმოებისათვის მოცარტისა და გოეთეს ბიოგრაფიული მომენტები. ნაწარმოებში ყველა პერსონაჟი ფორმალურად ისტორიულია, მაგრამ არცერთს არა აქვს ისტორიული ავთენტურობა - ყველა მათგანი ავტორის ფანტაზიას ექვემდებარება. აღსანიშნავია, რომ ყველა პერსონაჟი მეტნაკლებად კარიკირებულია (კარიკატურულადაა გადაჭარბებული), ასეა მოცარტის ცოლი კონსტანცე ვებერი, მისი მეორე ქმარი; მოცარტი, მართალია, კაპრიჩოში ცოცხალი აღარ ჩანს, მაგრამ სხვათა სიტყვებსა და ავტორის მეტყველებაში ისიც კარიკირებულია; კარიკატურულ-გროტესკულნი არიან: გოეთე, ეკერმანი, მსახური შლოერი, ჰერცოგი კარლ ავგუსტი; შილერი უშუალოდ არ არის გამოყვანილი "ასპარეზზე", რადგან ის უკვე კაი ხნის მკვდარია, მაგრამ იგი "ილანდება" სტრიქონებს შორის და "ცოცხლდება" მოქმედი პირების სიტყვებში - როგორც მოცარტი, შილერიც, ასე ვთქვათ, ვერბალურ დონეზეა "თანმყოფი" და "აქმყოფი" - სხვაგვარად: მოცარტისა და შილერის სულები და აჩრდილებია საიქიოდან გამოხმობილი.

ასევე არაისტორიულია პალესტინა (იუდეა), ვენა და ვაიმარი... და ყველანი, განსაკუთრებით კაპრიჩოს, ასე ვთქვათ, სამი პროტაგონისტი: მოცარტი, გოეთე და შილერი, რომელთაგან პირველი და მესამე თითქოსდა ფარულად და არავიზუალურად, "თანამონაწილეობენ" და "ცოცხლობენ" მხოლოდ სხვებისა და ავტორის სიტყვებში, დერომანტიზებულნი, დემითოლოგიზებულნი და "დემონუმენტალიზებულნი" არიან. თითქოს ისინი კვარცხლბეკებიდან და კოთურნებიდან ჩამოუქვეითებიათ და ჩამოუყვანიათ და ახლა ისინი ჩვენს წინაშე დგანან "დამიწებულ"-გაადამიანურებულნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, "ფამილიარიზებულნი" და "შინაურად" ქცეულნი - ერთი სიტყვით, აშკარა იდეალიზირების, კერპთაყვანისმცემლობის, აპოლოგიის, გლორიფიცირების და ა.შ. საპირისპირო პროცესი, რაც აგრერიგ ნიშანდობლივია საერთოდ მთელი თანამედროვე ხელოვნებისათვის.

აზრის სიმკვეთრისათვის თუ გადავაჭარბებთ, ჩატარებულია მონუმენტების დემონტაჟი და საინტერესოა, რომ დემონტაჟის შემდეგ ადამიანები უფრო სიმპათიურნი ხდებიან, ვიდრე პედესტალზე შემდგარნი რომ იყვნენ - ისინი თავისუფლდებიან გაქვავებისა და "ვარაყისაგან".

საერთოდ, კაპრიჩოში არიან არა გმირები, არამედ ანტიგმირები და წინასწარი განზრახვით აკლიათ პერსონაჟებს ხელშესახებობა და ფერხორციანობა - ისინი არც ტიპებია, არც ხასიათები - გავიმეორებ, ისინი თავისებური აჩრდილებია, საიქიოდან გამოხმობილი სულები. მაგრამ ზოგან ძალაუნებურად რამდენიმე შტრიხით ზედმიწევნით

"დაჭერილია" რომელიმე პერსონაჟის კვინტესენცია და სპეციფიკა. "ისმის მორიდებული და ოდნავ სევდიანი კაკუნი" - ეს ეკერმანი აკაკუნებს გოეთეს კარზე. ამ ირონიულ ფრაზაში მთელი ეკერმანია "ჩატეული".

მეორე მხრივ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბულაძის გოეთე ადამიანებს პაიკებივით უყურებს, მათზე ეცინება, მათდამი მისი დამოკიდებულება ჰუმორული და ირონიულია, ხან ყასიდად მოწიწებული, მეტნაკლებად აგდებული და შემწყნარე. შთაბეჭდილება რჩება: გულივერი ლილიპუტებში. მაგრამ ავტორი ამავე დროს გვიჩვენებს არა საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილ, "მოკაზმულ", "ფერუმარილიან", არა ბუზმენტებიან, მოსირმულ ვაიმარელ მინისტრს, ანდა თუნდაც ვაიმარელ ბრძენს და ოლიმპიელს, არამედ შინაურულ "სუსტ" გოეთეს. მოცარტიც "დამიწებულია", პრაქტიკულად "სუსტია", მილოშ ფორმანის ამადეუსის მსგავსი, მუსიკით ატანილი გენიოსია.

ლაშა ბულაძე ამ კაპრიჩოში ფაქტობრივად არაფერს მოგვითხრობს (თხრობა მხოლოდ ამბის, მომხდარის, ხდომილების შეიძლება). აქ აღწერილია რამდენიმე ცნობილი სიტუაცია - ავტორის თვალით ხელახლა დანახული. ფაქტობრივად, აქ არ არის ამბავი, მომხდარი, ხდომილება, არ არის თავგადასავალი. წინამდებარე კაპრიჩო-კოლაჟს სიუჟეტი არცა აქვს - ამ ტერმინის მკაცრი გაგებით.

ლაშა ბულაძის ამ მცირე პროზაულ-დრამატულ კაპრიჩო-კოლაჟში აშკარად დასტურდება მითების, ლეგენდების დესილუზიონირების ტენდენცია: ანტიმითომანია თუ ანტიმითოლოგიზირება. ლ. ბულაძის ეს ნაწარმოები თვალშისაცემად ანტისტატუარულია.

ქართული ლიტერატურის ერთ გარკვეულ ნაწილს ახლაც (განსაკუთრებით ისტორიულ პროზასა და რომანისტიკას) ახასიათებს გმირული მითოლოგიზირება თუ მითომანია (გვარებს არ ვასახელებ, ყველა მიხვდება, ვინ სად იგულისხმება). მოვიდა ახალი თაობა, რომელიც თავისდაუნებურად ობიექტურად დაუპირისპირდა ტრადიციულ მაჰეროიზებელ, მითომანურ ქართულ ლიტერატურას (ილიას "კაცია ადამიანი?!", "ბედნიერი ერი", აკაკის "ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!" და სხვ. ბედნიერი გამონაკლისებია. პირობითად რომ ვთქვათ, "მითომანიით" შეპყრობილნი არ ყოფილან არც დავით გურამიშვილი, არც ილია, არც ვაჟა, არც გალაკტიონი...).



დიდი თვითკრიტიკული მუხტი შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ. და მაინც, ჩვენს ლიტერატურაში ჩასატარებელია, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, ძლიერი მითოლოგიზაციისა და დესილუზიონირების პროცესი. ჰეროიკული პოზების, ომახიანი შეძახილების, "გმირული" "ბრექისა" და "ბლენძვის" ჟამი რა ხანია წავიდა!

აუცილებლად მინდა აღვნიშნო აქ, რომ თავის დროზე ჩვენს კონსერვატიულ საზოგადოებაში საშინელი აღშფოთება და პროტესტის გრძნობა გამოიწვია დავით გურამიშვილის ტრადიციული სახის დეჰეროიზებამ და "გაადამიანურებამ" (მხედველობაში მაქვს მერაბ ბერძენიშვილის ბრწყინვალე ქანდაკება - "დავით გურამიშვილი", რომელიც სახვით ხელოვნებაში, კერძოდ ქანდაკებაში ამ მიმართულებით პირველი გარღვევა იყო).

თეატრში რობერტ სტურუამ კარგა ხანია ენერგიულად და რადიკალურად გაატარა ეს "რეფორმა". მთელი მისი რეჟისორული მოღვაწეობა - ეს გაბედული და განუწყვეტელი ბრძოლაა დეჰეროიზაციის, დესილუზიონირებისა და დემითიზირების მიმართულებით ("ლამარა" ამ ზრდან ჩემთვის უსიამოვნო გადახვევაა!). ასევე უსიამოვნო გამონაკლისი იყო მარჯანიშვილის თეატრში კოთურნებზე და "პიედესტალზე" შეყენებულ-შედგმული, საოცრად "ზეაწეული" და გაფუყული სპექტაკლი "მცველნი გრაალისა" (გრიგოლ რობაქიძის რომანის მიხედვით).

ქართულ კინოში დაახლოებით ანალოგიური რეფორმა ჩაატარა ოთარ იოსელიანმა. "ბაში-აჩუკის" (ვგულისხმობ ფილმს) ხაზის გაგრძელება მხოლოდ კომიკური ანაქრონიზმის შთაბეჭდილებას მოახდენს.

...ლაშა ბულაძე - "მთხრობელი" გამუდმებით "ეთამაშება" მკითხველს, თან "ელაზღანდარება", თანაც "ეშაყირება", "ელადავება" და ამით აშკარად ამჟღავნებს გენიოსთა დეჰეროიზებისა და დემითიზაციის ტენდენციას.

დესილუზიონირების მიზანს ემსახურება და კომიკურ ეფექტსაც ქმნის კაპრიჩოს ტექსტში დღევანდელი აქსესუარებისა და რეალიების, აგრეთვე თანამედროვე ლექსიკის შეტანაც: "შე დეგენერატო, პირველი ქმარი გენიოსი გყოლია და შენ აქ რა შაბათობა მომიწყვეო? - უყვიროდა მტვერსასრუტმომარჯვებულ ცრემლიან კონსტანცას..." მისი მეორე ქმარი "და კომპოზიტორის ნაწარმოებთა სიას adგენდა.." ("მტვერსასრუტი", "შაბათობა", "შე დეგენერატო" - კომიკურ ეფექტს ქმნის). ასევე კომიკური ეფექტის შემქმნელია ტექსტში თანამედროვე ეკონომიკური ტერმინის - "გაყინვა" - გამოყენება, რაც ასე საბედისწერო და "ტრაგიკული" გამხდარა დღეს ჩვენთვის: "გადავწყვიტე რა დამეწერა ამბავი იმ ცნობილ ოცდაათ ვერცხლზე, რომელიც ისკარიოტელმა იუდამ, თითქოს შტატგარეშე ხელფასივით აიღო იესო ქრისტეს გაცემისათვის, ბუნებრივია, მივედი იქამდე, რომ როდესაც შეურიგებელი, გამოუყენებელი ფული მოღალატე მოციქულმა დამფინანსებლებს უკან მიაყარა, სისხლიანი ფულით დამფრთხალმა რელიგიურმა ფანატიკოსებმა ხსენებული ოცდაათი ვერცხლის გაყინვა მოინდომეს..." წინასწარგანზრახულად გამოყენებული ანაქრონისტული ტერმინები: "შტატგარეშე ხელფასი", "დამფინანსებლები", "ოცდაათი ვერცხლის გაყინვა" ისევ და ისევ მოჩვენებითი აქტუალიზაციისა და კომიკური ეფექტის შესაქმნელადაა მოხმობილი.

...ლაშა ბულაძის ამ კაპრიჩო-კოლაჟში გამორიცხულია იდენტიფიცირება და შთაგრძნობა-თანაგანცდა - პერსონაჟებში ემოციურ-ფსიქიკური და გადასვლა თუ შეღწევა, ავტორი იმთავითვე ემიჯნება ფსიქოლოგიზმს. ნაწარმოები, რომელიც გადაჭრით ამბობს უარს ისტორიზმზე და თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ჰუმორით, ირონიითა და დისტანცირებით, ცხადია, გვერდს აუვლის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ დახასიათებას.

ლაშა ბულაძის ეს ნაწარმოები, ავტორის ფანტაზიის ეს ჭირვეულობა ანტიილუზიური ლიტერატურის ნიმუშია, ე.ი. ლიტერატურისა, რომელიც არ ცდილობს შექმნას რეალური, ემპირიული სინამდვილის ილუზია, არამედ ყველგან ხაზი ესმება ნაწარმოებში ნაჩვენები სამყაროს ფიქციონალობას - ამდენად, ეს არის გამოკვეთილად ანტიმიმეტური ნაწარმოები, რომელშიც მიმესისი თითქმის არავითარ როლს არ ასრულებს - ავტორი არსად არ ცდილობს კაპრიჩოს "სინამდვილე" მიუახლოვოს, დაამსგავსოს ემპირიულ-ისტორიულ სინამდვილეს. უყურებ წინამდებარე კაპრიჩოში განსახიერებულ "სამყაროს" თუ "სინამდვილეს" და ზუსტად არ იცი, რასაც ხედავ, სურათია თუ მირაჟი, მხედველობის მცდარობა, აბერაცია, თავისებური fata morgana.

...ცხოვრება სიზმარია, მოჩვენება, შეიძლება წარმოდგენა-წარმოსახვა: დროები და ადგილები ერთმანეთში იჭრება და ერთმანეთს კვეთავს - რეალურს და წარმოსახულს, ემპირიულობასა და წარმოდგენას შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვარი მოძრავი და არამტკიცეა, დაუდგენელი და გამოუკვეთელი...

...იქნებ, ეს ქვეყანა მხოლოდ ჩვენი წარმოდგენაა, ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი და არა მატერიულ-ნივთიერი კონტურების მქონე?! ყოველ შემთხვევაში ლაშა ბუღაძის ამ კაპრიჩოს უმალ მეტაფიზიკურ-ტრანსცენდენტურ სფეროებში გადავყავართ, ვიდრე პოზიტივისტური გამოცდილების სინამდვილეში გვტოვებდეს. ეს კაპრიჩო ჩაგვაგონებს განწყობილებას, რომ ცხოვრება სიზმარია. ცხოვრებასა (ცხადსა) და სიზმარს შორის არ არის მტკიცე, გადაულახავი "სადემარკაციო ხაზი". ცხადი და სიზმარი ერთმანეთში იჭრება და ჩვენ არ ვიცით, რომელია უფრო "ნამდვილი", უფრო "ჭეშმარიტი", უფრო "სანდო"... ყველაფერი წარმავალია, წარმავლობის მსახვრალი ხელი აუფასურებს, არელატიურებს ყველაფერს, სხვებს შორის მოცარტის, შილერის და გოეთეს ფენომენებსაც. მსოფლიო ისტორია, აწმყოდან რომ გავხედოთ, თამაშობს კომედიას, "უნიჭო კომედიას", საბოლოოდ გვრჩება ხელთ vanitas vanitatum - ამაოება ამაოებათა... ყოველი მიწიერი წარმავალია... მართალია, დარჩა მოცარტის მუსიკა, დარჩა "ფაუსტი", მაგრამ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჯახირსა და ფუსფუსში, ეს არავითარ კვალს არ ტოვებს. ყველაფერი რელატიურია, შედარებითი: გააჩნია თვალსაზრისს, პოზიციას, კუთხეს, საიდანაც ვუყურებთ საგანს და ის შეიძლება დიდი, დიადი, გრანდიოზული და ა.შ. გამოჩნდეს, ანდა პირიქით, უმნიშვნელო, ბითური, სასაცილო და ა.შ. კაპრიჩოში, მე ასე აღვიქვამ, გამოხატულია ტოტალური სკეფსისი სულიერ ღირებულებათა და საერთოდ ამქვეყნიურ საგანთა მარადიულობის, გულცივობის მიმართ, პირიქით, თითქოს იკვეთება, წინა პლანზე იწევს დარწმუნება იმაში, რომ ყოველივე წარმავალია: ცოლს მაშინვე ავიწყდება გენიოსი ქმარი, საფლავამდეც კი არ მიაცილებს, ცუდი ამინდის თუ სხვა რაღაცის გამო ეზარება უკანასკნელი პატივი მიაგოს განსვენებულ თანამეცხედრეს, სამგლოვიარო პროცესიის მცირერიცხოვან მონაწილეთა უმრავლესობაც შუა გზიდან გარბის, ხოლო თვითონ მოცარტს - ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ერთ-ერთ უდიადეს მუსიკოსს, საერთო საფლავში აგდებენ და საბოლოოდ უკარგავენ შთამომავლობას გენიოსის საფლავზე პილიგრიმობის შესაძლებლობას. როგორც ჩანს, ტანმორჩილ, სულაც ჩია, გრძელცხვირა, შეუხედავ, მუდმივად ფინანსურ შეჭირვებაში მყოფ მუსიკალურ გენიას ჯეროვანი და ღრმა შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია კონსტანცე ვებერზე, საკმაოდ ჩურჩუტ ქალზე, რომელსაც, თურმე, სოპრანო ჰქონია და ხამუშ-ხამუშ მღეროდა კიდეც. შეიძლება ითქვას, ქალს მიახლოებული წარმოდგენაც კი არ ჰქონია, ვის გვერდით იწვა და ვისგან ორსულდებოდა - ბოლომდე ერთი ხელმოცარული, უიღბლო კაცის ცოლი ეგონა თავი.

აბსურდულ-გროტესკულ სიტუაციას აპირობებს ის გარემოება, რომ ცოლმა გარდაცვალებიდან მხოლოდ 10 წლის შემდეგ მოინდომა ქმრის საფლავის მონახულება, რომელიც ვერ იპოვა.

ასეთივე აბსურდულ-გროტესკული სიტუაცია იქმნება იუდა ისკარიოტელის შემთხვევაშიც: იუდა ისკარიოტელის მიერ ქრისტეს გაცემაში აღებული 30 ვერცხლი "გამოყენებას" ვერ ჰპოვებს და დამფინანსებლები 30 ვერცხლს "ყინავენ..."

...მოცარტის ბედს იზიარებს მეორე გენიოსიც, საწყალი შილერიც: მისი საფლავიც და მისი ნეშტიც იკარგება. თავდაპირველად მასაც საერთო საფლავში აგდებენ, შემდეგ ცდილობენ მისი თავის ქალის იდენტიფიცირებას. ჩვენ დღესაც არ ვიცით, ვაიმარის აკლდამაში გოეთეს გვერდით სწორედ შილერი წევს, თუ რომელიმე ვიგინდარა?!

ასეთი აბსურდულ-გროტესკულია ჩვენი წუთისოფელი!

პრილი

ბესო ხვედელიძე

# ფრრრრრ...

## „RECYCLE BIN-ში მოძიებული"

*მე რომ გიდელი მეგონა*
*მართლა გიდელი ყოფილა*
ე. ს.



შენით ორსული ოთახის ბედნიერი ფართი - საეჭვო სურნელის მსუნთქავ კედლებთან ამ ბედნიერების უშურველი მოზიარე, თან შენს თვალებში აპილპილებული ჭაობისფერი კრიალის ერთგული მჭურჭლავი. მერე მომწვანო ნამცეცებაკრულ ენის მგრძნობიარე სიმშრალე და დროულად ბედშეცვლილი ხელისგულების მტკივნეული სიახლოვეც. ბინაში გასაღებით გამოკეტილი საკუთარი უკვდავების აუნაზღაურებელი სივრცეც და შენც - საკუთარ უდროობას შეხიზნულ ფიქრთა მიქცევ-მოქცევის ალლოიანი ლოცმანი. მერე ჭის სიგრილის დარი სადარბაზო და სლიპინა, უსასრულობასთან მკაცრად წილნაყარი კიბე - მიხვრა-მოხვრის მკაფიო ბურუსში გამავალი ხის კარებით. ტრადიციული ცაც - ნატკენ ადგილებზე ლბილად აკრული ხუჭუჭა ბაბუაწვერებით. ქუჩა - ხეების ჭარმაგ ძირებში მარადიულობისკენ გარდასაქმნელად შექუჩებული ფოთლებით. გამვლელთა ნაბიჯებიც - ამოტრიალებული, მზედანაკრავი კეგლები. მოკლე და უფრო მოკლე კოპლებაუნაზღაურებელი კაბები. შარვლებიც - მერყევ ბარძაყებზე აქამდე არარსებულ ფერთა ნაჭრებისგან შემოსალტული. მერე ყოველი შუბლის ნამუსის ძარღვისკენ მკრთალად წაწვდილი ჭუჭყიანი ხელისგულები და ჯიბეთა სირცხვილნარევი უხერხულობა. ცისფერი ცარცით ნასიყვარულარი კედლებიც ზედ დანატოვარი აუხდენელი პერსპექტივებით. პაკი-პუკ. წკაპ-წკუპ. შემთხვევითი ნაცნობის მჩატე ღიმილი. მწუ-მწუმწუ. - "ვაიმე!" - "კაი რა!" - "არ გადამრიო!" - ხელოვნური ყვავილების მაღაზიის ვიტრინაში არეკლილი ველური ვარცხნილობის სითამამე. შენი პროფილი. მარჯვენა ხელის არათითისკენ წამახუ-

ლი უტიფარი ნდობა. შრრრრ... ხელის ტეხილი მოძრაობა. ცარიელი სამარშრუტო ტაქსი ტყავგადაკრულ ხკამთა განიერი არჩევნით. ღია ფანჯარაც. გაკვირვებამდე აწეწილი თმები. ფიქრები ცამდე და იქვე პირიქით. გამოზამთრებულ ყვავთა უწირპლო მზერები. მიწიდან ამოხელისგულებული ხეები და მძლოლის ასეთივე, ოღონდ ოფლიან ხელისგულში ჩაჩხრიალებული ლითონის უსაშველო სიმსუბუქე, და ისევ სადარბაზოს სიგრილე, ოღონდ სულ სხვა...

-არ გაინძრე. ხმა არ ამოიღო. ხელები თავთან მიიტანე. თვალები დახუჭე და დაითვალე!

-კარგი...

-მიდი!

-ერთი!

თავიდან შენი ცოცხალი ტუჩების თაკარა სიცხე - უსასრულობისკენ აღმავალი ლიფტის ნოტიო კაბინითურთ.

-ორი!

მერე ბინის პრიალა კარების სიგრილის შემგუებელი ზურგის ოლიმპიური სიფრთხილე.

-სამი!

ჩხაკ-ჩხუკ.

-ოთხი!

ქმრის სპრინტერული ხსნა.

-ხუთი!

მერე ლოგინიც, თეთრი - ისიც ზაფხულით მსუყედ ნამხურვალევი.

-სად ხარ?

-ყველგან.

-ჩემშიც?

-სიზმრების წინ ჩემი მარჯვენა ხელი რომ გიხსენებს, მარცხენა ამ ფიქრებს დირიჟორობს. შენი მონატრებით გულაჩუყებულ დედამიწას კი, ასფალტოვანი იარებიდან დიდი და პატარა რუები სდიან და მისი ლავიწის ამაღელვებელ ღრმულებთან სირცხვილის მძვინვარე ოკეანეებს ქმნიან. მათ ფერდაკარგულ ჰორიზონტებზე მონატრების მქრქალი იახტები ლანდებივით ირწევიან და შენში მოვარდნილ, გაუხედნავ, ფარღალალა ფიქრებს ჰგვანან... ექვსი!

მერე სასთუმალთან თოთოდ დადგმულ მაღალ ჭიქაში საზეიმოდ მოწკარუნე დროებითი ყინულებიც და ფორტეპიანოს კლავიშების უტაქტო დეტექტიურობაც.

-შვიდი!

-გინდა გიმღერო?...

-სიმღერა შენი სხეულის ყველა მოქნილ ბორცვსა და ნამიან ღრმულზე?... თუ სიმღერა რომლის მოტივიც ჯერ აბსოლუტური სმენის არცერთ ადამიანს არ მოფრენია?... ან იქნებ სიმღერა არაფერზე და ყველაფერზე?... რვა!

-შენზე!

-ჩემზე?... ცხრა!

-დავიწყე...

1.

დილის ათ საათზე, ზორბად ნამთქნარევი ფანჯრიდან, ჯერ იმ ინდუსტრიულ ხედს გაისიგრძეგანებ, ქმრისგან მიტოვებული ორსული ქალის გამომეტყველებით რომ გადღაბნილა მარჯვნიდან მარცხნივ და ყოველ შენს რიჟრაჟნარევ გამოფხიზლებას ურბანისტულ ფონად გასდევს.

-სისულელეა!

მერე უდარდელი მთქნარებით დააფრთხობ ფანჯრის გარე რაფაზე შფოთით მოღუღუნე ობოლ მტრედებს და მიუტევებელი ცოდვებით დამძიმებულივით გაგელიმება.

-არ მჯერა!

მერე, ცალ ღერს ბედნიერებამონატრებულის მზერით მიუახლოებ მშრალ ტუჩებს და ნაადრევი ტკივილი რომ ჩამოგილღვება ჭაობისფერ თვალებში, უარაფრო მზერას სარკეს გაუცვლი.

-სარკე საერთოდ არ მაქვს!

-ხუთი წლის წინანდელი "შენ" რომ სადმე გადამეყაროს და რიდით მომესალმოს, თვალს ავარიდებ. - ეტყვი ანარეკლს ქოსა ღიმილით და საკუთარ სინამდვილესთან მჭიდროდ მიახლოებულს თვალს მძიმედ ჩაუკრავ.

-რადგან ჩემი წარსული მე არ მეკუთვნის?

მერე მშრალი თითებით მიუჯდები არაფრამდე ჩამქრალ კომპიუტერს და მის მდოგვისფერ ზედაპირზე დიაგონალურად არეკლილი, შუბლის ნაოჭებში ჩაყანგულ დასკვნას კლავიატურაზე დააფიქსირებ

-აქ პოლარული სიცივეა, თუმცა კი პოლუსი ყველაფერზე შორსაა. ყველაზე ახლოს მდგარ ჭიქიან ჩაის პაპანაქება ზაფხული ასდის, რომლის ფონზეც ყველაზე უსაშველო მდინარეებიც კი იგზნებიან. ხომ გახსოვს, წყალი ჭეშმარიტებაა, რადგან ის არც ტკბილია და არც მწარე. ტუჩებზე გადარბენილმა ზღვიანმა მედუზებმა თოლიების დარდების გემო მასესხეს და მითხრესნ ბედნიერება - ვალია. ჩემს პირველ ქალსაც ვალია ერქვა. უმზეო ძუძუებით ის ჩემგან ყოველთვის ეკლესიაში გარბოდა, რადგან მისთვის დუმილი არასდროს იყო ნიშნობის ოქროს ბეჭედი. ოქროში ჩასმას არც მე დავპირებივარ, თუმცა მის წარმოსახვაში ჩვენი მომავალი მაინც ოქროს გალიას ჰგავდა, სადაც ჩვენ ერთად ვიქნებოდით გამოკეტილი, როდესაც მე ღია კარებებში მიყვარს შესვლა და არ მჯერა გასაღებების. ერთფეროვნება ხომ ზურგიდან წამოპარული კეთილშობილი მტერია, რომელსაც ხელში მზეზე ავარვარებული უთო უპყრია. მარტოდ ცხოვრება კიდევ ყოველთვის ის პირველი დამრიგებელია, არასდროს რომ არ გადის კუთხში. თითები სუსხიან მაგიდაზე გრენლანდიურ სარაბანდას ცეკვავენ. ყველაზე ახლოს მდგარ ჩაიან ჭიქას უკვე ადრეული შემოდგომა ასდის. დრომ ზაფხული უთავბოლოდ დააუთოვა და ჩემი ფანჯრის წინ გაკიდა. მდინარეები გახდნენ, თუმცა წყალი კი მაინც ჭეშმარიტებად დარჩა.

-ნუთუ მეტს ვერაფერს ვამბობ?

აქ დაამთქნარებ და წარმოიდგენ, თუ როგორ მძიმედ ჩაირბინე კიბეები.

-ზემოდან ბოლო სართულზე ვცხოვრობ!

თვალდახუჭულმა როგორ თავისუფლად გადაჭერი ქუჩა.

-ჩემი სახლი ტყრუშულ ორღობეში დგას!

იქვე მჯდომი მათხოვრის თვალებში როგორ ამოიკითხე ტრანსპორტში მსხდომთა ჯიბეებში მოჩხრიალე ხურდების სიმძიმე.

-ტრანსპორტისთვის ჩემი ორღობე მეტისმეტად ვიწროა!

როგორ დაანახე მარჯვენა ხელისგული სიცოცხლით სავსე მკლავებით აივანზე გადმომდგარ, თავზე პირსახოცშემოხვეულ, სპარსული ნოხის გამეტებით მბერტყავ თანთალა ქალს.

-ჩემს ხელისგულზე უპაერობის ოცდამეშვიდე წელიწადი დგას.

მერე როგორ ჩაჯექი სამარშრუტო ტაქსში და მზერამოძარღვულმა ვილაც მზისსათვალიანობას მოღიავებული უბე როგორი უსაშველო ინტერესით უთვალიერე.

-შენ გინდა რომ თვალები დავითხარო!

როგორ ჩამოქვეითდი და უახლოეს საკონდიტროში როგორ შედგი მარჯვენა ფეხი.

-მე არასდროს მჯეროდა სუფრაზე მარილის შემთხვევით დაყრის.

იქ დაგუბებული არომატით როგორ უცებ ამოივსე ფილტვები და როგორ გაიშვირე თითი ნამცხვრისკენ სახელად "ენა".

-ენა ერთი მაქვს, საკუთარი...

2.

ერთფეროვანმა ყოველდღიურობამ მტკივნეულად რომ დაუმუწუკა ენის სველი კიდეები, სკვერში ჯიბის ძაღლთან ერთად მოსეირნემ ილლიაში წიგნამოჩრილ, ქერათმიან და გრძელწამწამებიან ქალს მიაქცია ყურადღება. ქალს ზედმეტად შავ-თეთრად ეცვა და შუბლი ცალხაზიან რვეულს მიუგავდა.

მას ჩაელიმა და ქალს ძაღლი ჩუმად მიუქსია. ქალს უმალ ფერი ეცვალა - კოჭებამდე კაბა მუხლებამდე აიკაპიწა, თეთრ მუხლისთავებგამომზეურებული მოსასვენებელ სკამზე ახტა და გადარჩა.

-გთხოვთ?! - ამოიკივლა ქალმა, მწკლარტექუსლიანი ფეხსაცმელი გაიძრო და აფითრებულმა ძაღლს დრუნჩთან ჰაერი მოუნიავა. - გადი... გადი, გამშორდი!!

-საკმარისია!! - დაიგრგვინა მან და ძაღლიც მყის კოჭებში აებლანდა.

-აღარ გიკბენთ. - უთხრა ქალს დათბილული ხმით და დაორთქლილი სათვალის ზემოდან მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი ასესხა. ქალმა ეჭვით შეათვალიერა ძაღლი, მერე მასაც დაუტკბილა სათვალის მიღმა მდებარე წყვილი კაკლის მურაბოვნება და ღრმად ამოისუნთქა. მან ქალს ფეხსაცმელი ჩამოართვა. თავისი გამხდარი ხელით ჩააცვა. მერე სკამიდან ჩამოსვლაში მოეხმარა და გვერდით მიუჯდა.

-შემეშინდა. - თქვა ქალმა. - მეგონა შემჭამდა! არადა, რომ ვფიქრობ, რა საშინელებაა ასეთი სიკვდილი... ძაღლი ზემოდან როგორც მამრი ისე გადგას და ნაზ ყელს ბასრი კბილებით გიღადრავს... იქიდან ამოშხეფილი თბილი სისხლით ივსებს სტომაქს და თან კუდსაც კი აქიცინებს, რათა კუჭში ჩაღვრილი სითხით დაჟღენთილი ხორცი უმტკივნეულოდ მოინელოს... ეგრე ნუ მიყურებთ! ყველაფერი ხომ თქვენი ბრალია?! არ გაპატიებთ! ხმა არ ამოიღოთ, არაფრის გაგონება არ მინდა! ცენტრალურ მოედანზე რომ მაღალი თუთა დგას, ის რომ მომიტანოთ კალათით და მთხოვოთ, ერთად გადავილურჯოთ ტუჩები, მაინც არ გაპატიებთ! ამ ტბის იქით რომ გადახვიდეთ და იმ ნაპირიდან მარილი წამომიღოთ უსაშველო მუჭით, მთხოვოთ, დავჯდეთ, სალათი გავიხრაშუნოთ სალ კბილებშიო, მაინც არ გაპატიებთ!

-არა უშავს. - თქვა მან და ქალს მოწიწებით გაეცნო.

-სქელი წიგნების კითხვას დიდი ხანია გადავეჩვიე. - გაენდო მერე და ქალის წიგნს შუა თითი გადაუსვა.

ქალს დამცინავად გაეღიმა.

მან ჩაახველა.

-ასე მგონია, ამ წიგნში მოთხრობა უნდა იყოს, მკვლელობაზე, რომელშიც ერთდროულად დადანაშაულდნენ ნაგავსაყრელზე მობორიალე ახალგაზრდა ყმაწვილი და ლამაზი გოგო. არა?

ქალმა უარის ნიშნად გაიქნია თავი, თუმცა მან მაინც განაგრძო.

-ისინი შემთხვევით გადაეყარნენ ერთმანეთს ნაგავსაყრელთან მდებარე მდინარის პირას. არა?

-არა.

-ბიჭს წყალთან ფეხი მოერთხა და საჩვენებელი თითით წყალზე საკუთარ წარსულს წერდა. არა?

-არა.

-გოგო ფეხაკრეფით მიუახლოვდა და ბიჭის მხარს ზემოდან უჩუმრად იკითხა თავისთვის წრფელად უცხო, გონების მამაკაცური მიხვრა-მოხვრით წყალზე ნაწერი ამბავი. არა?

-არა.

-ბიჭმა წერტილის დასმის შემდეგღა იგრძნო ზურგსუკან ვილაცის ყოფნა და მორცხვად მოტრიალდა. არა?

ქალი ისევ უარზე იდგა.

-რა არასწორად მოსულხარ? - გაკვირვებად იყო გოგო ქცეული და უცაბედად მოვარდნილი ქარის ბწკენისგან აშრიალებული კაბის დამორჩილებას ცდილობდა.

-სანახავი მყავდი და... - თავის გამართლება სცადა ბიჭმა და ქარიც თითქოს ამის გაგონებაზე ჩადგა. გოგოს თვალები უმალ გაფცქვნილ კიტრისფრად დაეტბორა. მკრთალად წამოიწეულმა ბიჭმა გოგოსკენ გაიწია. გოგომ მყის უკან წადგა ცალი ქუსლი და ბიჭს ცალწარბაავებულმა შეხედა. არა?

ქალი კვლავ უარზე იდგა.

-ახლადდაბადებულივით ვარ. - წამოსცდა ბიჭს და მუხლებში თავვი გაუჩნდა.

-შენ შენი წარსული მოკალი. - თქვა გოგომ.

-ვითომ?

-რადგან მდინარეს გაატანე.

-რადგან მდინარე ზღვას უერთდება?

-ზღვას უერთდება. - განაგრძო გოგომ. - იქიდან ცაში ღრუბლებად ორთქლდება, რათა წვიმიან ცისარტყელად დაბრუნდეს ისევ ამ მდინარეში.

-რომელსაც უკვე შენც შენს წარსულს გაატან და ამით აიძულებ, შენც ახლადდაბადებულის იერი გიბოძოს. - დაუდასტურა ბიჭმა და გოგოს ხორკლიან წევზე ხელისგული ჩამოუსვა. გოგოს გაეღიმა. გაეღიმა და კაბის ღილების შეხსნა დაიწყო. ბიჭიც მსწრაფლ გადედიშობილდა. ხელისგულები რომ შეაერთეს, წვიმამაც უმატა. არა?

-არა!

-ეს ჩვენი წვიმაა. - თქვა გოგომ და მდინარეში ორივემ თავქუდმოგლეჯით ისკუპა, ოღონდ ისე, რომ ხელი არ გაუშვიათ ერთმანეთისთვის. არა?

ის დადუმდა და პასუხის მოლოდინში ქალს თვალებში შეაცქერდა.

ქალმა თავი ისევ უარის ნიშნად გააქნია.

-ეს ბიბლიაა. - თქვა მოჭრით და კაბა ჭერამ მუხლისთავებზე ჩამოიფხატა.

-ალბათ სირცხვილიცაა ჩემს ასაკში... მაგრამ სულ არ მაქვს წაკითხული. - დაირცხვინა მან. - გეოგრაფიული ადგილები თუა მოხსენიებული?

-რამდენიც გნებავთ. - გაეღიმა ქალს და ვარცხნილობა შეისწორა. - და მხოლოდ გეოგრაფიული?

-მე დედამიწაზე წარმოქმნილ კონტინენტებს, ოკეანეებს, ზღვებს, მდინარეებს, ქვეყნებს, ქალაქებს, ვულკანებს, ღრმულებს ვაკვირდები.

-მაშინვე მივხვდი. - გაეხარდა ქალს. - დაგინახეთ თუ არა, სიტყვა აპენინები მომაწვა გონებაში... თქვენი ძაღლიც ისე სასაცილოდ გამოენთო ჩემსკენ...

-ჩემი ღრძო. - მოეფერა ის ძაღლს. - მართალი ხართ... აქამდე ვერაფერს ვარქმევდი, ახლა კი ვხვდები, რომ მისი სახელი იტალიის სამხრეთში უნდა მეძია.

-ვისი? - ვერ მიხვდა ქალი.

მან ძაღლს სველ ტუჩებში აკოცა.

-თუ გნებავთ, ერთად ვიცხოვროთ. - შესთავაზა, რომ შორდებოდნენ. - გატყობთ, გაუთხოვარი უნდა იყოთ. თქვენი მომავალი ოჯახიც უკვე წარმომიდგა თვალწინ5 ქმარს - ცალ ხელში მუდამ ფარ-გალი, მეორეში გუშინდელი გაზეთი. ცოლი - სუფთა და კრიალა გულის. განუწყვეტლივ ქიშკართან მდგომი - ყოველი ჩამვლელისთვის ჭიქა ბროწეულის წვენის მიმწოდებელი და ყვავილებამოქარგული ცხვირსახოცით გზის დამლოცი. ხომ ეგრეა?

-გააჩნია აქედან სად წავალ. - ჩაილაპარაკა ქალმა.

მან მხრები აიჩეჩა.

-ორმოცდარვა საათს გაძლევთ მოსაფიქრებლად. - დაუტოვა ბოლო სიტყვა და ძაღლიანად პარკის გასასვლელისკენ დაიძრა.

გასასვლელს რომ მიუახლოვდა, უკან მოიხედა და სკამზე მისავათებულ ქალს თბილად გაუღიმა.

-ზეგ წესით აქ უნდა შევხვდეთ და თქვენ უფრო მოკ-

ლე კაბა უნდა გეცვათ!

ქალმა არაფერი უპასუხა. უბრალოდ წიგნს აკოცა.

3.

შენ კიდევ ერთხელ, ნაზად უკოცნი გვერდით მოქნილად მწოლს ქათქათა ზურგს და ლამის ხელისგულებით გაგელიმოს. მისი უმწეობამდე უხალო სითეთრე დამამშვიდებელი შვებით გავსებს. ეს არაა ალერგია. შენი სურვილები და რეალობა მშობლებისგან მოძულებული შეყვარებულების ჯიუტი ტუჩებივით ემთხვევიან ერთმანეთს - აქაურთა სიბაცეც ზედგამოჭრილად პასუხობს შენი გემოვნების ზედაპირზე მოტივტივე მოთხოვნებს და შენც, მარადუხავსო გულისკარ-ნახით ამსუბუქებული, აქაურობის შესატყვისი ჰარმონიულობით პულსირებ.

ანტარქტიდაზე მდინარის დელტა გინახავს? - იწამე, რომ არც არავის, და გვერდზე მწოლის ზურგიც იმ უნახავი იქაურობის მსგავ-სებაშია. ბედნიერებამჟონავ ხელს ფრთხილად იწვდი მისკენ და შუა თითს მის მოელიფსო ხერხემალს ზევიდან ქვევით აყოლებ.

-არ გძინავს? - სადღაც შორიდან, მისი სავარაუდო ხმით, რომელიც მას საერთოდ არ აქვს, თავად უსვამ საკუთარ თავს უენო კითხვას.

-კი. - მორჩილადვე პასუხობ გუნებაშივე და თავისუფალი ხელით საწოლის თავზე მიმაგრებულ ნათურას ანთებ. თეთრკანიანობა მთელი სხეულით იშმუშნება და შენსკენ გადმობრუნებული, გრძელი წამწამებიდან გამომკ-რ-თა-ლი სიმწვანით გათვა-ლიერებს.

შენ ილიმები და მარცხენა ხელით თვალებს მიცვალებუ-ლივით უხუჭავ.

-მოვკვდე? - მისი ობობა თითებიდან მშვიდი კითხვა ორთქლდება. უცებ აძაგრულ ძუძუს-თა-ვებზე ის ხელისგულებს იფარებს და მჭიდროდ თვალდა-ხუჭული ქვრივის გამომეტყველებას იღებს.

-რატომ? - გიკვირს გუნებაში დაბურძგლულს.

თეთრკანიანობა თვალებს ახელს და შენი შემცბარი სახის დანახვაზე ისევ თითების მოქნილი მოძრაობით გეუბნება სათქმელს.

-ყოველ შაბათს ერთ მიხაკს ამომიტან საფლავზე?

-მიხაკი რა ყვავილია... - გეფიქრება და განზე იხედები.

-მკვდრებს უყვართ. - ხსნის ის თითების მოწყენილი მოძრაობით.

შენ მის თვალებში მობიბინე მინდორს ჩასცქერი და ყურებიდან ფეხისგულებამდე გამთქნარებს.

-შენ რომელი? - გეკითხება ის ისევ თითებით.

-მე უსუნო. - პასუხობ სერიოზული სახით და მას მაინც არაფერი ესმის.

მერე საწოლიდან დგები და ტიტლიკანა მიტანტალებ გამოღებულ ფანჯარას-თან.

გარეთ თოვს.

-კაცებს არასოდეს გრცხვენიათ საკუთარი სიშიშვლის? - ფანჯრის მინა მისი თითების თავდაჯერებული მოძრაობით ნასროლ კითხვას ირეკლავს.

შენ გეღიმება.

ისიც დგება და სხეულზე საბანშემოსალტული გვერდით გიდგება.

-მე ცა მიყვარს. - ამბობ შენ და შენი თვალები ვარსკვლავებიან სიშავეს ირეკლავენ. - და იცი რატომ? - იქვე ხმამაღალი კითხვა ხარ, რომელსაც თეთრკანიანობა საკუთარი სიყრუმუნჯის გადამკიდე ვერც ვერასდროს მოისმენს. - იმიტომ, რომ სადაც არ უნდა ვიყო, ვერსად დავემალები.

შენ შიშველი მხრით გრძნობ გვერდზემდგომის ტანჟრჟოლას და ოთახში ლამის სიჩუმე კიდევ უფრო საგრძნობი ხდება.

თეთრკანიანობა შენსკენ ტრიალდება, მერე მოქნილი ნაბიჯით მიდის საწოლთან და რბილად ჯდება.

-ის თუ იცი, რას ეძებ? - გეკითხება ისევ თითების უიმედო მოძრაობით.

-რაც დავკარგე. - პასუხობ თამამად თითებითვე და გვერდით უჯდები.

-რა დაკარგე რო იმაზე მეტი, რაც მე საერთოდ არ მაქვს?

-უბრალოდ, მე ადამიანზე მეტი მჭირდება გვერდით...

შენ ფრთხილად იხრები მისკენ და კოცნით უთვლი სხეულის სანტიმეტრებს - დაწყებული ხელის თითებიდან ფეხის თითებამდე.

4.

თავმდაბალი კაცი კი იყო, მაგრამ ფეხის თითები ჰქონდა გრძელი. სამოთახიან ბინაში მცხოვრებს აივანი არ გააჩნდა, სამაგიეროდ ცოლი ჰყავდა დიდძუძუება, ქერად თმაშეღებილი და გრძელწამწამებიანი. ერთად კი საუზმობდნენ, სადილობდნენ,ვახშმობდნენ, მაგრამ სხვადასხვა ოთახებში ეძინათ - ცხოვრებას ნაადრევად გაეგულგრილებინა მეუღლის მიმართ და მხოლოდ ყოველ ნარიყრაყევზე, მახლობლად მდებარე მღვრიე ტბას შვიდ წრეს კი არტყამდა მზერით, მაგრამ საათის ისრის სვლის საწინააღმდეგო მიმართულებით. სწორედ ის დილა იყო, იქ თავის სიბერეს რომ გადაეყარა, ოღონდ შესამჩნევად გამხდარს. სიბერემ უბრალოდ ხელი აუწია და გაფუჭებული წყლის ველოსიპედის შეკეთება განაგრძო, მაგრამ ხელთათმანებით. მან ტბას მზერით კიდევ ექვსი სრულფასოვანი წრე რომ დაარტყა, მერეღა ამოიხვნეშა და ისევ თავის სიბერეს მიუბრუნდა. სიბერემ მორცხვად გაუღიმა - ხელებზე გრძელი თითები ჰქონდა და მზის სათვალე მოირგო. მან კი თავისთვის თქვა:

-ნეტაი მას...

-ვის?

-ვისაც...

-ვისაც რა?

-ყველა მოუსვლელი თოვლი და გვალვა ატყვია ზურგზე.

სიბერე წელში გაიმართა, მაგრამ ის მწვანედ დაინახა და წელიწადის ყველაზე ცხელ დროს დაემსგავსა.

-როგორ ხარ? - შეეკითხა სიბერე ტბის ნაპირიდან და თვალების კუთხეებთან ღიმილი ლარებად დაემჩნა.

-კვლავ ვკლავ... - ჩაილაპარაკა მან, ოღონდ ცხვირის ფხანით და ფანჯრიდან.

-და დროს ამით იგებ? - გაუკვირდა სიბერეს, თუმცა კაპასი დოინჯი წელზე მაინც არ შემოურტყამს.

-შენა? - გადაეკითხა სიბერეს.

-მე ცოლი დავახრჩე ამ ხელებით აბაზანაში. - სიბერემ რეზინის ხელთათმანიანი ხელები დაანახა.

-მერე?

-მერე ველარ ვნახე... მილს გაჰყოლოდა. როგორც მითხრეს ჩვენი ქალაქის ყველა წყალი ამ ტბაში ჩაედინებაო.

-და ეძებ?

-აბა, ვის რა ვუთხრა, როდესაც მოიკითხავენ?

-მერე ამ ყველაფერს მე რატომ მიყვები? - გაუკვირდა მას და გუმანმა მძინარე ცოლისკენ გაახედა.

-შენ ცოლს ხომ ქერა თმები და გრძელი წამწამები აქვს?

-დიდი ძუძუებიც!

-ყოველ საღამოს სეირნობას გთხოვს...

-აჯაფსანდალიც უყვარს...

-ყველაფერში.

-ყოველთვის.

-ფრთხილად იყავი...

-ჩიტს დავიჭერ?

-ფასკუნჯს.

აქ თითქოს სიცოცხლეში პირველად გაელიმა, მაგრამ საწოლზე უქმად მძინარ, ქერად თმაშეღებილ ცოლს მაინც მკაცრად დახედა. მერე ისევ ფანჯარას მიუტრიალდა, ოღონდ წყლის ველოსიპედის შემკეთებელი თავისი სიბერე ველარსად დაინახა და გაბრაზდა.

5.

როგორც კუ ვერ მოიცილებს ბრაზით ჯავშანს და ვერ გამოითვლის საკუთარი სიბერის ასაკს, ისე შენ არ იცი, თუ რა ნაცნობ სიურპრიზს გიმზადებს დღე. დილა, რომელიც შენთვის ტრადიციულად მზის ამოსვლით აითვლება ხოლმე, ტრადიციის საპირისპიროდ კარზე უცნაური კაკუნით იწყებს თავისი ღირსებების დემონსტრირებას. კარის გამოღებით თითქოს წუხანდელი ღამის ნარჩენებს დენი სადარბაზოში, კარის ზღურბლზე კი ისეთივე სიცარიელე გხვდება, როგორიც შენს წყლულიან კუჭში სუფევს უკვე მესამე წელია. გაკვირვება გამხდარ მხრებს რიგრიგობით გაჩეჩინებს ზევითკენ. ცოტა ხანი სადარბაზოს ყრუ სიგრილეს უგდებ ყურს. მერე მკვეთრად ტრიალდები და ზღურბლზე შემდგარ უკაცრიელობას ხმაურით უკეტავ კარს. ეს არის და ტელეფონიც შეთქმულივით იწყებს წკრიალს. წკრიალი ყურის ღრმულებიდან ზრიალით უყვება შენს სხეულს ფეხისგულებამდე და ვიდრე რამდენიმე თვის გამოუგველ იატაკს აამტვერებდეს, შენ ყოჩაღობ - კენგურუსებრი სკუპით ჩნდები აპარატთან, ყურმილს სწრაფად იკედლებ საფეთქელთან და იქ ჩამომდღვარ სიჩუმეს ცალთვალმოჭუტული აყურადებ.

-დამინახე? - გესმის ყურმილში კითხვა და ვიდრე გაიაზრებდე, ქალის ხმასთან გაქვს საქმე თუ პირიქით, კითხვის დამსმელი ყურმილსაც კიდებს.

-ტუ-ტუ-ტუ-ტუ...

შენ ყურმილს იოლად შებალნულ მკერდზე იბჯენ და საკუთარ გულისცემას აცნობ.

"დამინახე?" - სპირალურად დაფათურობს შენს გონებაში, რატომღაც ბოლო მარცვალზე მახვილგაკეთებული სიტყვა. შენ კიდევ, ამის პარალელურად, ფიქრით ამ კითხვის დამსმელის ტემბრის მქონე ნაცნობს ეძებ მეხსიერების უძირო ზარდახშაში. ვერავის რომ ვერ იხსენებ, ყურმილს გვერდზე დებ და ფანჯრიდან იხედები.

ქუჩაში მდგარი სიცარიელე შენს ფანჯარას ამოჰყურებს და ხელები ჯიბეებში უწყვია.

-პი-პი-პი! - იძახის სიცარიელე შენს გასაგონად.

-შეენ? - შენი გაკვირვება საფოსტო მტრედივით ფრთხიალებს ჰაერში.

-გისიგნალებ. - გიხსნის სიცარიელე. - ჩამო, გაისეირნე.

შენ თავს თანხმობის ნიშნად მძიმედ აქნევ და გვერდზე გადადებულ ტელეფონს ეჭვის თვალით აცქერდები.

-ტუ-ტუ-ტუ-ტუ... - მოთქვამს ყურმილი.

-ეგრეც გინდა. - ამბობ არა იმდენად ყურმილის, რამდენადაც საკუთარი მისამართით, გარეთ გადიხარ და ვიდრე უახლოეს კათხა ლუდამდე მანძილს შესამჩნევად დაამოკლებდე, ისეთი ნაცნობი გხვდება, ვისი სახელიც აქამდე ვერაფრით ჩაიინსტალირე მეხსიერების ღრიჭოში.

-როგორა ხარ?

-რავი, ძველებურად... შენ?

-მეც ძველებურად. შენები?

-რავი, ძველებურად... შენები?

-ჩემებიც ძველებურად...

-სიგამხდრის წამალს ვეძებ და ხომ არ იცი? - და შენც, ამის გაგონებაზე ლამის წონაში დაიკლო.

შენ ხომ უკვე ყველაფერი არაფრამდე იცი.



იცი, რას ირეკლავს მოხუცი ესკიმოსის ლიბრიანი თვალები მიმქრალ ცოლთან უკანასკნელი შეერთებისას. იცი, რატომ იყურებიან აქეთ-იქით მწვანე მინდორში ფეხაკრეფით მიმავალი გამხდარი მეგობრები, რომელთაგან უფრო ტანწვრილს ცელოფნის სამი პარკი უდევს ჯიბეში. იცი, სახლიდან შენამდე, ანდა პირიქით, ვერავინ იქნება ყოველთვის შენში მზის გამოკლებით. იცი, რომ...

ნაცნობი მხარზე ხელისთათუნით გიზიარებს თავის სოლიდარულ გაუგებრობას და გასატკეპნ გზას ფეხისგულთა უდარდელობას ამჩნევს. შენი გეზი კი კვლავ ლუდის ქაფავრდომილი კათხის უმისამართოდ გამავრცელებელი პუნქტისკენაა წაწვრილებული. ყელში მომდგარ ხრინწს ქვემოთკენ გიკაწრავს ბლანტი სითხე და ფეხს ფეხზე კეთილმეზობლურად გადაგადებინებს.

-კიდევ რას ინებებთ? - კითხვის დამსმელ თეთრწინსაფრიან გრძელწამწამიანობას ლამის წამწამები დაუვარცხნო ეკლიანი მზერით.

შენ თავის დროზე მოგეცა ნება და უკვე ინებებდი რომელიმე უსახელო ზღვას შიგ მოსავსავე მედუზებით. ზედ მიაყოლებდი ცადაზიდულ, წვერწამტვრეულ კლდეს, მარჯნის კუნძულთა უენო სევდას, კონტინენტებიდან ყველაზე შორის სიცხეს, ყველაზე ღრმა ოკეანის ხმამაღალ ფშვინვას, იქ დაკარგულ ვეშაპმჭერს ეკიპაჟითურთ, მთელ დედამიწასაც ინებებდი და საერთოდ...

-მე გელოდებით! - გრძელწამწამიანობა თეთრ წინსაფარს სკამის საზურგეზე კიდებს და შენი მზერით იდლიებამონესტიანებული ქალურ დოინჯს იყრის.

შენ მას მზერას უსწორებ და იწყებ5

-ერთი პატარა ბიჭი იყო, საოცრად კეთილი და მუყაითი. არავინ ჰყავდა ამ ქვეყანაზე და მაინც იყო. თავი პატიოსანი შრომით გაჰქონდა და იყო და იყო. ერთხელაც მას ღმერთმა ვალი დაუბრუნა და მზე შეაყვარა. იმ დღის მერე დადნა და ჩამოხმა მზის სიყვარულით პატარა ბიჭი. აღარც ჭამდა, ველარც ეძინა და საერთოდ. მოთმინება ფეხისგულებამდე რომ დაელია, რკინის ქალამნები ჩაიცვა, ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა და მზის საძებრად გასწია. შეუსვენებლად გადაიარა ცხრაჯერ ცხრა მთა, გადასცურა ცხრაჯერ ცხრა მდინარე და ულრან ტყეში დაღამდა. ატყდა ირგვლივ ღამის ნადირთა ფაციფუცი. ძლიერ შეშინდა პატარა ბიჭი და ერთ-ერთ ხესთან ჩაკანკალებულს ტირილით ჩაეძინა. ცხოველებს მისი სუნი ეცათ და მის გარშემო უჩუმრად მოიყარეს თავი, თუმცაღა იქვე მიხვდნენ რაოდენ კეთილ ბიჭთან ჰქონდათ საქმე და პირი არ დააკარეს. დილით, ისევ მზემ რომ დაანათა თავზე, ბიჭს გახარებულს გამოეღვიძა და გზა განაგრძო. კიდევ ბევრი იარა. ისევ ცხრა მთა გადაიარა და ბოლოს დაღლილ-დაქანცულს წინ ერთი კეთილი და პატიოსანი კაცი შემოხვდა. კაცმა ჰკითხა5

-პატარა ბიჭო, საით გაგიწევიაო?

-მზისკენაო. - დაუხანებლად უპასუხა პატარა ბიჭმა.

კაცს ჩაეცინა - მზესთან ხომ ვერასდროს მიხვალო. მაგას სჯობს მე წამომყვე - სამი შვილის მამა ვარ, ჩემს მინდორველებს დედალი კამეჩები ძოვენ და შენ ჩემი მეოთხე ვაჟი იქნებიო.

მოჰკიდა კაცმა ხელი პატარა ბიჭს, წაიყვანა თავისთან და ცხოვრობენ იმის შემდეგ კეთილად, ტკბილად, პატიოსნად. ჭირი იქა და ლხინი აქა...

შენ ღრმად ამოისუნთქავ და უპეებში ცრემლებჩაგუბებული გრძელწამწამიანობას მთრთოლვარე დოინჯში მომწყვდეულ ქვედატანს მოუთ-



ვალიერებ.

-არასწორია! - ამბობს ის ხმის კანკალით.

-რა?

-ეგრე ხომ არ შეიძლება!

-აბა როგორ?

6.

ამ ყველაფერსაც ხომ აკრეფ.

-არ მაქვს კომპიუტერი.

უკვე მართლაც რომ ჩაიცვამ და კარისკენაც წადგამ ნაბიჯს.

-ყველაფერი სველი მაქვს! ჩემი ხელით გავრეცხე ახლახანს!

ის ისაა, უნდა გამოაღო, ზარი თვითონ დაიწკრიალებს. გამოაღებ და ქუჩის მეორე მხარეს შეუმჩნევლად მჯდომი მათხოვრის დამჭკნარი მზერა გაგითბობს ნეკნებს.

-სიგიჟეა!

-სად ხარ ამდენ ხანს? - შეგეკითხება ნაღრძილარი ტუჩებით.

სახლში შემოატარებ და გასაღებს მარჯვენა დაკორძილ ხელში მიაჩეჩებ.

-ჩემი სახლის კარი არასდროს არ იკეტება!

მძიმედ ჩაირბენ კიბეებს და ქუჩაში გასული შენს გასწვრივ მწყობრად გაჩერებულ მანქანათა ნიაღვარს შეეფეთები.

-მე არ მცემს ტრანსპორტი პატივს!

-დროზე გადადი! - გეტყვიან ტრანსპორტის ფანჯრებიდან ერთხმად თავგადმოყოფილი დაღლილი მგზავრები. სწრაფად გადირბენ ქუჩას და მათხოვრის თბილ ნაჯდომს გამხდარი უკანალით აამხურვალებ.

-მაგის დრო მაქვს?

ვიღაც მსუბუქ ხურდას ჩაგიგდებს გაწვდილ ხელისგულში და უმალ ტრანსპორტით მომგზავრეთა ჯიბეებში მოჩხრიალე ლითონის სიმძიმე ჩამოგეთენთება უძინარ ქუთუთოებზე.

-ტყუილია!

მერე, შენგან სულ ახლოს, სამარშრუტო ტაქსი დაამუხრუჭებს. იქიდან მზისსათვალიანი ჯანმრთელობა გადმოვა და შენს დასანახად მკერდს მოიტიტვლებს.

-გელოდნენ, დაიგვიანე, დაჭკნენ. - გეტყვის სევდიანი ხმით და ადგილს გაგიცვლის.

შენ ცარიელ სამარშრუტო ტაქსში ამოჰყოფ თავს.

-მე მეშინია ცარიელი სივრცეების!

მძღოლს მთელი გზა ეჩიჩინები რადიოს გამორთვაზე. ძალიან რომ შეაწუხებ, საკონდიტროსთან ჩამსვლელს უცნაური ღიმილით გაგაანდობს, რომ საერთოდ არ აქვს სალონში რადიო და ფულსაც არაფრით გამოგართმევს.

-ანუ გავგიჟდი?

მერე საკონდიტროს კარს შეაღებ და ქუჩას ნამცხვრის დაფიფქულ სურნელში იქ დაემალები.

-არასდროს!

სიბერისგან მილეული ნოქარი ისეთი წყნარი ღიმილით გამოგიყოფს სქელ ენას, ტანში გაგცრისნ

-ენა აღარც კი მახსოვს როდისმე თუ გვქონდა.

-სხვისი რად მინდა, ჩემი მაქვს - გეოგრაფიული.

მერე იქვე ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედები და თვალის უპეებთან მოწოლილი საკუთარი სიბერე შეგძრავს. მოკუნტული გატრიალდები კარისკენ და იქითკენ წაჩოჩიალებულს ნოქრის ჩალაპარაკება დაგახვევს თავბრუსნ

-როგორ არაფერი გვიფასდება. გააფრენ კაცი...

7.

ლიფტის უგერგილო ალმასვლის გამო სხეულში აღმოცენებული ბრაზი ვერაფერს მიაჩხაპნა და თავისივე გამონასუნთქით ნასაზრდოვები სივრცის სივიწროვითაც ძლიერ აღშფოთდა. ბინის მშრალი სიცარიელე რომ შემოიძურწა მასში, სიყმაწვილე გაახსენდა - მძიმე, როგორც სამი წლის ბავშვის პანაშვიდი, რომლის მშობლებმაც საწოლი ოთახის კედლებს, შვილისვე ნაგროვები კევებიდან გამოქალაქლდავებული "ნაკლეიკები" აკრეს.

"სიჩუმე ძუა დარწმუნებული ჩემს ხვადობაში და მეც, მისთვის ყველაზე მისაღები მხრიდან ვეშვები აქ ჩამომღლვარ მდუმარებაში. სიჩუმე უმალ მგრძნობს, მისაკუთრებს, მასვლებს, მეჭიდობა თავისი უხილავი სისხლძარღვებით და ლოგინზე საძილისპირულოდ მიგდებულს, ყველა მხრიდან დედაშვილურად მარწევს." - ფიქრობდა უკვე ლოგინში საძილედ განწყობილი, როდესაც კარზე უცნაურად მოუკაკუნეს.

გაკვირვებისგან შუბლმოკაწრული ძლივს წამოიზლაზნა საწოლიდან და კარი გამოაღო.

ზღურბლზე ტანადი, გრძელწამწამებიანი სიკვდილი იდგა და საჩვენებელ თითს იწუწნიდა.

მან თვალები მოისრისა და სიკვდილის მიღმა მისავათებულ ცარიელ სადარბაზოს ცალწარბაპრეხილმა გახედა.

-გამარჯობა, სალამი, ჰელოუ! - ჩამოარაკრაკა სიკვდილმა ისე, რომ საჩვენებელი თითი პირიდან არ გამოუღია. - უფრო სწორად, ღამე მშვიდობის და პარდონ, ასე გვიან რომ გაწუხებ, მაგრამ მეც იქ ვიყავი...

"სად იქ?" - გაეფიქრა, თუმცა სიკვდილი მიუხვდა.

-იქ, სადაც თითქოს ყოველთვის ყველაფერი კარგადაა.

ბინაში თამამად შემობიჯებულმა სიკვდილმა ოთახი მოათვალიერა და პირიდან გამოღებული სველი საჩვენებელი თითი კედელზე დაკიდული სურათისკენ გაიშვირა.

-ამ ქალს, რომ აცვია, ეს რა ნაჭრისგან იქნება?

-თითს ნუ იშვერ.

-რატომ?

-ეგ წმინდანია!

-თავზე მრგვალი რომ არა აქვს?

აქ თვალების გაკვირვებანარევი გაფართოებაც დაუამხანაგდა და ლამის მთელი სხეულით კედლის სარკეში შეინაცვლა.

-ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

-ნუ გეშინია! სწორი კითხვების დასმაც ხანდახან ხელოვნებაა! მოგწონს ჩემი ახალი ვარცხნილობა? - სიკვდილმა მელნისფერ თმებზე ხელისგული ჩამოისვა.

-აქამდე როგორი გქონდა რო?...

სიკვდილმა არაფერი უპასუხა, თითი კვლავ პირში გაიჩარა და სარწეველაში ჩაჯდა.

-შენი ლოგინი თეთრი ანეგდოტია.

-მართლა?

-ოღონდ, მე მხოლოდ მაგისთვის სულაც არ მოვსულვარ. - გამკაცრდა სიკვდილი.

-აბა?

-რომ გიყურე, რატომღაც მეგონა, რომ შენი ლოგინის სიგრილე ძილისწინა ლოცვა იქნებოდა. - ჩაილაპარაკა სიკვდილმა და საწოლზე მიწვა.

-წელიწადის დროს გააჩნია. - გაამართლა მან ლოგინი.

"ერთიც!" - გაახსენდა ამ დროს საყვარელი სიმშაგე და ძაანთის შლეგი გაკვრით მსოფლიო ნარკო-ბარონებმა მისგან უმალ დამსახურებული მოკითხვა მიიღეს.

მან სარწეველაში მოქანავე სიკვდილს ცერად გახედა.

-კიდევ რა ვქნათ? - შეეკითხა იქვე.

-შენ თქვი...

ის თვალების ხუჭვით ჩაბნელდა საკუთარ, გამოუაშკარავებელ სიღრმეში და იქ მოსასვლელ ჭეშმარიტებებს გულისფეთქვა გაუმზადა. თვალი რომ გაახილა, ელდა ეცა - სიკვდილს ოთახში მდებარე ნივთები გადაეადგილებინა.

-შენ გგონია, ამ ფონზე როდესმე უფრო ნამდვილი იქნები?

-ოკეი! - თითქოს კედლებს უპასუხა სიკვდილმა და ზერელედ გაეცნო. ცოტა თავის გადასინჯულ ადამიანებზე მოუყვა - არ დაიჯერა.

თან მათი ზოდიაქოც აცნობა - დარწმუნებული იყო რომ ატყუებდა.

ფერიც უთხრა მათი საყვარელი - ფერების' არასდროს სწამდა.

მათი წონა და სიმაღლეც გაუმხილა - ძალიან გვიანი იყო.

-და არა გრცხვენია?

-შენც გელოდებიან. - სიკვდილმა მას შინაურული ხელკავი გამოსდო და მერელა გადაეკითხან

-რისი უნდა მრცხვენოდეს? ასეთი ლამაზი რომ ვარ? თუ გრძელი წამწამები რომ მაქვს?

მან ფანჯრიდან წელვადი ნერწყვი გადაუშვა.

-ვინმეს რომ დაეცეს? - შეშფოთდა სიკვდილი.

მან ნერწყვი უკან შეისრუტა, სიგარეტს მოუკიდა და გაეცინა.

-თუ ჭკვიანია მოიწმენდს, სულელს წვიმა ეგონება და გუბეებს ინატრებს საკუთარი ხორცის ასარეკლად.

მერე მაცივრიდან ცალი ნაყინი გამოიღო და სიკვდილს გაუწოდა.

-შენ არ გინდა? - გაუკვირდა სიკვდილს.

-მე მინდა რომ მცხელოდეს.

სიკვდილმა ნაყინის ლოკვა დაიწყო და მანაც უმალ თვალი აარიდა.

-უხერხულია არა? - შეეკითხა სიკვდილი ღიმილით. - მაგრამ თუ ძლიერი ხარ, ხანძარივით უნდა გიზგიზებდე. ხანძარი იყო ჩვენი პირველი შეხვედრა ამ ოთახში, სველი თითებით ერთმანეთის ღრმულების მოთვინიერებაც ხანძარია ჩვენს თვალებში. ხანძარმა უნდა დაფერფლოს ჩვენი გულები ერთმანეთისთვის და განა ხანძარი არ იყო, აიოვას შორეულ შტატს, ამ ზაფხულს, ალისფერი ომი რომ გამოუცხადა? გადარჩნენ კვერცხები, ნახანძრალმა ქათმებმა იმ შუადღით მოხარშულები რომ დადეს!

მას ყვრიმალები დაუწითლდა და თვალები ოფლით აევსო.

-და თუ მართლა ძლიერი ხარ, ქათმობაც კი უნდა იცოდე. შენს დადებულ კვერცხს ვერ უნდა ტეხდეს ვერც ჩაქუჩი, ვერც ურო და ინდიელის დაკოჟრილი შალაბანი.

"-ქათამი ყველაზე უმტკივნეულო ფრინველია შინაურ ფრინველთა შორის. მისი ერთგულება დადებული კვერცხების ოდენობით განისაზღვრება." - გაახსენდა მას და თავი თანხმობის ნიშნად დააქნია.

აქ სიკვდილს ნიკაპი აუკანკალდა და წყალი მოსწყურდა.

-მე აქ ვარ ნამყოფი. - წამოსცდა მერე, მის მუხლებზე დედიშობილად მჯდომს.

-როდის? - შეკრა წარბი მან.

-ან მესიზმრა. - თქვა სიკვდილმა და შუბლზე [illegible]

-ჰო, მესიზმრა და გამახსენდა. აი ახლა, შენ [illegible] უნდა მითხრა, რომ გიყვარვარ.

-კი. - თქვა მან და თავი ჩაღუნა. - ოღონდ...

-იტყუები! არანაირი ოღონდ! - გაიკრიჭა სიკვდილი. - თუ არ გჯერა, ხელებზე დაიხედე.

მან ხელები ამოატრიალა და ხელისგულების ყინულოვან ლარებს დააცქერდა.

-რეზინის ხელთათმანები რა უყავი?

მან პირი დააღჩინა, თუმცა უმალ აღშფოთდა.

-მე არა... ეგ იმან... მერე... და წყალს, წყალს კი არა, მილს გაჰყოლიაო. რა უნდა ქნას... ეძებს. ყველა წყალი ერთ ტბაში ჩაედინებაო... მე მაინც არ მჯერა, მაგრამ... რომ იკითხონ, რას ეტყვის, ან ვინ დაუჯერებს?...

-სარკეში ჩაიხედე!

მან ბრუნი გააკეთა, სარკეს დაჟინებით მიაცქერდა და გაკვირვებისგან თვალები დაიფართოვა.

-კი მაგრამ, მე...

-შენ?...

-მე სადღა ვარ?

სიკვდილმა თავი მძიმედ დააქნია.

-შენ წყლის მოტანა გინდოდა. - დაუტოვა მას მძევლად სიტყვა და დედიშობილად წატანტალდა სამზარეულოსკენ.

ის ცოტა ხანს გაოგნებული იდგა შუა ოთახში. მერე სამზარეულოდან ხმაური მოესმა,- სახე მოუღრბილდა და იქითკენ დაიძრა.

8.

შენ ფანჯარას მიუახლოვდები. ჯერ გადაიხედავ, მერე ღრმად ამოისუნთქავ და რაფაზე ახტები.

-ხდება რამე?! - შენი ყვირილიანი შეკითხვა ჭადრის ხეებსააშრიალებს.

ქუჩა უბოდიშოდ ცარიელი იქნება და შენც დაიწყებ5

-დიდი ბოდიში ყველას, ვისაც გაქვთ წარსული და მის ნედლ საფლავზე სევდიანი სახით სიარულს უხსოვარი დროიდან დაეჩვიეთ! თქვენ იქ გელოდებათ წითელი კვერცხების და ყვავილების ამწაპვნთა ნაფეხურები. საფლავზე დარგული ველური უნაბის ფოთოლთა შრიალიც თქვენია. ჭუჭყიანი მაგიდაც. უკუდო კატების გამხმარი კურკლიც. სუფთად გაპარსულ პირისკანზე კი მაინც სულ არაფერი გიტოკავთ. საოცარია! დიდი ბოდიში ყველას, სულ ყველას, ვისაც გაქვთ გული, თუმცა მისი გრძნობადი არე არაფერია თქვენს ცხოვრებაში აქამდე მომხდარ იმედისგაც-რუ-ე-ბე-ბის გვერდით. მისი კაკუნი შორეული ქვეყნებიდან ჯინსის შარვლებით და მინი-კაბებით მოტანილი მართალი ცეკვაა. ბოდიში მათაც, ვის-აც ყველა მინი-თუ მაქსი-კაბაზე მეტად საკუთარი სიშიშვლე გშვენით და არად გიღირთ ზაფხულ-ზამთარ, ტანისამოსში დამალული სხეულის გამოაშკარავება. დიდი ბოდიში ყველას, ვისაც არასდროს გიმძიმთ ტრანსპორტით მგზავრობაში დახარჯული თანხა, მიუხედავად იმისა, რომ მარად ფეხით მოსიარულეობის რიტმზე ხართ დაუნანებლად აწყობილი და ყოველ გარე რხევას პირადულივით განიცდით. მართალია, ვერავის გირეკლავთ ამ უშნო მზერით, მაგრამ თქვენი სუნთქვა ხომ მაინც კომფორტულ საბურველში მოსავს იმ სიტყვებს, რომლებიც ახლა, დაუნანებლად გადიგამოდიან თქვენში და ირგვლივ, საუზმეზე დასალევი უშაქრო ჩა-



ის სურნელს ტოვებენ. ჩვენს შორის ამჟამად სრული უდროობა ბოგინობს და გაცვლილ სიმპატიებს ჩვენს მიღმა მოთარეშე ცარიელი წამებით აკრთობს. დრო სადღაც აუცილებლად როგორღაცნაირად გადის. ალბათ უბედურებისკენ მავალი ბოლო ავტობუსივით, რომლის ტყავსკამიც ვერაფრით გათბა თქვენივე კოხტა საჯდომით. მისი უსივრცო ნებით დახორკლილები თქვენ სრულდებით მინისკენ ხან ფეხისგულებით, ხანდახან მუხლისთავებით, მენჯის შვერილებით, ჭიპებით, ძუძუსთავებით, ნიკაპით, ცხვირის კეხებითა და ბოქვენზე წაზრდილი თმის ყველაზე მგრძობიარე ღერებით. მე კი რა მინდა... ბევრი არაფერი - უბრალოდ, მაპატიეთ!... მაპატიეთ ადგილი, სადაც ვიყავი ერთი-ერთზე საკუთარ ჩრდილთან? სადაც ჩემი სუნთქვა და გულისთქარუნი ყველაზე ხმამაღალი ხმაურია საზოგადოდ დასაშვებ თავხედობებში. შემინდეთ და მომიტევეთ დასაკარგი დრო, ოღონდ ნუ, ნუ დაისველებთ ისედაც მარადსველ ადგილებს იმის გამო, რომ მე ვეღარ ვარ საერთოდ ყველგან - მაგრამ ხომ ვიქნები სადღაც და რა მნიშვნელობა აქვს, მზე თქვენს ცაზეა გამოკიდული, თუ სულ სხვაგან, სულ სხვებს დანათის ღონიერ კისრებზე!! მე მზის უკანასკნელი ჩასვლისას მაინც არ მოვალ და ნაწერების სქელ დასტას მაინც არ მოვიტან. "საკუთარი სისხლით ვწერდი." - არ განვუმარტავ კივილამდე ცარიელ ოთახს. ნათქვამს კედლები არ აისხლეტენ და ექოდ არ ჩამოლღვებიან ოთახის ჩქამგამოცლილ მდუმარებაში "ამიტომაც გიწევდა ბაზარში ყოველ ნაშუადღევს ხუთი ცალი ბროწეულის ყიდვა." - "შოკოლადიც მიყვარს." - არ დავამატებ სალი კბილებით და ოფლით მოცვარულ შუბლს სახელოთი არ შევიმშრალებ. მერე მძიმედ არ ამოვისუნთქავ ფილტვებში შემონახულ ბედნიერებას და ოთახის სივრცეს თვალის კუთხეებთან მქრქალღარებგაჩენილი არ მოვათვალიერებ. "არც ერთი ღერი, ჩამოცვენილი ჩემი თავები-დან, არ დამვიწყნია." - არ ვიტყვი დამარცვლით და დასტას მარჯვენა ხელისგულს თბილად არ დავადებ. - " უფრო პირიქით." - "წაიკითხავ?" - არ შემეკითხება ოთახის კედლებიდან გადმოფერადებული სიმყუდროვე. დრო ჩემსკენ სულ არ იქნება და დიდხანსაც არ მაფიქრებს. მერე ჯიბიდან სანთებელას არ ამომაღებინებს და არ ამანთებინებს. "ისუნთქეთ მშვიდად და თავისუფლად!" - არ ვიტყვი მტკიცედ, იატაკზე ფეხს არ მოვირთხამ და ნაწერს ცეცხლს არ წავუკიდებ. დასტიდან წაწვრილებული კვამლი ფილტვებს სულ არ დამიგემოვნებს და მერე, ფართოდ გახსნილი ფანჯრებიდან ცას არ შეუერთდება. "ფრინველები თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავენ და იქაც ზამთარი ხვდებათ." - არ შემოიძერწება ღია ფანჯრიდან გავარდნილი, სიმყუდროვის მთაზე ასხლეტილი ექო. "დაიწყებ?" - არ შემეკითხება სიცარიელე. "მე შემიძლია." - არ ვიტყვი ამაყად და უმალ რაფაზე შემხტარი გრძელ წამწამებს მძლავრად, ფრთებივით სულაც არ დავიქნევ. რაფაზე მდგომს წინ ნაბიჯის ნადგმა სულ არ მომინდება და ვიდრე გადავდგამდე სამამდე დათვლას სულ ვერ მოვასწრებ.

-ერთი! ორი და სამი!!

ფრრრრ.....................

**არილი**



21703

ნანა ექვთიმიშვილი

# კონიუნქტივი გერმანულად

ვუძღვნი ზ.ზ.-ს



მოვიდოდა თბილი შემოდგომა და თავზე ხელს გადამისვამდა. მოვიდოდა წვიმა. ღვარი ჩამოივლიდა ეზოს, მოაწყენდა ბალღებს, გააჩენდა გუბეებს და გამოაჩენდა მზეს. შემოდგომის მზე ისეთია, ფანჯრის რაფაზე რომ გინდა გაწვე, გაირინდო... მაგრამ ვიწროა, პატარა და ვერ ეტევი. და გევიწროვება მზეც, გივიწროვდება თვალებიც და უფერულდება ეჭვი გამოვლილი დღეების,

მოვიდოდა შემოდგომა. მოვიდოდა, აბა რას იზამდა და ისევ უწინდელივით ამალაპარაკებდა. გავხედავდი ეზოს, ცას, ჩამოუკრეფავ ალუბლებს. გავხედავდი დაუმთავრებელ შენობას ჩემი სახლის წინ და ვიგრძნობდი სიძველეს, როგორც სიტკბოებას.

თბილისი მთელი სამყაროა: ფანჯრები, სახურავები, ქუჩები, ადამიანები და მანქანები. ეს ის ქალაქია, სადაც არაფერს აქვს თავისი სახელი. სადაც მოდიან და მიდიან, რომელიც უყვარდებათ და მაინც ტოვებენ, ხან სამუდამოდ, ხან ვერ ელევიან და ასე ვთქვათ, არ კარგავენ კონტაქტს. და კონტაქტი ხომ მეტისმეტად მნიშვნელოვანია?! იმდენად მნიშვნელოვანი, რომ იქცევა ცხოვრების წესად, მოწოდებად, ლოზუნგად, პატრიოტულ სულისკვეთებად, ან ცოტა გადავამატოთ და ვთქვათ, რომ იქცევა წყაროდ სიცოცხლისა.

როგორი სასაცილოა მოხუცი, რომელიც მოხუცთა სახლის წინ, სკამზე ჩამომჯდარა. თვალს არ ახამხამებს, სიბერემ ტუჩები მოულურჯა, სუფთად აცვია და მზად არის, უცხოდ გამვლელს მესაუბროს. არ მიშვებს. მინდა ავდგე და სხვა სკამზე გადავჯდე, რადგან მაწუხებს მისი სიბერე, მაწუხებს მისი გაუგებარი ბუტბუტი და თვალები დაშრეტილი. ხელს ფრთხილად მადებს მკლავზე და თითქმის ჩურჩულით მეუბნება:

- აგე, ის კაცი და მე ერთად ვცხოვრობდით მოხუცთა სახლში. - მერე იჯღანება. ენას ყოფს და კაცს თვალს აყოლებს:

- ო, რა საშინელება იყო! - ამბობს ისევ, - სხვაგან გადავიდა, ჩვენთან აღარ ცხოვრობს.

და ახლა უკვე კაცს ეჯღანება. მერე ტუჩებს წკურავს და აფურთხებს:

- საშინელი კაცია!

კაცი არ გვიყურებს. წელში მონდომებით იმართება. ფრთხილად დადის და ჯოხს მიაკაკუნებს. მუქი, სქელჩარჩოიანი სათვალეები უკეთია. ჩაგვიარა და ქუჩის ბოლოს დადგა.

მეც მივდივარ. მოხუცს ვატყუებ, რომ მეჩქარება. მინდა გულიდან და თავიდან გამოვდევნო ყველაფერი, რაც მტანჯავს. მტანჯავს იმ მოხუცი ქალის სახე, მოხუცი კაცის ნელი ნაბიჯები და ზიზღი, ბებრული, უმწეო... არ ვიცი, რატომ! მოვდივარ, მოვრბივარ,

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

არავის ვუყურებ. სახლებიც ტანჯვაა და მინდვრებიც, რომელსაც ვხედავ. ვუყურებ ბალახს და ყვავილებს ეჭვის თვალით. ვამეტებ... ეს ხომ არაა თბილისი? თბილისი რომ იყოს, ხომ მოვიდოდა შემოდგომა და დამამშვიდებდა და შემარიგებდა ყველაფერთან, ასე თუ ისე, დროებით თუ ხანგრძლივად.

მოვიდოდა შემოდგომა და ამიჭრელებდა კაბას, კალთას, გულისპირს, სახეს, თვალებს. მწიფედ აქცევდა ფოთლებს, გულს გაავსებდა ფერებით და შემოელეოდა სათქმელი ვინმეს, ჩემსავით ღამენათევს და ცოცხალს.

უცნაურია იმის შეგრძნება, რომ ცოცხალი ხარ. უცნაურია შეიგრძნო, როგორ ცხოვრობენ ადამიანები და რისი სჯერათ. უცნაურია იპოვო შიში. უცნაურია გაუფრთხილდე საკუთარ თავს.

ჩვენ ბევრი არ გვილაპარაკია. უბრალოდ, ის წავიდა და მეც აქეთ წამოვედი. ციოდა. ჩქარი მატარებლები შხუილით ჭრიდნენ ჰაერს და აზანზარებდნენ სადგურს. მე მინდოდა ჯიბიდან ხელები ამომეღო და ყურებზე მიმეფარებინა, მაგრამ მციოდა და ვიყვირე. ვიყვირე და მატარებლის ხმაურს გადავამეტე. ასე მომეჩვენა...

მერე ჩავუყევი კიბეს, გამოვედი ქუჩაში და მივდიოდი ნელა, უმიზნოდ. ტელეფონის ჯიხურში შევედი. ვერავის დავურეკავდი, ფული არ მქონდა, მაგრამ გარეთ გაყინვას ჯობდა. ჩამოვჯექი და ყველაფერი ამტკივდა. ამტკივდა სხეული სიცივისგან და დავიწყე საკუთარ გადარჩენაზე ფიქრი. რადგან, როცა გცივა, გინდა, რომ გათბე, როცა გაგჭიანდება, ცდილობ, რომ მიასწრო, როცა გამტყუნებენ, გინდა, რომ გამართლდე... ალბათ ისიც საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა.

ჩვენ ძალიან შორს ვართ სიმართლისგან.

ჩვენ ძალიან ხშირად ვამეტებთ.

ჩვენ ვათბობთ ერთმანეთს და გვჯერა, ასე რომ არა, სხვანაირად იქნებოდა და მაინც მოვიდოდა შემოდგომა. მაგრამ ეს ხომ თბილისი არაა?!

სიცივისგან დაბუჟებულს ტელეფონის ჯიხურზე კაკუნი მომესმა. თავი ავწიე. ქალმა კარი გამოაღო და შემათვალიერა.

- Schlafst du hier? (1)

- Nein! - ვუპასუხე და გავიფიქრე, რამე ხომ არ დავაშავე-მეთქი.

ქალს პირიდან ღვინის სუნი ამოსდიოდა. ღია ცისფერ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ყელზე მარგალიტის მძივი უჭერდა. გვერდით კაცი იდგა. ნაცრისფერ შარვალ-კოსტიუმში, სათვალით. ასლოკინებდა და წინ და უკან ტორტმანებდა. ტელეფონის ჯიხურს აწვებოდა მეორე მხრიდან. მეუხერხულებოდა მისი სიახლოვე, თუმცა შუშა გვყოფდა.

ეტყობოდა, სადღაც მოელხინათ და ახლა სახლში ბრუნდებოდნენ.

- Was machst du hier? (2) - მითხრა ისევ ქალმა და დამაკვირდა.

მე ავუხსენი, რომ კარგად ვერ ვგრძნობდი თავს და ცოტა ხანს სიცივეს შემოვაფარე თავი. ახლა ყველაფერი კარგად არის მეთქი.

- Sag mal! Erzel mal was ist? Ich mochte gerne wissen! Ich will dir helfen. (3) - მითხრა და მოსასმენად მოემზადა.

- არა, არაფერი ისეთი... მე და ჩემმა მეგობარმა ვიჩხუბეთ. ახლა სახლში უნდა წავიდე, მაგრამ ჩემი მატარებელი ორ საათში მოდის. გარეთ კი ძალიან ცივა... - ვუთხარი და ვიფიქრე ახლა მაინც დამანებებენ-მეთქი თავს.

- Komm hoch! (4) - მითხრა კაცმა და თავისი სახლის ფანჯრებს ახედა.

- Ah... Kwatsch! (5) - შეუბღვირა ქალმა და მხარზე ხელი მიჰკრა, - komm Schatz, wir gehen! (6)

და კარი მომიკეტა. მერე ისევ გააღო და მთელი სერიოზულობით მითხრა:

- Ich will dir gerne helfen! (7)

არ ვიცოდი რა მეპასუხა. ის კი ისევ და ისევ აგრძელებდა:

- Sag mal, was kann ich fur dich tun? (8)

- Nichts, Danke... - იქნებ მომეშვას-მეთქი, მაგრამ [illegible]დაც მობრუნდნენ. ჯერ კაცმა შემოყო თავი. ღვინის სუნი შემოაფრქვია. სათვალის შიგნით თვალის გუგები გაეფართოვებინა. მერე ქალმა შემოიხედა და დამაჯერებლად გამიმეორა:

- Ich will dir gerne helfen!

მერე თავისი გვარი მითხრა, აქ ვცხოვრობთო.

- Denk daran! (9) - მითხრა მრავალმნიშვნელოვნად და კარი მომიკეტა.

ქარმა გვერდებში დამიარა და ვიგრძენი, როგორ იცვლება ჩემს გარშემო ყველაფერი. ნელ-ნელა სასაცილო ხდება ჩემი გაკვირვება, ნელ-ნელა იცრიცება ჩემი აღფრთოვანება. ნელ-ნელა შემოდის ჩუმი სითბო შემოდგომასავით და ისადგურებს სიყვარული. ისიც ისეთივე ჩუმი, ხანგრძლივი და ხელშეუხებელი.

მოვიდოდა შემოდგომა და არ იკითხავდა ჩვენს ასავალ-დასავალს. უბრალოდ ჩამოივლიდა ქუჩებს და აივნებს მოაჩარდახებდა. გაავსებდა მზის ჭავლით ბალიშებს, ფრთხილად ააშარიშურებდა მინდორში გამხმარ ყვავილებს, რომლებსაც თურმე "ქრისტეს ცრემლები" ჰქვია. მოვიდოდა და ააგრილებდა ქალაქს, ჩამორეკდნენ ხმელ ჩარებს ჭადრები და მე გავივლიდი თბილისში, ისე, უბრალოდ...

მოვიდოდა თბილი შემოდგომა და არ იკითხავდა მანძილს ჩემიდან სიმართლემდე, არ იკითხავდა ჩემს ადგილს, სამყოფელს, საფიქრალს, გასაკეთებელს, დასაშავებელს, შესაცოდს, შესაყვარებელს... უბრალოდ მოვიდოდა და თავზე ხელს გადამისვამდა და ვიგრძნობდი სიმკვლევს, როგორც სიმშვიდეს და სიტკბოებას.

27.09.99.
დიუსელდორფი

1. გძინავს აქ?
2. აქ რას აკეთებ?
3. თქვი ერთი! მოყევი ერთი რა არის? მსურს ვიცოდე! მე მსურს დაგეხმარო.
4. ამოდი მაღლა!
5. აჰ... ნუ სულელობ!
6. წამოდი ძვირფასო, ჩვენ მივდივართ!
7. მე მსურს დაგეხმარო!
8. თქვი ერთი, რა შემიძლია შენთვის გავაკეთო?
9. იფიქრე ამაზე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმირ მამედლი

### გაუშიფრავი იეროგლიფი

ჩემი სახლის წინ, მდინარის გაღმა
მეტეხის კლდეა.
ფარდას რომ გავწევ, კლდეს ებჯინება
ჩემი მზერა შორს გამიზნული.

ასე თვალებით
კლდეზე გამომყავს იეროგლიფი.
ფარდით ვშლი ძველს და
ახალსა ვწერ გაუთავებლად.

თუ მოასწრებ და თუ წაიკითხავ,
უმალ შეიტყობ,
ვის მისწვდებოდა ფარული მზერა
მეტეხის კლდეს რომ არ მიბჯენოდა.

### სიყრმის რუკა, ანუ მონატრება

ხანდაკი ჩანდა ვით სავსე თეფში,
ჩვენ ვეკუთვნოდით ზემოთ სხვა სექტორს.
ძველი ბილიკი დიდ ბალახებში
თავგაჩეჩქვილი გველივით ეგდო.

სკოლა სკასავით გვიხმობდა ოდით
ისმაილებს და ისა-ისაკებს.
ზემოდან ქვემოთ მივიჩქაროდით,
ზემოდან – ზემოხანდაკისაკენ.

ზენაღრისს ზემოთ ზეცა და მზეა,
ზენაღრისს ქვემოთ ზემოხანდაკი.
მათ შორის, ფშანთან ფაშიანია,
სამტომეულად აწყვია აკი.

ცარიელია ფიალაც, თეფშიც,
ზემოდან ვუმზერ ზემოთა სექტორს,
აღარც ბილიკი ჩანს ბალახებში,
აღრე რომ მკვდარი გველივით ეგდო.

### დალაქი

იმ თვეში თმა ხომ აქ გავიკრიჭე,
ამ თვეში მოველ, – მოკვდაო, – მითხრეს.
თმა მიუშვიათ უბანში ბიჭებს,
სიგრძით გასწვდება ამ თვიდან იმ თვეს.

მაკრატლით ხელში დააკლდა ქალაქს,
წინ გრძელი გზა აქვს, გრძელი გზით მიდის.
უკანასკნელი მადლობა დალაქს,
რომ არ გადაჭრა მან ბეწვის ხიდი.



### საგმირო დასთანისათვის

არ ვიჭიდავებ დევთან,
გადმომედება დევის
ბაყბაყ დარდი და სევდა.

არ ვიჭიდავებ მზესთან,
მზე ჩამომჯდარი ხევთან
ვნახე, ნისლს როგორ ხევდა.

არ ვიჭიდავებ ზღვასთან,
ვერ მოერგება ტალღა
ყველა საგმირო დასთანს.

შევებმი ქარის წისქვილს,
დავეჭიდები მზისთვის,
დევისათვის და ზღვისთვის.

### გახუნებული კაბა

შენ მოდიოდი ნათებ-ნათებით,
თავზე კი ციცქნა ქუდი გეხურა.
მე შენ გზვდებოდი კაკანათებით,
შორით მიფრთხოდი, როგორც ბელურა.

მთლად შეიცვალა ყოფაც, სიკეთეც,
ახლა სამყარო ჭკუას ითხელებს.
ჩიტი ჯიბეში ბუდეს იკეთებს,
აზრი არა აქვს უკვე სიფრთხილეს.

### უსასრულობა

მთელი ცხოვრება მოვდივარ შენსკენ,
(ეს ბანალურად ჟღერს, ალბათ, მაგრამ
როგორც ფაქტს კიდევ გავიმეორებ):
მთელი ცხოვრება შენსკენ მოვდივარ,
ვიცი, ვერ მოვალ, რადგან ცხოვრება
ვერ გასწვდება ამხელა მანძილს.
მე მაინც ვივლი სიკვდილამდე ერთგული ჟინით.
და საფლავს იქით რაც დარჩება გამოსავლელი,
ორი ნაბიჯიც რომ იყოს
მაინც ის იქნება უ ს ა ს რ უ ლ ო ბ ა.

### დახშული კარები

ის ტროლეიბუსით თუ იმგზავრებდა,
როგორც წესი, ჩერდებოდა უკანა კართან.
გაჩერებაზე კარს არ უღებდნენ,
ვაჰ თუ მგზავრობის საფასურიც გაიყოლოსო,
არ ენდობოდნენ.
და ამხელა უნდობლობით გაბეზრებული
სულზე ასწრებდა
მოსატოვებლად განწირულ სადგურს.

და ყოველ დილით
და ყოველ ღამით
(ტროლეიბუსის პირგამეხებულ კარსაც თუ ჩავთვლით)
თითო კარი ემატებოდა
მის წინ უწყალოდ დაკეტილ კარებს.

ის ტროლეიბუსით თუ იმგზავრებდა,
იმ იმედით, ეგებ დღეს მაინც გამიღონო,
მიყუჟული იდგა ხოლმე უკანა კართან.

### ხვლიკი

რომ დამინახა შეცბა თავიდან,
მერე კი უცებ დაფრთხა საწყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხვლიკი ისე გასხლტა, წავიდა,
როგორც დაღმართზე დაღვრილი წყალი.

თვალმოკრულის აუცილებელი განმარტება:

*ხვლიკი არსება არის, რომელიც სახლობს დანგრეულ საყდრის კედელში და იგი ახლა კი არ ვიხილე, არამედ ენაზე ბავშვობაში და ახლა უეცრად ამოსრიალდა მეხსიერების ბნელი ხვრელიდან, ვით დანგრეული საყდრის კედლიდან. რომ დამინახა ...დანარჩენი ისე მოხდა, როგორც ლექსშია.*

## ნება

აი აქ ასე გავივლიო, გაიფიქრა და
ისე გაიარა, როგორც უნდოდა.
მერე დანარჩენ სავალზე იმ კაცს
საგზლად ეყო,
უფრო სწორად გამოიზოგა
გზის ის ნაწილი,
აი აქ ასე გავივლიო, რომ გაიფიქრა.

## ფრენბურთი სიტყვებით

მაშინ ხომ სხვა დრო იყო, მეტყვი,
გეტყვი, მუდამჟამს სხვადასხვა დროა.
და დაგიბრუნებ,
როგორც ფრენბურთის თამაშისას
უბრუნებენ ბურთს იქით მხარეს.

თანაც დრო უნდა გასწვდეს იმ სივრცეს,
რომელსაც თავზე გადაუფრინა,
ვით ქორის ჩრდილმა.
თუ ვერ გასწვდება,
როგორც ტრაქტირის მოკლე საბანი .
ლამანჩელ რაინდს,
მაშინ ის დროც ვერაფერი შვილი ყოფილა.

მაშინ სულ სხვა დრო იყო, გაიმეორებ,
და დაგიბრუნებ
როგორც ფრენბურთის თამაშისას
უბრუნებენ ბურთს იქით მხარეს.

## ორ მაისს დაწერილი ლექსი

ორი მაისი შემოსულა თბილის-ქალაქში,
პირველი კი არ შემოუშვეს
ქუჩებში გუშინ,
გადაკეტეს ქალაქის ყველა შემოსასვლელი
და გააბრუნეს ხელში პლაკატით.

ახლა სადღაც შორს
ცხრა მაისი შიშითა ფიქრობს,
რა მეშველება,
ნეტავი მე თუ შემიშვებენ თბილის-ქალაქში?
თუ გამაგდებენ
და ათ მაისს დაუძახებენ?

## მეტამორფოზა

და ვეღარ ვამჩნევთ
ბაღში უჩუმრად აყვავებულ
ნუშის ხისა და
უჩუმრად ფოთოლგაყვითლებულ
მუხის გმირობას.

და ჩვენი ავტობიოგრაფიაც
ნახე, როგორ გვეამაყება.

## აპოსტოლური გეოგრაფია

სულგანაბულნი დგანან ზღვები, ოკეანენი
და ბოლო წარღვნას ელოდებიან.
მდინარეებს კი ჩააქვთ ამბები
და სისხლისფერი ინფორმაციით
მუხტავენ ღრუბლებს.

## საუბარი

ეგრე იდგნენ და
ათას რამეზე ლაპარაკობდნენ.
თან გაჰყურებდნენ ცარიელ სივრცეს,
გალიპლიპებულს ათასი რამით.

## კოკისპირული

იმდენი ლორლი ჩამოიტანა ღვარცოფმა გუშინ
რომ კიდევ ერთი ნაბიჯითაც მიუახლოვდა
მინდორი ზეცას,
ოღონდ მთის ხარჯზე.

## შეხვედრა

*ო.თ-ს*

აქა გნახე მაშინ შენი
ორი ცოლის თანხლებით,
გვერდებს როგორ გიმშვენებდნენ
გამხდრები და მაღლები.

ვითომდაც ვერ შეგამჩნიე
ჩაგიქროლე ქარივით,
ორი ფიქრი ჩამრჩა გულში
შენი ორი ქალივით:

ეს რა ვქენი მუსლიმანმა,
ჩემ ქრისტიან მეგობარს
ავერიდე, - საძრახისი
სატანჯველად მეყოფა;

თუმცა ის სჯობს გულს ჩავუქრო
სახიფათო დენთები.
აქ ჩავლისას მუდამ ორი
ცოლით გამახსენდები.



თინიკო ხუცურიძე

# შენი მზერა უპოლდება – ვიწრო ალმართებს

* * *

როცა შუადღეებს,
შიშისგან თვალები უფართოვდებათ და
კოშკებზე შემომსხდარ ყვავებს,
ნისკარტებზე უბრწყინავთ ვერცხლი -
ჭერზე ჩამოკიდე სავარცხელი მწიფეკბილება
და წაუმღერე რამე ხელისგულებაქავებულმა.
თუნდაც, სიყვარულზე წაუმღერე რამე
დღეს რომ არავინ აღარ იჯერებს,
რომლითაც მონამცეცებულ,
მაგიდებს წმენდენ ღამის ბარებში
ან წყალივით ღვრიან ასფალტზე.
თუნდაც უმღერე იმ ქალაქზე.
ყოველღამ რომ ხედავ სიზმარში.
ღამე ხომ შენს თავს ზემოთ,
სიზმრებს ზემოთ,
წყება-წყება სახურავის კანზე
მილიონობით მოთქარუნე ნემსი ესობა
და მისი ჟანგისფერი კანიდან,
ჟანგისფერი სისხლი მოხმაურობს მხრების გასწვრივ,
ყვრიმალებს გასწვრივ.
და ამ სისხლის წვიმაში გძინავს,
მშვიდად, გულაღმა თვალებგაღებულს.
ამ თვალების მოქანავე კარში კი
შლეგიანივით დაჰქრის ჩრდილოეთის ცისფერი ქარი
და შენს სიზმარზე უყვება ყველას.
შენს ქალაქზე,
შენს სიყვარულზე,
შენს სისხლზე
ჟანგისფერზე და სიმშვიდემდე მკრთალზე.
თუნდაც უმღერე იმ ზაფხულზე,
იმ სითბოზე,
იმ ქალაქზე,
სადაც არასდროს არა ყოფილხარ და
რაზეც მხოლოდ სიზმარში დარდობ.
უამბე, როგორ ეშინიათ
ვერცხლისფერ ყვავებს თეთრი შუადღის
და ნისკარტით კბენენ ყვავილებს,
რომ სავარცხლებს გაუხმეს ძირი
და ვერ უმღერებ ქალაქების შეშლილ სიზმრებზე,
ძაფებივით მოქანავე თეთრი ხელებით.

* * *

მერცხლები მოფრინავენ, შავთვალა მერცხლები
კენკავენ ქალაქს
სინქრონულად, ულიმიან სარკეში ერთურთს
უქებენ ექსტრავაგანტურ ვარცხნილობას
ფარული მზერით.
მერცხლები მოფრინავენ, ლილისთვალა მერცხლები
კენკავენ ადამიანთა სახეებს მიმოფანტულს
ქალაქების ფართო კუთხეებში.
კენკავენ მიწას,
მიწასავით შავი თვალებით
უყურებენ ვიწრო ქარავანს აბლავლებულს
ცალფერდა მთაზე.

მერცხლები მოფრინავენ ცალფეხა მერცხლები,
ღამისთვალა მერცხლები მოჰკივიან
შიშველი ფრთებით
ტყლაშუნებენ ფანჯრების მკერდზე
და ყრუდ სტკივათ ფეხის თითები,
რომელთა შორის ჩაჭედებულ ლურსმნების თავებს
მათი ბუმბულის სითბოს მტვერში ფერი ეცვალათ,
ლალისთვალა მერცხლების მტვერში
ვერ ხედავენ დაშლილ ქარავნებს,
წყება-წყება მოხეტიალეთ ცალფერდა მთაზე -
აბლავლებულ ვიწრო ქალაქში.
მერცხლები მოფრინავენ, შავთვალა მერცხლები
მიკენკავენ ხელისგულს მწარედ და სხეულზე
აცვდებათ სითბო
და სხეულზე აცვდებათ ჟამი.
თბილ გულებში
უტყდებათ სარკე.

* * *

ნინოს

*შენ შეიჭერი თმები თანაბრად -*
*შორს, სიჩუმეში ავარდა კვამლი.*

ნეტავი დაგელია, ერთი ჭიქა საწამლავი როგორმე
და მერე თუნდაც,
ამოგსვლოდა ბოლმა ლამაზად ტუჩის კუთხეებში
თუნდაც გადაგელო, ლამაზი ფოტო
შემოდგომის ქარიან ღამეს...
ნეტავი დაგელია თვალები
მზერაში; გაგიჩნდა ეჭვები ჭარბად
შემოეხვია თავის ქალას ქრისტეს გვირგვინივით.
დაგელია სისხლი ფრჩხილებიდან
ხელის მტევნებიც ჩამოგიჭკნა მიუსაფარო.
ყველა ფანჯრიდან დედაბრის თვალები
მოგეწია მხრებამდე, შემოგწვდა
თოვლნარევი ღამე
მიმოფანტული წარსულით ქვებზე.
ქვებს კი დააჩნდათ კალმახების ნაფეხურები,
აგრერიგად რომ დაეძებდი ძველი ხელჯოხით.
დაგელია ნეტავი თეთრი ღვინო და
თეთრი ხელებით მოგეხარშა ღვიის ფესვები,
დაგეძახა ჩემთვის უბრალოდ და
მერე თუნდაც წამოგეწყო სიმღერა ღმერთზე
და მერე თუნდაც,
ამოგსვლოდა თვალში ეკალი -
თბილ მიწებისთვის შეგემღერა დითირამბები,
გეკრიფა სეტყვა, მინდვრებიდან
თეთრი სეტყვა თეთრი ხელებით
მოგეწოდა მწიფე ნაყოფი.
დაგელია ნეტავი ცხელი ღვინო და
ცხელი ხელებით დაგეხატა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამწვარი სახლი.
ამ სახლში წვიმა და წვიმაში შემკრთალი ბალღი.
დაგეძახა უბრალოდ მისთვის,
რომ ყველაფერს ახდოდა ფარდა,
რომ ყველაფერს გეტყოდა ბოლოს
ბალღი წვიმაში,
გადამწვარი კედლების გასწვრივ.

* * *

*ჩემს დეიდაშვილს,*
*თვალები რომ ასტკიოდა წუხელ*
*და ჩაის ნაყენს იდებდა ფრთხილად.*

შეიკარი,
შუბლი და საკინძე მჭიდროდ
ჭიმკარივით თითებით
შეიკარი თმები კეფაზე,
რათა ვიღიღინოთ მაწანწალა ბოშებზე
თვალები რომ ევსებათ ქარით.
ვიღიღინოთ ბოშა ბალღებზე
შავ თოჯინებს რომ აძინებენ ყოველ საღამოს
და ასრულებენ სევდიან ცეკვას მტვრიან ბილიკზე.
შეიკარი თითები თმებით -
ხის ქოშები გადააბი ერთმანეთს მჭიდროდ,
გადაყარე ფანჯრიდან წყალში.
გადაყარე ძველი ნივთები,
რადგან ღამეა უსასრულოდ გრძელი და მოკლე.
გრძელი ნაწნავით ვარდისფერ ტანში იგრძნობ სიცივეს
და იგრძნობ სითბოს მკათათვეში ჩაწოლილს პირქვე.
შეიკარი,
სუნთქვა ბოლომდე კაბასავით და
მის ზონარზე გამოაბი ბაირაღები,
რომ დავიცვათ მშვიდობა სულში
დავამშვიდოთ თეთრი მერცხლები
და გულაღმა დავუწვეთ ქარებს
აღმა რომ ჰქრიან.
შეიკარი,
შუბლი და კაბა წმინდანივით
წარმოსთქვი ლოცვა,
რომ გულთეთრა მთვარეს შერჩენია სისხლის წვეთები,
სისხლის წვეთები გიგრილებენ გამთბარ ბილიკებს
შენს სხეულს, რომ მოსდებია ყაყაჩოსავით
და ყრუდ ჰკვნესიხარ:
წითელ ღამიდან მიცქერიან თევზის თვალები
და დღე სავსეა კმაყოფილებით...

წელკავივით მიჭერს სუნთქვა საყლაპავ მილში
და ჯიბეში ვითბობ ხელებს, რომ ვიმღერო განთიადამდე
მაღალ სახლებზე,
მაღალ გზაზე, სადაც ურემივით მიჰრიალებს დღეების
ხროვა
და იმათგან ავარდნილი მტვრის ნაფლეთები
შენი ძვლების ნასვრეტებში იკეთებს ბინას -
მის შორეულ კუთხეებში იყუჟება
ვინმემ რომ არ გამოათრიოს თვალისბრიალით.
მე ხომ გითხარი წელკავივით მიჭერსო სუნთქვა.
შენ კი არ გჯერა და თვალებში მტვერივით მაყრი სიამის
სიტყვებს -
თუ მოვიწყენ წამიყვანენ ზღვისპირა ქოხში
და მიწაზე დავწერ წერილებს ხელისმტევნებით
ავიღებ ქვიშას, ავიღებ წყალს
და ორივეს გადავუშვებ საყლაპავ მილში,
რომელიც ისე დავიწროვდა შეიძლება შენს მზერასთან
ერთადაც
გაეტიოს ნემსის ყუნწში
და ჩვენ ერთად მოვქარგოთ ფარდა
ან უმოძრაოდ ჩავესვენოთ ბალიშის ზურგში -
ღამღამობით პატრონი რომ აღარ აკითხავს
მისი თმები აღარ ათბობს და ნემსებიც ჩხვლეტენ
გაბმულად.
თითისტარიც გაბმულად ზმუის ყურთბალიშის
ცარიელ მკერდზე.
შენი მზერა უტოლდება
თოვლის კაცების ლილისფერ ქუდებს -
იმათ ნაბიჯებს მძიმეს და ღუნეს.
შენი მზერა უტოლდება - ვიწრო აღმართებს
მე ხომ აღმართში წელკავივით მიჭერს სუნთქვა
და თოვლს ვიყრი საყლაპავ მილში
და ჯიბეში ვიყრი მკვდარ ჩიტებს, რომ დავმარხო
ჩვეული წესით -
დიაკვანმა წაუკითხოს ნორჩი ფსალმუნი
შენ კი ნუ ზიხარ შიშველ მიწაზე
ბოლოს და ბოლოს გაგიჩნდება მწარე წელკავი
ანდა სისხლი წაგივა აღმა მწვერვალებისკენ,
სადაც თოვლი მოდის თანაბრად.
მე კი დავწერ ხელისმტევნებით, რომ მარტო ვზივარ
უსიცოცხლო ხეების ჩრდილში
და მხრებზე მიზის უკოპლებო ჭიამაია.

ატილი

## ზვიად რატიანს - წიგნები რომ გვიძლვნა ძვებივით.

*თოვლის კაცები მოდიოდნენ*
*და თვალებში ჰქონდათ თოვლი...*

შენ მხოლოდ ძვლების ნახვრეტებში შემოგრჩა მტვერი,
მზერა კი ისე დაგიწვრილდა
ნემსის ყუნწშიც გაეტევა ბოლოს და ბოლოს
და შეიძლება ჩემს კაბასაც მიაკერო პატარა ჯიბე.
მე ხომ ყოველ საღამოს

## ნესტავი დაბელია

იამზე გაგუა

# "მსუბუქი სიყვარულის ხალისიანი მომღერალი"

"მორჩილ მსოფლიოს ვიდრე რომი ზვიადად დასცქერს, არ მოაკლდება ჩემს ლექსს მკითხველი", - ამბობს ოვიდიუსი ერთ-ერთ ელეგიაში. მაგრამ, მან ერთი რამ ვერ განსაზღვრა: რომის დიდება კარგა ხანია ჩაბარდა წარსულს, ლექსები კი დღესაც ცოცხლობს. თუმცა, ეგებ პოეტი ძლევამოსილი იმპერიის დედაქალაქს კი არ გულისხმობდა, როცა ამ სტრიქონებს წერდა, არამედ პოეტური შედევრებით მდიდარ რომს.

ოვიდიუსი იმ რჩეულ პოეტთა რიგებს ეკუთვნის, ვინაც სიცოცხლეშივე მოიპოვა აღიარება თავისი ვირტუოზული ლექსებით. რომის იმდროინდელი საზოგადოება გატაცებით კითხულობდა პოეტის პირველსავე ნაწარმოებებს - ელეგიების კრებულებს: "ტრფობანს", "ჰეროიდებს", "ტრფობის ხელოვნებას", "ტრფობისაგან განკურნებას" და ტრაგედია "მედეას". პოეტმა კარგად აუღო ალლო საზოგადოების მოთხოვნილებებს, იგრძნო, რითი შეიძლებოდა მისი დაინტერესება. არცთუ შორეული წარსულის კოშმარული სურათებისაგან გადაღლილი რომაელი ხალხი თავდავიწყებით დაეწაფა იმ დიდ სიკეთეს, რაც მას "ავგუსტუსის ზავმა" მოუტანა. ეს იყო მშვიდობა. რომის არისტოკრატიამ იგემა სიტკბო ხალისიანი ცხოვრების, დროსტარების, განცხრომის. იმ დროს, როცა ავგუსტუსი რეფორმებით ცდილობდა დაცემული მორალის აღდგენას, ოჯახის განმტკიცებას, ოვიდიუსი თავისი მხიარული ეროტიული ლექსებით სიყვარულის მასწავლებლად მოევლინა რომაელ ახალგაზრდებს.

"ცოლის ღალატი მხოლოდ უბირ სოფლელს აწუხებს,
ქალაქურ წესებს ვინაც არ იცნობს",

წერს პოეტი "ტრფობანში". ეს სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ნიშნავდა, ქორწინების რღვევა ხომ კულტურის ნიშნად იყო აღიარებული. ოვიდიუსს სურდა ეგრძნობინებინა ავგუსტუსისათვის მისი რეფორმების უტოპიურობა. თავისი წინამორბედი ელეგიკოსი პოეტების: პროპერციუსისა და ტიბულუსისაგან განსხვავებით, ოვიდიუსმა აქცენტი პოეტიდან მკითხველზე გადაიტანა, მის მიერ აღწერილ სამიჯნურო თავგადასავლებში მკითხველი თავის თავს შეიცნობს, იგი პოეტთან ერთად ხდება თანამონაწილე სატრფიალო სცენებისა.

"ჰეროიდებში", სატრფიალო ელეგიური კრებულებისაგან განსხვავებით, ოვიდიუსმა მითოლოგიურ პერსონაჟთა სულიერი დრამატიზმი დაგვიხატა. ეს არის მოგონებებით, სევდითა და ტკივილით სავსე მონოლოგები: მედეას, დიდოს, ჰიპსიპილეს, პენელოპეს, ჰეროს და სხვა, რომლებიც ბარათების სახით არის წარმოდგენილი. ოვიდიუსმა ამ ნაწარმოებით დაამკვიდრა რომაულ პოეზიაში წერილების ჟანრი.

იგი თავის თავს "მსუბუქი სიყვარულის ხალისიან მომღერალს" უწოდებს. რატომ არჩია პოეტმა ასეთი სახელით შემორჩენოდა შთამომავლობას? იქნებ იმიტომ, რომ სატრფიალო ელეგიებმა მას არნახული პოპულარობა მოუპოვა. ოვიდიუსს, ალექსანდრიული ხანის პოეტების მსგავსად, ნებისმიერ საგანსა და მოვლენაზე შეეძლო წერა. ტრაგედია "მედეას" ავტორი ქმნის ისეთ პოემებს, როგორებიცაა "სახის ნელსაცხებლები" და "მეთევზეობისათვის".

თავისი ნიჭი და პოეტური ტალანტი ოვიდიუსმა სრულად გამოავლინა პოემა "მეტამორფოზებში". სენეკას შეფასებას თუ გამოვიყენებთ, "ოვიდიუსი ჩვეულებრივ ფრაზას საოცარ ექსპრესიულობას ანიჭებდა". ეს კარგად იგრძნობა სწორედ ამ პოემაში. "მეტამორფოზებმა" ოვიდიუსს მსოფლიო აღიარება მოუპოვა, ოღონდ არა სიცოცხლეში. ეს ის პოემაა, რომელიც "წარმართულ ბიბლიად", "სიბრძნის წყაროდ" ითვლებოდა შუა საუკუნეებში. ეს ის პოემაა, რომელიც გადასახლების წინ პოეტმა ცეცხლის ალს მისცა. რატომ? ამაზე პოეტი ორჭოფულ პასუხს იძლევა "სევდანში".

"ან იმიტომ რომ, ვერ დავხვეწე, ვერ მოვასწარი,
ან დამნაშავე მუზა შემძულდა,
მაგრამ ვიცი, რომ ხელნაწერი ბევრი შემორჩა,
რაკი გადარჩა, დაე იცოცხლოს.
მკითხველებს სმენა დაუამოს მოცლილობის ჟამს
და ჩემი თავი არ დაავიწყოს.
ნურც მოთმინება დაელევა ვინმეს კითხვისას,
რადგან ლექსს ჩემი დააკლდა ხელი,
შუა ჩარხვისას გამომტაცეს ხელიდან წიგნი
და დამრჩა ასე გაურანდავი,
ქებას ჩვეული ახლა შენგან წყალობას ვითხოვ,
ჩემო მკითხველო, ნუ მომიძულებ".

მეორე პოემა "ფასტები", რომელშიც რომაული წესჩვეულებებია აღწერილი, პოეტს დაუმთავრებელი დარჩა. არც ამის მიზეზია ჩვენთვის ცნობილი. იგი თავდაპირველად ავგუსტუსს ეძღვნებოდა. როგორც ჩანს, პოეტმა დაკარგა ყოველგვარი იმედი შეწყნარებისა და აღარ ინება პოემის დასრულება, ან იქნებ სათანადო მასალის უქონლობამ შეუშალა ხელი. ვინ იცის? ბევრი ასეთი კითხვა დაგვიტოვა ოვიდიუსმა პასუხგაუცემელი. მათ შორის კი ყველაზე მთავარი: რატომ მოიძულა იგი ავგუსტუსმა და რატომ არ შეიწყნარა პოეტი არც მან, მისი სიკვდილის შემდეგ კი არც ახალმა იმპერატორმა - ტიბერიუსმა. ამ კითხვაზე პასუხს ოვიდიუსი "სევდანსა" და "წერილებში პონტოდან" გვაძლევს, უკეთ რომ ვთქვათ, თავისი უბედურების მიზეზზე ისე საუბრობს, რომ უფრო აბუნდოვანებს მას. ასე რომ, შთამომავლობას ოვიდიუსმა საინტერესო გამოცანა შესთავაზა, რომლის ამოხსნას დღემდე ცდილობს მისი მკითხველი. იცოდა კი ოვიდიუსმა მიზეზი, რისთვისაც გაასახლა იგი იმპერატორმა? - ასეთი კითხვაც კი გაუჩნდა ზოგიერთ მკვლევარს.

"შორს იუპიტერისაგან, შორს საფრთხისაგან", - გვეუბნება ლათინური ანდაზა. ამასვე გვასწავლის პოეტიც:

"იცხოვრე, შენი არვის შურდეს, სახელს ნუ ეძებ,
და იმეგობრე შენს თანატოლთან".

მკითხველთა პატივისცემითა და სიყვარულით ოდესღაც განებივრებულ ოვიდიუსს უკანასკნელი სურვილიც არ შეუსრულდა - მისი ფერფლი მშობლიური მიწისათვის მიებარებინათ. ტრაგიკულმა ბედმა პოეტს მწარე სენტენცია ათქმევინა:

"ბედი თუ გწყალობს, მეგობრებიც გარს გეხვევია,
ხელმოცარულს კი ყველა ზურგს გაქცევს".

**ოვიდი**



პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი

# ჰეროიდები

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ლეანდროსი ჰეროს

აბიდოსიდან (1) გიძღვნი სალამს სესტოსელ (2) ასულს,
მერჩია თავად მოგსალმებოდი,
ზღვა მიშლის მოსვლას. თუკი ღმერთები ინებებენ
ჩემს დახმარებას, თვალსევდიანი
წაიკითხავ მაშინ ამ ბარათს. მაგრამ არ უნდათ
შეისმინონ ჩემი ვედრება, რომ
გადმოვცურო ნაცნობი ფონი. ხედავ, შავია
კუპრივით ზეცა, გაშმაგებულა
ქარისგან ტალღა. ძლივს მოახერხა ერთმა ნავით
ზღვაში შეცურვა. სწორედ მას ვანდე
ჩემი ბარათი. მსურდა მეც თან გამოვყოლოდი,
მაგრამ როდესაც ბაგირს ქიმს ხსნიდა,
მთელი ქალაქი კოშკებიდან მას შესცქეროდა,
ვეღარ შევძლებდი წინანდებურად,
რომ დამემალა საიდუმლო მშობლებისაგან.
შენთან სათქმელი გავანდე წერილს,
ბედნიერს, ვისაც შეეხება შენი თითები,
იქნებ ტუჩებიც, თუ ნასკვის გახსნას
მოისურვებ ბროლის კბილებით. კეთილ სამსახურს
მიწევს ახლაც ჩემი მარჯვენა და
კალმით მშველის. თუმც ურჩევნია ზღვასთან ჭიდილი.
შვიდი ღამეა ბობოქრობს ყურე,
მე კი მგონია, უკვე ერთი წელი გავიდა.
მშვიდი სიზმრები რომ მენახა,
არ ვიდარდებდი ზღვის სიშმაგეს ასე ძალიან.
კლდიდან გავცქერი შენს სანაპიროს.
მეჩვენება, თუ მართლა ვხედავ შუქს სადარაჯო
კოშკურის თავზე. სამოსი სამჯერ
მოვისროლე ქვიშის ნაპირზე, სამჯერვე ვცადე
რომ სახიფათო გზას დავდგომოდი,
მაგრამ ზღვა რისხვით შეეფეთა ჭაბუკურ ლტოლვას
და მოვარდნილმა ტალღამ ჩამძირა.
შენ რაღაც მებრძვი, ბორეასო (3), ყველა სწრაფ ქარზე
უბობოქრესო? ნუთუ ვერ ხვდები,
ზღვაზე უფრო ხელს რომ შენ მიშლი? იქნებ არ იცი
ტრფობის გემო, თუმცა ცივი ხარ და
ულმობელი, ვიცი აქტეელს (4) ვით შენატროდი,
მოსატაცებლად მისკენ წასული
ვინ შეგაჩერა, ანდა ვინმეს ამ თავხედობას
აპატიებდი? ნუ გაგაშმაგებს
ჰიპოტადე (5), გემუდარები... ტყუილად ვგოდებ...
ღმუილი ისმის ჩემს საპასუხოდ.
ნეტავ დედალოსს ჩემთვის ფრთები ებოძებინა,
ავფრინდებოდი მყისვე უშიშრად,
თუმც იკაროსი დაიღუპა ვიცი აქ სადღაც.
ბერჯერ ვეკვეთე სამულკველ ტალღებს,
არც ზღვა მინდობდა, აღარც ქარი. პირველ იდუმალ
ღამეს ვიგონებ... ნეტავი იმ დროს...
მწუხრი ბურუსად ეშვებოდა, როს გამოვედი
მამის სახლიდან შეყვარებული.
რა საამოა მოგონება... უმალ დავაგდე
ნაპირზე შიში და ტანსაცმელი.
მკლავები მშვიდად გადავშალე ლივლივა წყალზე.
და ნეტარებით გადმოვეშურე
შენს ნაპირისკენ. ღამის გზას მთვარე მინათებდა,
შევხედე მას და ვედრებით ვუთხარ:
"იყავ მოწყალე, თეთრო ქალღმერთო, გაიხსენე
ლატმოსის კლდე და ენდიმიონი (6).
მისი ხილვა ხომ შენ შვებას გგვრიდა. ამ მოკვდავისთვის
ციდან სიამით ძირს ეშვებოდი.
მომაპყარ სახე, გამინათე, გემუდარები,
ვისკენაც ვილტვი, ქალღვთაებაა,
სახით, ბუნებით, ოღონდ შენ ვერ გჯობს და ვერც ვენუსს (7),
მაგრამ სხვას ყველას ჩრდილავს სიტურფით.
შეხედე მას და დაიჯერებ მაშინ ჩემს ნათქვამს.
ვით შენ კიაფობ ვარსკვლავთა შორის,
გამორჩეულად ბრწყინავს იგი ლამაზმანებში.
ნუთუ ვერ ამჩნევ ამას, კინთია (8)?
ღამის მეგზურთან საუბარში ვსერავდი ტალღებს,
მთვარის ხატება ბზინავდა წყალზე.
ღამე დღესავით შუქნათელი იყო და მშვიდი.
წყლის ჩხრიალი-და წვდებოდა სმენას.
არ ვიცი, ტკბილად რად ჩამესმოდა ალკიონეს (9)
ხმა, სევდიანი კვნესა კეიკზე.
თუმც მხრებში დაღლა შემეპარა, თავაწეული
მხნედ მივაპობდი წყალს მამაცურად.
უცებ გამოკრთა შუქიც, ძალა მომეცა მეტად,
ტალღებიც თითქოს მორჩილი გახდა.
ზღვის ყინულივით ცივი წყალი აღარ მაკრთობდა.
თუ ვნების ცეცხლი გულში გიღვივის,

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაგავიწყდება ყოველგვარი დაქანცულობა.
მივდივარ წინ და შენი ნაპირიც
ჩემსკენ მოიწევს. ცურვა თანდათან მეხალისება.
თუ შორიდანვე მოგკარი თვალი,
ძალა, მხნეობა მემატება მე ერთი-ორად.
მსურს თავი ცურვით რომ მოგაწონო,
გულანთებული შეუპოვრად მოვანგრევ ტალღებს.
შენ შუა ზღვაში შევარდნას ლამობ,
გაკავებს ძიძა, არ სურს ცივ წყალში დაგისველდეს
ფეხები, მაგრამ... ვხედავდი, როგორ
დაუსხლტდი უცებ, გამოიქეცი, მომეხვიე
და ჩამეკონე უნაზეს კოცნით.
ღმერთნო მაღალნო! ამ კოცნისათვის ჭეშმარიტად
ღირს თავგანწირვით ტალღებთან ბრძოლა.
მერე სამოსი წამომხურე ნაზად ბეჭებზე
და დაიბერტყე სველი ნაწნავი.
შემდეგ რაც მოხდა, მხოლოდ ჩვენ ვიცით, ღამემ, კოშკმა
და მოგიზგიზე მაღლით ლამპარმა.
უფრო ძნელია სანეტარო ღამეთა დათვლა,
ვიდრე ჰელეს ზღვის წყალმცენარეთა.
ეს იდუმალი შეხვედრები რაც ხანმოკლეა,
მით უფრო ვცდილობ, დრო არ დავკარგო.
აი, განდევნა ღამე უკვე ტითონის ცოლმა (10)
და ლუციფერმა (11), ცისკრის ვარსკვლავმა
ამოანათა. დაფეთებულნი, დაბნეულნი
ვკოცნით ერთმანეთს, ძიძის ხმაც გვესმის, დრო დამდგარა
განშორებისა. ვწუხვართ, ვწუწუნებთ,
მაინც რა სწრაფად გაილია, გაფრინდა ღამე.
ძირს დავეშვები მაღალ კოშკიდან,
გემშვიდობები და ნაპირისკენ მივლასლასებ.
ზღვას ვუბრუნდები აცრემლებული.
თვალს მაყოლებ, ვერც მე გწყვეტ მზერას, ჩემო ძვირფასო!
შენსკენ მოვცურავ, მკლავმოუღლელად,
დამსხვრეულ გემის გადარჩენილ მეზღვაურს ვგავარ
იქითობისას. შენსკენ გზა ბევრად
მეიოლება. შენგან წასული, უძლური ვარ
ზვირთთან ჭიდილში და უხალისოდ
ვუბრუნდები მშობლიურ მხარეს. სულით და ხორცით
თანაზიარებს სამშობლო რად გვყოფს?
იქნებ მიმიღოს მე სესტოსმა, შენ აბიდოსმა.
შეიყვარებდი ჩემს მშობელ მიწას,
მე კი - შენსას. რა მემართება? ქარსა და ტალღებს
მშვიდად ვერ ვუცქერ. თუმცა რად ვღელავ.
აქ დელფინებმაც კი იციან ჩემი ამბავი.
თევზებისთვისაც არა ვარ უცხო.
როგორც ბორბლები თელავენ შარას, იმდაგვარად
მაქვს გაკვალული მეც ეს ტალღები.
სანატრელია ახლა ეს გზა, ჰაერით მაინც
შემეძლოს მოსვლა, მოვფრინდებოდი.
გათეთრებულა აქაფებულ ზვირთებისაგან
ათამანტის (12) ზღვა, ნავთსაყუდელი
საიმედო ის აღარ არის. ასეთი იყო
ალბათ მაშინაც, როდესაც ჰელე
შეიწირა, რომლის სახელი მას დღემდე შერჩა.
პირშერცხვენილი არის მის გამო.
ცოდვიანია, თუნდაც აწი მე შემიბრალოს.
შევნატრი ფრიქსეს, რა უხიფათოდ
გადაატარა ოქროს ვერძმა მწუხარე ყურე.
ვერძი არ მინდა, ოღონდ ტალღებმა
არ დამაბრკოლონ. არც ხომალდს ვეძებ, გადავცურავ
თავადაც კარგად. არქტოსს, ჰელიკეს (13)
არ ვაცქერდები ტირელივით (14). დარდი არა მაქვს
არც სხვა მნათობთა. ანდრომედას (15) და
კაშკაშა გვირგვინს, ციეი პოლუსის მანათობელს,
დიდი დათვის ხომლს სხვა მიაჩერდეს,
პერსევსის სატრფოს, ლიბერის (16) თუ იუპიტერის.
ჩემი იმედი შუქურა არის,
წყვდიად ღამეში მოციმციმე და მოკაშკაშე.
მისი ნათელი გამიკვალავს გზას
მე შორეთში, პონტოს ქვეყნისკენ, კოლხეთს, ოდესღაც
თესალიელნი რომ გაეშურნენ.
მას თუ გავყვები, დავჯაბნი ცურვით ღმერთადქცეულს
ბალახის ძალით და პალემონსაც (17).
როცა შევატყობ, უჭირთთ მკლავებს ტალღებთან ბრძოლა,
ჯილდოდ ვპირდები, რომ ჩემს სატრფოს ყელს
მოეხვევიან. ამით ვამხნევებ და ისინიც
მიჰქრიან, როგორც
აფრენილი ელადის (18) რაშნი. ჩემო ძვირფასო,
ვიცი, სიყვარულს ვნებს განშორება
და შენსკენ მოვქრი. შენ, ციციერო, გთხოვ, დამკვიდრდი
ჩვენთან მიწაზე, ან ღმერთებისკენ
მიმასწავლე გზა, საოცნებოვ. რა ხანმოკლეა
შენთან შეხვედრა, ბობოქრობს სული.
რა ბედენაა, თუ არ გვთიშავს ზღვა თვალუწვდენი?
ნაკლებ გვაწვალებს ეს ვიწრო ყურე?
მიჯობს შორს ვიყო და იმედი არ მქონდეს ფუჭი.
როცა ახლოს ხარ, ცეცხლი მით უფრო
მწვავედ მედება. ოცნება მუდამ ჩემთან არის,



სატრფო კი არა. ასე მგონია,
ხელს მივაწვდენ სასურველს ჩემსას, ისე ახლოა,
იმედწარკვეთილს ცრემლები მახრჩობს.
როგორც ტანტალოსს (19) გაუქრება ბაგესთან წყალი,
ტოტსმიტანებულ ხელებთან ხილი,
ასე წამიერ ვკარგავ იმედს შენი ხილვისა.
მაშ, დავიცადო ზამთრობით, სანამ
ზღვა შენთან მოსვლის ნებას დამრთავდეს? ქარიშხალსა
და ტალღებს როდემდე ვემუდარო
და ვიოცნებო? როცა ზაფხულის სითბო იყო,
არა უშავდა, ზღვა ამიმხედრეს
პლეადებმა (20), არქტოპილაქსმა (21) და ამალთეამ (22).
ჯერაც არ ვიცი, რას მაიძულებს
მე სიყვარული. გავბედავ ზვირთთან შეჭიდებას?
ცოტას დავიცდი და თუ მაინც ზღვა
არ დაწყნარდა, შევებრძოლები ტალღებს უშიშრად.
ან სიმამაცე მიხსნის, ბედსა მწევს,
ან სიკვდილს ვპოვებ ნაცვლად ჩემი სიყვარულისა.
მაშინ ვინატრებ, წყალმა გამრიყოს
და ჩემი გვამი შენს ნაპირთან ახლოს მოაგდოს,
ჩამიკრავ გულში, მოთქმით მიტირებ:
"ჩემი ბრალია, მე დავღუპე საბრალო სატრფო".
ვიცი, გულს გატკენს ეს წინათგრძნობა,
ამიტომ აღარ გავაგრძელებ, გთხოვ, მაპატიო.
ზღვას შევევედროთ, დაიცხროს რისხვა.
ცოტა ხნით მაინც მშვიდად იყოს, რომ გადმოვცურო.
როცა შენს ნაპირს მივაღწევ, მერე
არ მედარდება, თუნდ გაცოფდეს ისევ ქარიშხლით.
წყალს გადმოვანგრევ მე ხომალდივით
შენი ნაპირი საიმედო ნავთსადგურია
და სასურველი ყველაზე უფრო
შენი ზღვის წყალი... მანდ რომ ჩამკეტოს ბორეასმა
არ მივეცემი ნაღველს და ჭმუნვას,
გავიხანგრძლივებ შენთან ყოფნის სიამოვნებას.
და სანამ ყურე არ დამშვიდდება,
შინ დაბრუნებას არ ვიჩქარებ, დაველოდები
გამოდარებას. არ ვიწუწუნებ,
არ შევრისხავ ბობოქარ ტალღებს, გაავებულ ზღვას.
დე, შემაჩეროს მანდ ქარიშხალმა,
უამინდობამ და დაღლილმა სხეულმა ჩემმა.
მაშ, ასე, ვუცდი გამოდარებას,
მოვუსვამ მკლავებს ნიჩბებივით მერე თამამად.
შენ ფხიზლად იყავ. ლამპარს მიხედე,
რომ მის შუქს მივყვე. მანამდე თავი შეიქციე
ჩემო ძვირფასო, ბარათის კითხვით.

ლათინურიდან თარგმნა იამზე გაგუა

კომენტარები:

1. აბიდოსი - ქალაქი ჰელესპონტის ყურეში, მცირე აზიის სანაპიროზე.
2. სესტოსი - თრაკიის ქალაქი ჰელესპოტის ყურეში, აბიდოსის საპირისპიროდ.
3. ბორეასი - ჩრდილოეთის ქარი.
4. აქტეელი - ორითია, ათენის მეფის ერეხთევსის ასული.
5. ჰიპოტადე - ეოლოსი, ქართა მბრძანებელი.
6. ენდიმიონი - ლამაზი მწყემსი (მონადირე), რომელსაც მუდმივი ძილით სძინავს კარიაში, ლატმოსის კლდეზე, სადაც ეშვება მთვარის ქალღმერთი ქვეყნიერების შემოვლის შემდეგ, რათა დატკბეს ჭაბუკის მშვენებით.
7. ვენუსი - აფროდიტე.
8. კინთია - დიანას ეპითეტი. კუნძულ დელოსზე, კინთის მთაზე იშვნენ აპოლონი და დიანა.
9. ალკიონე - ეოლოსის ასული. როცა თავისი მეუღლის - კეიქსის დაღუპვის ამბავი შეიტყო, თვითმკვლელობა განიზრახა, მაგრამ იგი ღმერთმა შეიბრალა და ფრინველად აქცია.
10. ტითონის ცოლი - ეოსი (ავრორა).
11. ლუციფერი - დილის ვარსკვლავი.
12. ათამანტი - ორქომენის მეფე, ნეფელეს მეუღლე, ჰელესა და ფრიქსეს მამა.
13. ჰელიკე - ლიკაონის ასული, რომელსაც ეტრფოდა იუპიტერი. ეჭვიანმა იუნომ ქალი ძუ დათვად აქცია. შემდგომ თანავარსკვლავედი. არქტოსი - დათვის თანავარსკვლავედი.
14. ტირელი - კართაგენელი.
15. ანდრომედა - ეთიოპიის მეფის - კეფევსის ასული, რომელიც ურჩხულისაგან იხსნა პერსევსმა. შემდგომ თანავარსკვლავედი.
16. ლიბერი - დიონისე, ბაქუსი.
17. პალემონი - (მელიკერტე). ინოსა და ათამანტის ძე.
18. იგულისხმება გლავკუსი, ვინც ჯადო ბალახმა ღმერთად აქცია.
19. ელიდი - პელოპონესის მხარე.
20. ტანტალოსი - იუპიტერის ძე, ფრიგიის მეფე, რომელიც ქვესკნელის სამეფოში მუდმივ შიმშილსა და წყურვილს განიცდის.
21. პლეიადები - (პლეადები) შვიდი კაშკაშა ვარსკვლავი.
22. არქტოპილაქსი - მენახირის ხომლი.
23. ამალთეა - ღვთაებრივი თხა (თუ ნიმფა), რომელიც კვებავდა ჩვილ იუპიტერს.



სლავომირ მროჟეკი

# ჩემი ავტობიოგრაფია



შეიძლება თუ არა ჩემი ბიოგრაფიით დაინტერესდეს ადამიანი, რომელსაც აქამდე არაფერი სმენია ჩემს შესახებ? სპილოებზე მე არ მინადირია, არც მზვერავი ვყოფილვარ და ჯონ კენედის საყვარლობითაც ვერ დავიკვეხნი. ყველაზე ბანალური ცხვანაშაულიც კი არ ჩამიდენია და გარყვნილიც არასოდეს ვყოფილვარ. და თუკი ჩემს ბიოგრაფიაში არაფერია პიკანტური, მაინც რითი უნდა დავაინტერესო ფართო საზოგადოება? მე მხოლოდ ვცხოვრობდი ამ სამყაროში. გამოვცადე მეორე მსოფლიო* ომი, გერმანელების მიერ პოლონეთის ოკუპაცია, სტალინური კომუნიზმი და მისი შედეგები, თუმცა, აბა რა არის აქ არაჩვეულებრივი, მილიონმა ადამიანმაც ხომ იგივე გამოსცადა. აგერ უკვე 27 წელია გრძელდება ჩემი ემიგრაცია და მასშიც არაფერია განსაკუთრებული.

დავიბადე 1930 წლის 29 ივნისს. როგორ მოხდა ყველაფერი, არ მახსოვს და ამიტომაც იძულებული ვარ, მხოლოდ მჯეროდეს ამის. თუკი არსებობს სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, მე, ალბათ, იქ, იმ მეორე ცხოვრებაშიც არ მეხსომება ჩემი აღსასრული. სევდა მერევა ხოლმე, როცა ამას ვუფიქრდები. ეს ხომ არსებითად იმას ნიშნავს, რომ ადამიანები არც საკუთარ არსებობაში ვართ დარწმუნებულნი და არც არყოფნაში.

მამაჩემი ანტონიუსი მოხუცი გლეხის, იგნაციუსის შვილი, წარმოშობით სოფელ პორომბკა უშევსკადან გახლდათ (კრაკოვის სავოევოდო). იგნაციუსის ოჯახში შვიდი ბავშვი იყო. როცა მამამ დაწყებითი სკოლა დაამთავრა, თვითნებურად გაემგზავრა სამაზრო ქალაქ ბუესკოში გიმნაზიაში სასწავლებლად, მაგრამ საშუალო განათლების მიღება მან მაინც ვერ მოახერხა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1920 წელს პოლონეთისა და ბოლშევიკების ომი დაიწყო და მამაჩემი, რომელიც მაშინ ჩვიდმეტი წლისა იყო, სხვათა მიბაძვით, მოხალისედ ჩაეწერა ჯარში.

დემობილიზაციის შემდეგ მამა გიმნაზიაში არ დაბრუნდა, დიდხანს გაჭირვებაში ცხოვრობდა: ხშირად ისე ხდებოდა, რომ პერანგს საზოგადოებრივ ტუალეტში რეცხავდა ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, მან მოახერხა საფოსტო ჩინოვნიკის, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, "აგენტის" თანამდებობა მოეპოვებინა, სოფელ ბოჟენცინში, მშობლიური პორომბკადან თექვსმეტი კილომეტრის მოშორებით (სხვათა შორის, მეც იქვე დავიბადე). ერთი სიტყვით, მამაჩემი ბარიერის მიღმა აღმჩნდა, ბარიერისა, რომელიც, როგორც წესი, ძალზე ძნელი გადასალახი იყო. უცებ იქცა "პანად", მოიპოვა ჰალსტუხიანი თეთრი საყელოს, შლაპის, ხელთათმანებისა და ხელჯოხის ტარების უფლება, ვალდებულება და პრივილეგია. როგორც "საფოსტო უწყების აგენტი", იგი ადგილობრივი "ინტელიგენციის" წრესაც დაუახლოვდა, რომელიც შედგებოდა სკოლის დირექტორისგან, მასწავლებლებისგან, ექიმისგან, მღვდლისგან და რძის მაღაზიისა და ფარდულ "ათასი წვრილმანის" მფლობელისგან. ამ "კაპიტალისტმა" დიდი როლი ითამაშა არამხოლოდ მამაჩემის, არამედ ჩემს ცხოვრებაშიც. ეს კაცი მალე ბაბუაჩემი გახდა.

მას იან კენძერი ერქვა, სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი, ზოფია, მამამისის საქმეების გამო ფოსტის ხშირი სტუმარი გახლდათ.

ანტონიუსი და ზოფია 1927 წელს დაქორწინდნენ, როცა მამა ოცდაოთხი წლის იყო, დედა კი ოცდაერთისა. 1928-ში ჩემი ძმა ეჟი დაიბადა (გარდაიცვალა ოთხი წლისა), ორი წლის შემდეგ კი მე, ბოლო ჩემი და იყო. მშობლები ნამდვილად არ იყვნენ იდეალური წყვილი, ძალზე განსხვავდებოდნენ ხასიათებით, ჩვევებითა და მიდრეკილებებით; საქორწინო სურათზეც კარგად ჩანს, რომ დედა წელში იხრება და ცდილობს თავი ჩაღუნოს, მამაზე მაღალი რომ არ გამოჩნდეს, მისი ქმარი კი არაბუნებრივად გაჯგიმული დგას. სიმბოლური ფოტოა; მაგრამ ძლიერმა ურთიერთგრძნობამ, ერთმანეთისადმი უპირობო ერთგულებამ აიძულა ისინი, წლების მანძილზე ერთად ეცხოვრათ და არასდროს შეპარვოდათ ეჭვი თავიანთი არჩევნის მართებულობაში.

როცა სამი წლისა გავხდი,მამა კრაკოვში გადაიყვანეს სამუშაოდ. მისთვის, სანიმუშო ჩინოვნიკისთვის, ეს მნიშვნელოვანი დაწინაურება იყო, ჩემთვის კი ქალაქში, ახალი ცხოვრების დასაწყისი. მამა სრულუფლებიანი ჩინოვნიკი გახდა. ყველანაირად ცდილობდა, შეგუებოდა ახალ გარემოს, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან თავს მეტიჩარად, პარვენიუდ მიიჩნევდა და მის ქცევაში ყოველთვის იგრძნობოდა რაღაც სიყალბე, არტისტიზმი. როგორც ბავშვი, მე ამას ინსტინქტურად ვგრძნობდი, რის გამოც ვიტანჯებოდი, რადგან მრცხვენოდა, მამაჩემის შვილი რომ ვიყავი. ხანდახან ცოფდებოდა, ზოგჯერ დეპრესია ეძალებოდა ხოლმე, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა მომხიბლავი და საინტერესო ადამიანი ყოფილიყო, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გადაკრულში იყო. მამას საერთოდ არ ჰქონდა თვითშეგნება, შესაძლოა, სწორედ ეს სრული გულუბრყვილობა და უცოდველობა იყო მისი მომხიბლაობის ძირითადი ელემენტი. მამაჩემის წყალობით, უფრო სწორად, მისი შემყურე, მე ადრეული ბავშვობიდანვე ვისწავლე ტკბილი ოცნებებისა და მწარე სინამდვილის ერთმანეთისგან გარჩევა. გაკვეთილი სასარგებლო კი იყო, სამაგიეროდ, ძვირად დამიჯდა ეს ყველაფერი.

ცხრა წლამდე ვითარება, რომელშიც მე დავიბადე და ვიცხოვრე, სავსებით ბუნებრივი და ნორმალური მეჩვენებოდა. შეძენილი ჩვევები, აღვისებული ცნებები თუ პრინციპები, მაშინ ერთადერთ შესაძლებელ და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებად მიმაჩნდა. მაგრამ მოგვიანებით დაიწყო ის, რამაც შეძრა ჩემი მსოფლმხედველობრივი ნაგებობა და განაპირობა მისი რღვევა. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ომი.

უაზრო ჰიპერბოლა იქნებოდა მეფიქრა, თითქოს ომი მხოლოდ ჩემი ბავშვური წარმოდგენების დასანგრევად დაიწყო. უფრო უმნიშვნელო რამეც საკმარისი იქნებოდა. ომის დროს ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს მეგატონიანი ბომბი ჩამოაგდეს ერთი კოღოს მოსაკლავად და მიზანსა და საშუალებას შორის არსებული ამ საზარელი დისპროპორციის შედეგად დაინგრა ყველაფერი და არამხოლოდ ჩემი მსოფლმხედველობა. მაშინ შევიძინე უფსკრულის, უსასრულო ვარდნის შეგრძნება თუ წინათგრძნობა (სწორედ რომ შევიძინე, რადგან იგი მხოლოდ ერთხელ კი არ განვიცადე, არამედ მუდამ თან მსდევს). ეს არ იყო ის ბანალური უფსკრული, რომელიც იწყება და ფსკერით მთავრდება, არამედ უფსკერო, არარადან უსასრულობამდე გადაჭიმული სიცარიელე. იგია დასაწყისიც და დასასრულიც, შუალედი კი მას არ გააჩნია.

ჯერ კიდევ პატარა, უკვე საკმარისად მონიფული ვიყავი იმისათვის, რომ პიროვნებად მეგრძნო თავი და გამეცნობიერებინა - მემკვიდრეობად მიღებული წარმოდგენებისა და პრინციპების სისტემა არც ერთადერთი იყო სამყაროში და არც საუკეთესო.

ახლა კი ყურადღება! ფანფარების, ორკესტრისა და ტუშის თანხლებით სცენაზე გამოდის სუპერმენის სამოსში გამოწყობილი კომუნიზმი (ეს კოსტუმი მან ჩემი თვალის მოსაჭრელად ჩაიცვა), პირზე ლამაზი ღიმილით (ესეც, რა თქმა უნდა, სპეციალურად ჩემთვის). გამოდის? არა, იგი უფრო წითელ არმიას შემოაქვს საკუთარი მხრებით. უცნაურია, თავიდან ეს ყველაფერი ისევე მესმოდა, როგორც სხვებს, ანუ იმ ნაცრისფერ, სახალხო პოლონეთს, ვისი გულისთვისაც და გადასარჩენადაც მობრძანდა კომუნიზმი. ძნელია უარესი ტყუილი მოიფიქრო, მაგრამ უფრო რთულია ისეთივე სახიფათო სალტო-მორტალეთი გადახვიდე ყირაზე, როგორითაც მე, როცა კომუნიზმისა ვირწმუნე.

კომუნიზმის ვირტუოზები გარკვეულ სიბრძნეს ფლობდნენ, არა უნივერსალურს, არამედ სპეციფიურს, რომლის დასახასიათებლადაც უფრო "სიმარჯვე" გამოდგება. ეს იყო ცალკეული პიროვნებებითა და ბრბოით მანიპულირების უნარი, რომელსაც ერთი მიზანი ჰქონდა - ხელისუფლების ხელში ჩაგდება და შენარჩუნება. კომუნისტების თეორიის მიხედვით აქედან უნდა ამოზრდილიყო ზოგადსაკაცობრიო ბედნიერებაც. როგორც ინტელექტუალურ შესაძლებლობათა და მატერიალური სახსრების, ნებისმიერი სხვა სახის კონცენტრაციას, მათ მონომანიასაც შესანიშნავი შედეგები მოჰყვა. როცა კომუნისტებმა ჩვენამდე მოაღწიეს, ისინი



უკვე საკმაოდ გამოცდილები იყვნენ. მათი თამაშის ხელოვნება, ე.წ. "ძალაუფლებობანა" პოლიტიკოსების ფარულ ალტაცებას იწვევდა, განსაკუთრებით, რეაქციული პოლიტიკოსებისას, ანუ მათი, ვინც თავისი არსებით, წესით კომუნიზმის მტრები უნდა ყოფილიყვნენ. ეს იყო დილეტანტების აღფრთოვანება პროფესიონალიზმით, უსაქმურებისა - მოხერხებულობით, ადამისდროინდელი ხელოსნების მოწიწება უახლესი დანადგარებით აღჭურვილი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების წინაშე.

ოცი წლისა მზად ვიყავი, ნებისმიერი პოლიტიკური იდეა მიმეღო, ოღონდაც იგი რევოლუციური ყოფილიყო. და ყველაფერი იმის გამო, რომ მე თავად განვიცდიდი საკუთარ, პირძო რევოლუციას.

დედაჩემი, ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც საუბარი შემეძლო, მძიმედ გახდა ავად, საავადმყოფოებსა და სანატორიუმებს არ შორდებოდა და მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში იგი სულ რამდენიმეჯერ ვნახე. ეს ავადმყოფობა რომ არა, მისი ტაქტიკურობა, სიბრძნე და ჩემდამი სიყვარული, ალბათ დამიცავდა და განმარიდებდა ამ სახიფათო სიბრიყვეს. ალბათ... მაგრამ ეს ვარაუდია. სახლი ჩემთვის აღარ არსებობდა, იშვიათად ვხედავდი მამაჩემს და არც ვნანობდი ამას.

კომუნიზმთან მე პირადი ანგარიში მაქვს, რადგან რომანტიული რევოლუციის გმირად მიმაჩნდა თავი და მსოფლიოში ყველაზე მურდალი და თვალთმაქცი წყობის ხელის ბიჭად ვიქეცი. მაშინ კრაკოვულ გაზეთ "ძენიკ პოლსკიში" ვმუშაობდი. ხოტბას ვასხამდი იოსიფ სტალინსა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. თუმცა, ყველაფერი ეს სამი თუ ოთხი წელი გაგრძელდა. ზუსტი თარიღი, თუ როდის მოვწყდი კომუნისტურ ძუძუს, არ მახსოვს, რადგან ეს დაშორება თანდათანობითი პროცესი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ძალიან მალე მოხდა. მეც, როგორც ჩანს, ჭკუა მეყო - და ვითარებაც დამეხმარა - საბოლოოდ დავმშვიდობებოდი ამ იდიოტიზმს.

დადგა ახალი ავანტიურის დრო და იგი ე.წ. "ლიტერატურული შემოქმედების" ფორმით დაიწყო. ჩემმა ჟურნალისტურმა გამოცდილებამ, როგორი სულელურიც არ უნდა ყოფილიყო იგი, საშუალება მომცა, დამეწერა და გამომეცა ჩემი ნაწარმოებები. საბოლოოდ ვთქვი უარი იდეოლოგიაზე, ჩემში წერის ნიჭი აღმოვაჩინე და შეიძლება ითქვას, გამიმართლა კიდეც. ქვეყანას ხომ ენატრებოდა ცოცხალი და მართალი სიტყვა.

ჩემი პირველი სერიოზული წიგნი, ანუ თავად ჩემს მიერ დაწერილი და არა ჩემი სიბრიყვით ნაკარნახევი წიგნი, 1957 წელს გამოვიდა და დიდი წარმატებითაც სარგებლობდა. ეს იყო ძალიან მოკლე და ყველანაირი გაგებით მწვავე მოთხრობები. თუმცა ოცდაათი წელი გავიდა, ზოგიერთი ამ მოთხრობათაგანი დღემდე შემორჩა ჩემი თაობის ადამიანთა მეხსიერებას, ანუ მათ, ვისთან ერთადაც გავატარე ახალგაზრდობა და გავიზიარე ყმაწვილური სიხარული და ენერგია.

სამოციანი წლების დასაწყისში დედაქალაქმა, ვარშავამაც გულთბილად მიმიღო, სადაც კრაკოვიდან გადავედი საცხოვრებლად "უკვე სახელგანთქმული მწერალი".

ჩემი დიდება კიდევ უფრო გამყარდა, როცა დასავლეთის ბაზარზე გავიჭერი, სადაც ისევე მალე მოვიდა წარმატება, როგორც პოლონეთში. არადა, ფარდა მაშინ მართლაც რკინის იყო, ახლანდელი, ნეხვის ფარდისგან განსხვავებით.

ძალიან ადრე, 1959 წელს დავქორწინდი და ამ შემთხვევაში ასაკს კი არ ვგულისხმობ, არამედ თავგადასავლების დაუოკებელ წყურვილს, ლამის მისტიკურ ლტოლვას, გავცდენოდი რეალურისა და ხელშესახების ფარგლებს, რაც, რა თქმა უნდა, ეროსისა და სექსის კატეგორიებში

ტრანსფორმირდა. არ ვიცი, მართალი ვიყავი თუ ვცდებოდი, მაგრამ მე არ მტოვებდა იმის შეგრძნება, რომ ქორწინება დამაბრკოლებელი ლოდი იყო აბსოლუტისკენ სავალ რთულ გზაზე, ამიტომაც მას ვაფასებდი როგორც რაღაც უბადრუკ კომპრომისს, ანდა სულაც კაპიტულაციას. მოსვენებას არ მაძლევდა ცოლისადმი გრძნობებიც და გიჟური ლტოლვაც თავგადასავლებისკენ; სწორედ ამიტომაც ვერ შევძელი ჩემი მეუღლის გაბედნიერება.

მოკლედ, მე კიდევ ერთხელ მოვედი აზრზე, გარემო მოწესრიგდა, მაგრამ კედლები სულ უფრო მთრგუნავდნენ. დადგა მათი გადალახვის დრო.

1956 წელს პირველად გავემგზავრე საზღვარგარეთ, რუსეთში. თავად ფაქტი საზღვრის გადაკვეთისა, სასარგებლო გამოცოცხლება იყო ჩემთვის, თანაც მე მივემგზავრებოდი ქვეყანაში, რომელსაც ძალზე ვაფასებდი, როგორც სულიერი და მატერიალური ყოფიერების განსაკუთრებულ ვარიანტს. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მოგონებად დარჩა მაისის დილა ოდესაში, როცა სახელგანთქმული კიბის თავზე ვიდექი და პორტს გავყურებდი. თუმცა კი რუსეთის მონახულება მაშინ მაინც ვერ ჩაითვლებოდა უცხოეთში მოგზაურობად, რადგანაც ეს ქვეყანა საბჭოთა რუსეთი იყო.

ნამდვილი უცხოეთი იყო ვენა, პარიზი, ლონდონი. მოგვიანებით სწორედ ასეთი თანმიმდევრობით მოვიარე ეს ქალაქები, გადავლახე არამხოლოდ საზღვარი, არამედ ის მისტიური მიჯნა, რომელიც ორ დიამეტრულად განსხვავებულ ცივილიზაციას ჰყოფდა.

სამყაროს სიდიადე და მისი უსაზღვრო შესაძლებლობები საბოლოოდ მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, როცა ატლანტიკა გადავლახე და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადმოვედი. ეს 1959 წელს მოხდა, ჰარვარდის უნივერსიტეტის მოწვევის წყალობით, საერთაშორისო საზაფხულო სემინარზე, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ პოლიტოლოგიის პროფესორს, ჰენრი კისინჯერს მიჰყავდა.

შემდეგ ისევ ვარშავა იყო. 1963 წლის 3 ივნისს მე და ჩემი მეუღლე ჩავსხედით თვითმფრინავში და რომში გავემგზავრეთ. ოფიციალურად ეს იყო ტურისტული მოგზაურობა იტალიაში, მაგრამ მე მინდოდა უფრო დიდხანს დავრჩენილიყავი იქ, რათა ბოლომდე გამომეცადა, თუ როგორი იყო ციხის კედლებს მიღმა მუშაობა, სადღაც ღია სივრცეში, იდუმალი შესაძლებლობების სამყაროში.

ჩვენ კიავარიში დავსახლდით, იტალიური რივიერას პატარა ქალაქში - გაგანია საკურორტო სეზონისას. იქ არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ როცა მზიანი პლაჟებიდან ოთახში ვბრუნდებოდით (ეს ოთახი მუშათა კვარტალში ვიქირავეთ, მდიდრული ვილებისგან მოშორებით), თაბაშირის მადონებისა და კოლოების გარემოცვაში მე კრივის რინგად ვიქცეოდი ხოლმე, სადაც მაყურებლებისა და წესების გარეშე ორი, თანაბარი ძალის ჩემპიონი იბრძოდა: ველური იმედი და სასტიკი შიში.

ეს მომავლის შიში იყო.

მინდოდა პრეცენდენტი შემექმნა - მომეპოვებინა საზღვარგარეთ, თავის ხარჯზე მცხოვრები პოლონელი მწერლის სტატუსი. ჩემი სიჯიუტის გამო პოლონეთის ხელისუფლება დათმობებზე წავიდა და გარიგება შემომთავაზა - გრძელვადიანი უცხოური პასპორტი; სამაგიეროდ, მე მათი პროპაგანდისტი უნდა გავმხდარიყავი და დამერწმუნებინა დასავლეთი, რომ პოლონეთში ყველაფერი კარგად მიდიოდა, შემოქმედების თავისუფლება გარანტირებული იყო და რომ საპირისპიროს მტკიცება რეაქციულ სისულელეს ჰგავდა. მე მათი ცოცხალი არგუმენტი უნდა გავმხდარიყავი.

ამგვარი მისიებისთვის ყოველთვის ღია იყო დასავლეთი; ამგვარი ჩიტუნები აქ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, ხელგაშლილად ხვდებოდნენ. ცდუნება ძალზე დიდი იყო და მეც, ალბათ დავთანხმდებოდი ამ წინადადებას, თამაშის წესები რომ მიმეღო. მაგრამ ვერ შევძელი, რადგანაც ადრე უკვე ნაჭამი მქონდა ჩემი წილი ნეხვი და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ იგი ამონთხეულიც არ მქონდა, ახალი ულუფისთვისაც არ ვიყავი მზად. მუცელი საშინლად მეკუმშებოდა, სიბინძურე ამოსვლას ლამობდა, მაგრამ შიში საშუალებას არ მაძლევდა, რადიკალური ზომებისთვის მიმემართა. ბოლოს, როგორც იქნა, წერტილი დავსვი და მათ მხოლოდ ერთ პირობას დავთანხმდი; "სადაც გინდა, იქ წაეთრიე, ოღონდ კრინტი არ დაძრა, თორემ ცუდი დღე დაგადგება"-ო, მითხრეს მათ.



მე მალე შევძელი პოზიციების გამაგრება დასავლურ ბაზარზე, რამაც საშუალება მომცა, გაცილებით უფრო ნორმალურად მეცხოვრა, ვიდრე სამშობლოში დარჩენილ სხვა მწერლებს. პოლონეთში გრძელდებოდა ჩემი წიგნების გამოცემა, იდგმებოდა პიესები. ხელისუფლება საჭიროდ არ მიიჩნევდა მათ აკრძალვას, რადგანაც მკითხველთა ფართო წრისთვის ვიყავი ცნობილი და მათ არაფერი იცოდნენ ჩემი გამგზავრების შესახებ. ამიტომ სკანდალს ყველა ერიდებოდა.

მალე კვლავ დადგა რევოლუციური შემობრუნების დრო, მაგრამ ამისთვის აუცილებელი იყო სხვა ქვეყანაში გადავსახლებულიყავი და 1968 წელ ჩვენ პარიზში გადავედით საცხოვრებლად. მე მინდოდა ეს რევოლუცია და ორი თვის შემდეგ მივიღე კიდეც გამოწვევა - დაიწყო 1968 წლის მაისის მოვლენები.

1969 წელს ჩემი მეუღლე მოულოდნელად კიბოთი გარდაიცვალა. იგი ძალზე ღირსეული ადამიანი იყო; მისი ერთადერთი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მაშინ შემხვდა, როცა მე ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად ამისთვის. ამ თემაზე აღარ მსურს საუბარი, ჩემი გრძნობები და გამოცდილება - ჩემი პირადი საკუთრებაა და ასეთად დარჩება მუდამ. მე ძალზე განვითარებული მაქვს პირადი ცხოვრების შემოზღუდვის უნარი და ხასიათის ეს თავისებურება ხშირად ხელსაც მიშლის ხოლმე.

სანამ ეს მოხდებოდა, ერთი წლით ადრე, კიდევ სხვა მოვლენებმაც შეცვალეს ჩემი ცხოვრება. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა ჩეხოსლოვაკიის ოკუპირება მოახდინეს და ამაში პოლონურმა არმიამაც მიიღო მონაწილეობა.

ჩემი საპროტესტო ღია წერილი მსოფლიოს უდიდეს გაზეთებში დაიბეჭდა და მეც მაშინვე პოლონეთის საელჩოში დამი-

ბარეს. უკვე საკონსულო განყოფილების კარებში მივხვდი, რაც მოხდებოდა. ჩინოვნიკმა, ისე რომ, არც შემოუხედავს, თითქოს ჩემს ნაცვლად რაღაც ჩვარი ყოფილიყოს, მითხრა, რომ ვალდებული ვიყავი, ორი კვირის მანძილზე პოლონეთში დავბრუნებულიყავი. საწყალი! იმ უბედურს ეგონა, რომ ჯერ კიდევ მისი ძალაუფლების ქვეშ ვიყავი. გამოვბრუნდი და წამოვედი, ამჯერად სამუდამოდ.

ჩემი წიგნები მაშინვე გაქრა პოლონური მაღაზიების თაროებიდან: პოლიციის მანქანები შემოვლას აწარმოებდნენ და ცლიდნენ მაღაზიებს ამ ნაგავისგან. პიესებიც ამოიღეს თეატრების რეპერტუარიდან.

მომდევნო წლები ძალზე ბობოქარი იყო, განსაკუთრებით ჩემი ე.წ. პირადი ცხოვრებისთვის.

ვმოგზაურობდი ჩრდილოეთ და ლათინურ ამერიკაში - ბრაზილიაში, ვენესუელაში, მექსიკაში. ნახევარი წელი ვცხოვრობდი ნიუ იორკში, პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტშიც კი ვასწავლიდი. შემდეგ კალიფორნიიდან აღმოსავლეთ სანაპიროსკენ გავემგზავრე, ავტომობილით გავიარე სამხრეთი შტატები. ერთი წელი დავყავი დასავლეთ ბერლინში. ასე რომ, ერთ მშვენიერ დღეს, პოლონური პასპორტისგან რომ გავთავისუფლდი (ბალასტივით რომ მეკიდა კისერზე), მთელი მსოფლიო შემოვიარე.

სამოცდაათიანების დასაწყისში პოლონეთში მოხდა ჩემი, როგორც პოლონელი მწერლის რეანიმაცია. აკრძალვა ჩემს წიგნებზე მხოლოდ ორი თუ სამი წელი ვრცელდებოდა, მაგრამ თამაშის წესების მიხედვით, აუცილებელი იყო სრულ აკრძალვასა და ახალ აღიარებას შორის გარდამავალი პერიოდი ყოფილიყო.

ჯერ ნებაყოფლობითი, შემდეგ კი იძულებითი გადასახლებიდან მეთხუთმეტე წელს პირველად ჩავედი პოლონეთში. მაშინ მე უკვე საფრანგეთის მოქალაქე ვიყავი.

როცა "სოლიდარობა" დაარბიეს, იგივე გრძნობები დამეუფლა, რაც უმრავლესობას - ეს იყო უიმედობა რისხვასთან, შეურაცხყოფასთან და დამცირებასთან ერთად. დავწერე რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული სარკასტული ესეების მთელი სერია; საკმაოდ საზიზღარი ესეები იყო - მინდა ვაღიარო. ისინი დასავლეთში გამოიცა, შემდეგ კი პოლონურმა "სამიზდატმა" გადმობეჭდა. ეს სატირები არ წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ ღირებულებას როგორც მხატვრული ნაწარმოებები, თუმცა კი ეფექტური ექსპრესიული ფორმითა და სიმწვავით გამოირჩეოდნენ. ამასთან დაკავშირებით კვლავ მარადიული პრობლემის წინაშე დავდექი: უნდა ჩაერიოს თუ არა მწერალი პოლიტიკურ კონფლიქტებში, უნდა გაწიროს თუ არა მან თავისი შემოქმედება? იქნებ მან მხოლოდ შემოქმედებას უნდა მიუძღვნას თავი? რას უნდა ემსახუროს იგი, პოლიტიკას თუ სულიერებას? ამგვარი დილემა განსაკუთრებით აქტუალურია პოლონეთში, ქვეყანაში, სადაც დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითშეგნების უფლებისთვის არამხოლოდ ჩვენს დროში იბრძვიან, არამედ, უხეშად რომ ვთქვათ, ბოლო ორი საუკუნის მანძილზეც იბრძოდნენ.

"სოლიდარობის" დარბევის შემდეგ ექვსი წელი გავიდა მანამ, სანამ მეორეჯერ ჩავედი პოლონეთში; არ შემეძლო არ ჩავსულიყავი, რადგანაც მამაჩემი კვდებოდა. სევდასთან ერთად სიხარულსაც ვგრძნობდი, რომ საშუალება მქონდა, უკანასკნელად მოვხვეოდი ჩემთვის ასე გაუცხოებულ, თუმცა კი ყველაზე ახლობელ ადამიანს.

ამბავი დასასრულს უახლოვდება. ეს არაა ჩემი ცხოვრების სრული ისტორია, არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომლის "გამოქვეყნებაც" შევძელი. წელს ორმოცდათვრამეტი წლისა გავხდი და მზად ვარ დავიჯერო, რომ უკვე მესმის, როგორ დავძლიო კონფლიქტი წესრიგსა და ავანტიურას შორის. ძალიან გთხოვთ, ფრთხილად მოეკიდეთ ამ თვალსაზრისს. იგი იმდენად ფარდობითია, იმდენად ამორფული, რომ არცაა თვალსაზრისი, არამედ უფრო მონახაზი და იმედი, თუმცა მას მხოლოდ კეთილ სურვილსაც ვერ დაარქმევ. თუკი ოდესმე შევძლებ, ეჭვის გარეშე ვთქვა, რომ წარმატებას მივაღწიე ამ წინააღმდეგობის დაძლევისას, ეს იქნება ჩემი ცხოვრების უდიდესი გამარჯვება, ორი პარალელური ხაზის შეერთება.

გავთავისუფლდები კი როდისმე ისტორიის მოთხოვნილებებისგან? მოვიტოვებ თუ არა ზურგსუკან იმას, რაც ამდენ ხანს მთრგუნავდა მე, ადამიანს, ვინც ისტორიის მონად ვიქეცი ნებსით თუ უნებლიედ? გარკვეულწილად გათავისუფლება ჩემზეა დამოკიდებული, რადგანაც ეს უფრო პოზიციათა არჩევის საკითხია. მე ხომ არამხოლოდ დამიპყრო ისტორიის მონსტრმა, არამედ მომხიბლა კიდეც და ასე მგონია, ნებისმიერი მწვერვალის დალაშქვრა შეიძლება, თუკი როდესმე ისტორიის ნარკოტიკი იგემე.

1987 წელს მე კვლავ ვიქორწინე. მნიშვნელოვანი მოვლენები ყოველთვის ხელს უწყობს დეტოქსიკაციის პროცესებს. თავისთავად, ქორწინებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის მოიყვან ცოლად. მეორე ქორწინება ჩემს ცხოვრებაში შემობრუნების პუნქტად იქცა, მაგრამ ამ თემას არ განვავრცობ, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, კარგად ვიცი, რა ვთქვა პუბლიკასთან და რა არა.

ინფორმაციისთვის, მხოლოდ გეტყვით, რომ ჩემი მეორე ცოლი მექსიკელია. მისი დახმარებით ვცდილობ სხვაგვარი სულიერება ავითვისო, ჩვენი, ევროპული და ქრისტიანული მსოფლმხედველობისგან სრულიად განსხვავებული. ახლა უკვე ვხვდები, რომ ევროპული ღირებულებები, ჩვევები და კანონები არც ისე აუცილებელია ევროპის საზღვრებს გარეთ. სხვა გზებიც არსებობს, სხვა მიდგომა, სხვა შედეგები. ჩემი გამოცდილების ჩარჩოები საგრძნობლად გაფართოვდა.

ახლა ჩემთვის მთავარია, ბოლოს და ბოლოს შევარიგო წესრიგი და ავანტიურა, ცოტათი მაინც გავთავისუფლდე ისტორიისგან; ამაზე უკეთესს თავს ვერაფერს ვუსურვებ.

*1988 წ. მაისი-ივნისი*

თარგმნა მიხო ხარაძე

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სლავომირ მროჟეკი



# სპეციალური კორესპონდენტი

ერთ შორეულ ქვეყანაში დიდ ამბებს ელოდნენ. საჭირო იყო იმ ქვეყანაში რაც შეიძლება მალე გაგვეგზავნა სპეციალური კორესპონდენტი, მაგრამ ჩვენი გაზეთის სახსრები მეტისმეტად მწირი გახლდათ, იმდენად, რამდენადაც მკითხველი ცოტა გვყავდა და მაშასადამე ფულიც ცოტა გვქონდა. ყველა ქვეყანაში სპეციალური კორესპონდენტის გაგზავნის საშუალება რომ გვქონოდა, ცხადია, მკითხველიც მეტი გვეყოლებოდა და ფულიც მეტი გვექნებოდა, მაგრამ ჩვენი თავისთვის ამის უფლება რომ მიგვეცა, ფული უნდა გვქონოდა, რაც თავის მხრივ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, მეტი მკითხველი თუ გვეყოლებოდა.

- სიტუაციას მოდი ფხიზელი თვალით შევხედოთ, - თქვა მთავარმა რედაქტორმა რედკოლეგიის სხდომაზე, - მაგალითად, რა შეიძლება იქ მოხდეს? მხოლოდ ორი რამ - ან რეპრესიების გაძლიერება, ან დემოკრატიზაცია. თუ ჩვენ გავრისკავთ და ან ერთს ვაცნობებთ საზოგადოებას ან მეორეს, არსებობს ალბათობის ორმოცდაათი პროცენტი იმისა, რომ მიზანში მოვარტყამთ და სპეციალური კორესპონდენტიც მართალი აღმოჩნდება. რას იტყვით, რომელი ავირჩიოთ?

გადავწყვიტეთ დემოკრატიზაციაზე შევჩერებულიყავით. მართლაც, მეორე დილას ჩვენს გაზეთში გაჩნდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ინფორმაცია, რომელიც იმ შორეულ ქვეყანაში დემოკრატიული რეჟიმის დამყარებას იუწყებოდა. ჩვენი გაზეთი ამ მხრივ ერთადერთი აღმოჩნდა, სხვა ყველა გაზეთი იმ რეპრესიებზე წერდა, რომლის თვითმხილველებიც მათი სპეციალური კორესპონდენტები იყვნენ.

რედაქციის სხდომაზე ყველანი ცხვირჩამოშვებულები ვისხედით.

- ახლა რა ვქნათ? უარვყოთ?

- არავითარ შემთხვევაში! - იტკიცა მთავარმა რედაქტორმა, - იგივეს გავიმეორებთ, ოღონდ რაღაც წვრილმან ამბებს დავუმატებთ - ცენზურის შესუსტება, ნაწილობრივი ამნისტია, ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

- კი მაგრამ, ისევ ტყუილი?

- მთელ პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ.

მეორე დილას მკითხველებმა დაგვირეკეს და ოპერატიული ინფორმაციისათვის მადლობა გადაგვიხადეს. ცნობა რეპრესიის შესახებ, რომელიც წინა დღეს ყველა სხვა გაზეთმა დაბეჭდა, ახლა ფაქტებიდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ არააქტუალური იყო, ვინაიდან იმ შორეულ ქვეყანაში რეპრესიის შემდეგ დემოკრატიზაცია წავიდა.

- ჰო, მაგრამ, საიდან იცოდი? - ხან იქიდან მოვუარეთ მთავარ რედაქტორს და ხან აქედან.

- რა უნდა მცოდნოდა, უბრალოდ, დიალექტიკურად ვაზროვნებ, თავიდან ან ერთი უნდა ყოფილიყო, ან მეორე, მერე კი ყველაფერი თავისით წავიდოდა.

- ესე იგი, ვიმეორებთ?

- პირიქით, ხვალ სიტუაციის გამწვავების შესახებ დავბეჭდავთ, ვთქვათ, ქუჩებში ტანკები დაგრიალებენ, პოლიცია და ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდა და სხვა.

ყველანი დავრწმუნდით, რომ სწორად გათვალა მთავარმა რედაქტორმა - იმ შორეულ ქვეყანაში დემოკრატიზაციის შემდეგ, მართლაც, რეპრესიები დაიწყო და ჩვენც თანდათან დიალექტიკას ჩავწვდით:

- აჰა, ესე იგი, ხვალ დემოკრატიზაცია, ზეგ რეპრესიები, მაზეგ - დემოკრატიზაცია და ასე: დემოკრატიზაცია, რეპრესიები.. დემოკრატიზაცია, რეპრესიები...

- რა თქმა უნდა, ხომ გითხარით, პრობლემა არ გვექნება-მეთქი, მთავარია ყურადღებით ვიყოთ, თანამიმდევრობა არ აგვერიოს.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის გვარით სულ უფრო ოსტატურად და დამაჯერებლად ვწერდით - ჯერ დემოკრატიზაციაზე, მერე რეპრესიებზე, ჯერ დემოკრატიზაციაზე, მერე რეპრესიებზე და მართლებიც გამოვდიოდით, თან, რაც მთავარია, ტირაჟიც სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. ახლა უკვე შეგვეძლო, ნამდვილად გაგვეგზავნა სპეციალური კორესპონდენტი, სახსრები თავზე საყრელად გვქონდა, მაგრამ, აბა რა საჭირო იყო, ისედაც ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, ეგ არის, მასალა ცოტა ერთფეროვანი გამოგვდიოდა.

და აი, ერთ დღესაც მთავარმა რედაქტორმა შეგვკრიბა და გვეკითხება:

- ხვალ რა მიდის?

მდივანმა კალენდარს დახედა:

- ხვალ? რეპრესიები.

- ამოაგდეთ.

- კი, მაგრამ, დემოკრატიზაციაზე გუშინ იყო.

- ამოაგდეთ. აღარც რეპრესიებს გავუშვებთ, აღარც დემოკრატიზაციას. დღეიდან სექსუალურ ნიადაგზე სამჯერადი მკვლელობის თაობაზე მივცემთ მასალებს.

- ვინ მოკლეს, სად, როდის, როგორ? - შევძახეთ ყველამ ერთხმად, - სადომაზოხიზმი იყო, ჰომოსექსუალიზმი თუ სისხლის აღრევა? ვითომ სამჯერადი მკვლელობა რაღაა?

- მეგობრებო, გამოდის, რომ დაადასტურეთ ჩემი ვარაუდი. თუ თქვენ ასე ამოგივიდათ ყელში მსოფლიო პოლიტიკა, მკითხველები რაღა დღეში იქნებიან? ხალხს თავი შევაწყინეთ და ა, ბატონო, ტირაჟმაც დაცემა დაიწყო. მოკლედ, ვხურავთ საერთაშორისო განყოფილებას და ადგილობრივ სექსზე გადავდივართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი მართალი აღმოჩნდა, მაგრამ სპეციალური კორესპონდენტის უკან გამოწვევა დაგვენანა, წერითაც კარგად წერდა და იმ ეგზოტიკურ ქვეყანაში ცხოვრებითაც შესანიშნავად ცხოვრობდა.

## მიზანთროპი

კუპეში არავინ იყო. ფანჯარასთან დავჯექი და წიგნი გადავშალე.

უცებ კარი ხმაურით გაიღო, უშველებელი ჩემოდნით ვიღაც შემოვიდა და თავი ისევ წიგნში წავრგე, ვინაიდან საუბრისა და ნაცნობობის გაბმის არავითარი სურვილი არა მქონდა, ჩემთვის ჩუმად ჯდომა და კითხვა ყველაფერს მერჩია.

- ჩემ ადგილზე ზიხართ.
- თქვენ ადგილზე?
- დიახ.

არ მახსოვდა ბილეთი სად ჩავიდე და ჯიბეების ქექვა დავიწყე.

- ოცდამეცხრამეტეზე ზიხართ, თქვენი ადგილი ოცდათოთხმეტია.

ბუნების ცქერით დავტკბები-მეთქი, ფანჯრიდან მოშორებით დაჯდომა არ მინდოდა, ამიტომაც ავდექი და მოპირდაპირე სკამზე გადავჯექი.

- ეს თქვენი ბარგია?
- ბარგი?

მან თაროზე მიმითითა.

- აა, პალტოზე მეუბნებით?
- თქვენ პალტოს ის ადგილი უკავია, რომელიც ბარგისთვის არის განკუთვნილი.

პალტო თაროდან ჩამოვიღე, მან კი თავისი ჩემოდანი იმ ადგილას დიდის გაჭირვებით შეჩურთა და თან დამმოძღვრა - "თაროზე ეს ადგილი იმ მგზავრისაა, ვინც ოცდამეცხრამეტე სკამს დაიკავებს". მალე მატარებელი ადგილიდან მოწყვეტით დაიძრა. ვიჯექი და ფანჯრიდან ბუნებას გავცქეროდი.

- ოცდამეთვრამეტე ადგილი გიკავიათ.

მივტრიალდი. ვხედავ, სავარძლის ზურგს მართლაც ამ ნომრიანი ემალის ფირფიტა აქვს მიკრული.

- ოცდამეთოთხმეტე აქეთაა...

თქვა და კართან, კუთხისაკენ მიმითითა.

- ჰო, მაგრამ კუპეში ხომ ჩვენს გარდა არავინაა?
- მერე რა, წესი წესია.

რა უნდა მექნა, ან ჩხუბი უნდა დამეწყო ამ მანიაკისათვის, ან უნდა დავმორჩილებოდი. ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც, ასე იქნებოდა თუ ისე, მე მას სიამოვნებას მივანიჭებდი. სხვა რა გზა მქონდა, გადავწყვიტე სხვა კუპეში გადავსულიყავი.

იმის გამო, რომ ლოკომოტივმა სიჩქარეს უმატა, წამოდგომისას კინაღამ წონასწორობა არ დავკარგე და ძირს ზღართანი არ მოვადინე. უცებ ზევით ავიხედე, ვხედავ, მის თავთან თაროზე ჩემოდანი ნაპირისკენ წამოსრიალდა და გუნებაში გავიფიქრე - მატარებელმა სვლას ცოტა კიდევ რომ მოუმატოს, ვინ იცის, რა მოხდება-მეთქი.

ადგილიდან უსიტყვოდ წამოვდექი და ოცდამეთოთხმეტე ადგილზე დავჯექი. ეს ადგილი მართალია პეიზაჟის საყურებლად ნაკლებ მოსახერხებელი იყო, მაგრამ ჩემი თანამგზავრის ჩემოდნის სათვალთვალოდ გაცილებით ხელსაყრელი გახლდათ.

მატარებელი დამუხრუჭდა, ჩემოდანი ისევ უკან, თაროს სიღრმეში შესრიალდა და ჩემი ვარაუდის სისწორეში ახლა ცოტა არ იყოს, ეჭვიც კი შემეპარა - ჩანს, მატარებლის დამუხრუჭების ეფექტიც უნდა გამეთვალისწინებინა, იქნებ მართლა სხვა კუპეში ჯობდა გადასვლა-მეთქი, - გავიფიქრე.

- დიახ, პატივცემულო, კაცმა წესი ყოველთვის უნდა დაიცვა, - ისევ დამმოძღვრა ჩემმა თანამგზავრმა.

ამან უკვე საბოლოოდ დამარწმუნა ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში და მტკიცედ დავადექი იმ აზრს, რომ ჩემი ეს გადაწყვეტილება ბოლომდე დამეცვა. მატარებელს სიჩქარე ჯერ არ განევითარებინა, ისე რომ, იმედი ჯერ კიდევ მრჩებოდა.

თვალები დავხუჭე. გარდა წიგნითა და პეიზაჟით ტკბობისა, მგზავრობაში კიდევ ერთი - ძილით სიამოვნებაცაა. მაგრამ, რა დამაძინებდა! თაროზე ჩამოდნისთვის თვალის დევნება, ისე, რომ არავის შეემჩნია, მხოლოდ თვალებმილულულს შემეძლო, რასაც ვერც ძილის, ვერც კითხვისა და ვერც ბუნების ცქერის დროს ვიზამდი.

ვარაუდი გამიმართლდა - ჩემოდანი ნელა, მაგრამ გამუდმებით მოიწევდა ნაპირისკენ. ჩემსა და მისი სიმძიმის ცენტრს შორის ინტენსიური ურთიერთგაგება დამყარდა - ახლოვდებოდა გადამწყვეტი მომენტი.

მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე შანსი მიმეცა ჩემი თანამგზავრისათვის. არა ჰუმანური მოსაზრების, მით უმეტეს, არა მოყვასისადმი სიყვარულის, არამედ ცნობისმოყვარეობის გამო. თქვენ, ეტყობა, წესრიგის თავგამოდებული მომხრე ხართ, შეიძლება გავიგო, რატომ-მეთქი? - ვკითხე.

იგი უცებ გამოცოცხლდა, აშკარად ეტყობოდა, ეს მისი საყვარელი თემა იყო.

- მოგეხსენებათ, წესი იმიტომაა, წესრიგი არ დაირღვას, წესრიგის გარეშე კი ბაზარი იწყება.
- მაშინ ერთ რაღაცას შემოგთავაზებთ - მოდი, ბილეთები გავცვალოთ, თქვენ ჩემი ადგილი დაიკავეთ, მე თქვენსას დავიკავებ, ვინაიდან ბილეთები სახელობითი კი არა, წარდგენითია. რას იტყვით?

ერთხანს გაოგნებული იჯდა და ბოლოს მკითხა:

- კი მაგრამ, რატომ?
- იმიტომ, რომ ფანჯარასთან ჯდომა მიყვარს, თქვენ?

ველოდი, რა პასუხს გამცემდა. თუ დამეთანხმებოდა, ესე იგი, გადარჩენილი იყო.

- ჰო, მაგრამ, ოცდამეცხრამეტე ადგილი ხომ ჩემია?!
- დიახ, რა თქმა უნდა, თქვენი მესმის, ეს მანიპულაციაა და წესის დაცვა აბსოლუტური ვერ იქნება, ესე იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ მანიპულაციის უფლება არა გვაქვს, ასე არ არის?
- რა თქმა უნდა.
- გამოდის, რომ წესებს თქვენ განგებასთან აიგივებთ?
- რასთან?
- განგებასთან ანუ ბედისწერასთან. წესი თვითნებობას, ესე იგი, შემთხვევითობას, ქაოსს გამორიცხავს, ანუ განგების ნებას აღასრულებს.
- თქვენ მას რაღაც სხვა სახელს არქმევთ.
- არა, მეც იმას ვამბობ, რასაც თქვენ, ოღონდ სხვა სიტყვებით. თქვენ ამბობთ წესრიგს, მე ვამბობ განგებას, თქვენ ამბობს - ბაზარს, მე ვამბობ - ქაოსს, მაგრამ ეს ხომ ერთიდაიგივეა. გამოდის, რომ წესები თავისთავში რაღაც ღვთაებრივს შეიცავენ... აი ახლა კი მესმის, რატომაა თქვენთვის იგი ასეთი წმიდათაწმიდა.
- წესი, პატივცემულო, წესია, მორჩა და გათავდა!
- კი, ბატონო! - ვთქვი და იმის ნიშნად, სალაპარაკო აღარაფერი მაქვს-მეთქი, თვალები დავხუჭე.

ჩემოდანი რომ ჩამოვარდა, ის კაცი მეტალის ნაწიბურისაგან საფეთქელდაზიანებული იატაკზე ჩაცურდა. მეგონა გონება დაკარგა, რაც, ვფიცავ, სულაც არ მინდოდა, არ მინდოდა თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან დაბნეული ვიყავი. არ ვიცოდი, გონებაზე როგორ მომეყვანა.

სულ იმის შიში მქონდა, ვაითუ ველარ მოვასულიერო-მეთქი. გაოგნებული აქეთ-იქით ვიყურებოდი, რომ უცებ ასეთი წარწერა დავინახე - "საშიშროების შემთხვევაში ჩამოწიეთ ონკანი". საშიშროება სახეზე იყო - ახლა ვინმეს პირველი დახმარება რომ არ აღმოეჩინა, მდგომარეობა შეიძლებოდა გაუარესებულიყო. ავდექი და ონკანი ჩამოვწიე, რის გამოც მატარებელმა ორი საათით დაიგვიანა, რასაც მთელ რეგიონში რკინიგზაზე მატარებლების მოძრაობის ქაოსი მოჰყვა. მაგრამ წესრიგის ამ დარღვევამ მას უკვე ველარაფერი უშველა, როგორც გაირკვა, თურმე იმავე წუთს გარდაცვლილა. მე კი, ყველაფრის მიუხედავად, მთელი ეს დრო წესების შესაბამისად ვმოქმედებდი, ისე რომ, ჩემს თავს ვერაფერს ვუსაყვედურებ.

## გარიგება

ქვეყანაში მოგზაურობისას სადილისთვის მანქანით იმ ქალაქში შევიარე, სადაც სამხედრო გარნიზონი იდგა. რესტორანში რომ ვიჯექი, იმპერიის არმიის ლეიტენანტი შემობრძანდა, მომიახლოვდა და - ტანკს ხომ არ იყიდითო, - მკითხა.

- მერედა სად არის-მეთქი?

- აგერააო, - მეუბნება.

- შეიძლება ვნახო-მეთქი?

- აბა რააო!

რესტორნიდან რომ გავედით, ტანკი იქვე, ქუჩაში იდგა.

- რამდენი გინდათ-მეთქი?

ისეთი მცირე თანხა დამისახელა, სათქმელადაც არ ღირდა.

- ორჯერ მეტს გადაგიხდით, ოღონდ, ერთი პირობით. ეს ტანკი მოსკოვში ჩაიყვანეთ, მალე იქ ტურისტად ვაპირებ ჩასვლას და ამ ტანკსაც იქიდან წამოვიყვან.

- ახლა ხომ არ იყიდითო?

- აბა როგორ, მანქანით ვმოგზაურობ, აი მოსკოვში კი სხვა საქმეა-მეთქი, - ვუპასუხე.

იმპერიის ლეიტენანტი შეწუხდა:

- მოსკოვამდე იმხელა მანძილია... თანაც საზღვარზე უნდა გადავიდეო.

- მე ხომ ორმაგად გიხდით, ნახევარს აქ, ნახევარსაც მოსკოვში-მეთქი.

ლეიტენანტმა ისე ამოიოხრა, გული ამოაყოლა:

- კარგი იქნებოდა, წასვლამდე ცოტა მაინც დამელიაო.

- ლუდი მივაწოდე, გახარებული ტანკში ჩაჯდა და აღმოსავლეთით, თავისი სამშობლოსაკენ გასწია.

მე კი, რა თქმა უნდა, არც მოსკოვში წასვლა მომსვლია აზრად და, მით უმეტეს, არც ტანკის ყიდვა.

## უხიაგი

გლეხებმა ტყეში ერთი უხიაგი კაცი დაიჭირეს. კაცი თითქმის დედიშობილა იყო და ძირკვებით იკვებებოდა. თურმე კომუნისტური ხელისუფლების დამხობაზე, რის გამოც ტყეში იყო გაჭრილი, წარმოდგენაც არა ჰქონდა.

- ახლა რა ხელისუფლებაა? - ჰკითხა მან ერთ გლეხთაგანს.

- გლეხმა ქეჩო მოიფხანა.

- რა ვიცი, აი...

- ამბობენ, დემოკრატიულიო, - თქვა მეორე უფრო მცოდნემ, - რას იტყვი, გამოხვალ ტყიდან?

- თუ ასეა, გამოვალ, ოღონდ რაიმე ტანის დასაფარი მომეცით.

- ეე. შე კაი კაცო, ნეტავი რად გინდა, მთელი ხალხი ნახევრად შიშლიკანა დარბის, სხვებისგან ვერავინ გაგარჩევს.

- არც ძირკვების წალება დაგავიწყდეს, გამოგადგება.

- კარგი, ასე ვიზამ. ოღონდ ჯერ დედაქალაქში წავალ, მივიხედ-მოვიხედავ, ვნახავ ერთი, რა ხდება. რა ვიცი, იქნებ პრეზიდენტიც გავხდე.

კაცი წავიდა, გლეხებმა თავიანთი საქმე გააგრძელეს, მაგრამ, არ გასულა დიდი ხანი, რომ ერთ მშვენიერ დღესაც ერთ-ერთმა გლეხმა თვალებზე ხელი მოიჩრდილა, გზას გახედა და თქვა:

- ის კაცი, მგონი, ბრუნდება.

მართლაც, ხედავენ, უახლოვდებათ უხიაგი კაცი.

- დაგავიწყდა რამე?

- აბა იქ რა უნდა დამვიწყნოდა!

- მაშ რაღაზე დაბრუნდი, ახალი ხელისუფალი არ მოგეწონა?

- არა, რას ამბობ, ლამაზიც კია, მაგრამ ეტყობა შევეჩვიე, ჯობია ისევ ტყეში დავრჩე. ჰო, მაგრამ, ის ტყე მაინც რაღა იქნა?

- აღარ არის, გავჩეხეთ.

- მაშ ახლა რა ვქნა, სად წავიდე?

გლეხს შეეცოდა უხიაგი კაცი და უთხრა:

- ერთი სოროსავით ცარიელი ოთახი მაქვს, თივა დავაგოთ, დაწექი და დაელოდე.

კაცმა გლეხს მადლობა მოუხადა და იმ პატარა სოროსავით ოთახში დასახლდა - მართალია შიგ არაფერი დგას, მაგრამ, ჭერი ხომ აქვს, კაცმა რომ თქვას, ტყეს სჯობია კიდევაცო.

ზის და ელოდება, მაგრამ უკვე თვითონაც აღარ იცის - რას.

ჰრიდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულიო კორტასარი

# ედგარ პოს ცხოვრება



დასაწყისი იხ."არილი" №16

## სიჭაბუკე

1823-1824 წლებში თხუთმეტი წლის ედგარი მთელ თავის ყმაწვილურ მგზნებარებას ლექსებისკენ მიმართავდა, რომელიც ძირითადად გოგონებს ეძღვნებოდათ, ცნობილი ელიტარული სკოლის მოსწავლეებს. ედგარის და როზალი - იგიც რიჩმონდის ერთ-ერთ ოჯახში იზრდებოდა - შუამავლის როლს თამაშობდა, მისი წყალობით მიძღვნები ლამაზმანთა ხელში ხვდებოდა. მაგრამ ახალგაზრდა გულთამპყრობელს სხვა საგმირო საქმეებისთვისაც რჩებოდა დრო. იმ წლებში ყველა დამწყები პოეტისთვის ნიმუში ბაირონი იყო და ედგარიც ყველანაირად ცდილობდა მიებაძა მისთვის. ასე მაგალითად, ედგარმა გააოგნა მეგობრები და მასწავლებლები, როცა მდინარე ჯეიმსში დინების საწინააღმდეგოდ ექვსი მილი გაცურა და ერთი დღით ჭეშმარიტი გმირი გახდა. იგი თავს ინონებს ჯანითა და მოქნილობით, თუმცა კი ბავშვობაში საკმაოდ სუსტი იყო. მემკვიდრეობითი სიმძიმე ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვისებაში გამოვლინდა - ნაადრევ მოწიფულობასა და განსაკუთრებულ უნარებში. ამასთანავე, ამაყი ხასიათი, ზედმეტი აგზნებულობა და სიფიცხე (რომელსაც სინამდვილეში უნებისყოფობა ედო საფუძვლად) იძულებულს ხდიდა მას ყველაფერში პირველობისთვის ებრძოლა; იგი ვერ იტანდა მეტოქეებს.

სწორედ მაშინ გაიცნო მან "ელენე" - თავისი პირველი და მიუწვდომელი სიყვარული. მაგრამ ეს სიყვარული ბედის მორჩილების პირველი გაკვეთილიც გახლდათ, სწორედ ამ ნიშნით განვითარდება მისი შემდგომი ცხოვრება. ჩვენ მას ბედის მორჩილება დავარქვით, მაგრამ სჯობს, ახლავე განვმარტოთ ყველაფერი. ქალთა ვეებერთელა გალერეაში "ელენე" პირველი იყო, ვინც ედგარ პოს შეუყვარდა და იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს ქალი იდეალია - მხოლოდ იდეალი და სიყვარულის მიზეზიც სწორედ ეს იყო. მისის ჯეინ სტენარდი, ედგარის ამხანაგის დედა, მას ყველაზე იდუმალი ბავშვური ოცნებებისა და ყმაწვილური წინათგრძნობების განსახიერებად წარმოუდგა. იგი ლამაზი იყო, ნაზი და საოცრად დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდა. "ვით ნიკეელთა მსუბუქი ნავი/ ფრთაშესხმულია შენი მშვენებაც" - დაწერს მასზე ედგარი თავის ერთ-ერთ ყველაზე გამოუცნობ და მომხიბლავ ლექსში. მასთან შეხვედრა პოსთვის ბავშვობის ზღვარს გადაბიჯებას ნიშნავდა.

მეგობართან სათამაშოდ წასული მოზარდი მუზას გადაეყარა. ედგარი შეცბა, თვალთ დაუბნელდა, როცა ქალმა საკოცნელად გამოუწოდა ხელი; ჯეინი ხომ ვერ ხვდებოდა, რას ნიშნავდა ყველაფერი ეს მისთვის. თავისდაუნებურად, "ელენემ" ედგარი აიძულა უეცრად გადაებიჯებინა მიჯნა და ახალი ცხოვრება დაეწყო. ედგარი დანებდა. მისი სიყვარული იდუმალი იყო, იდეალური და იგი მთელი ცხოვრება გრძელდებოდა - ხან თავზე დაჰფარფატებდა სხვა გატაცებებს, ხანაც მათ ზურგსუკან იმალებოდა. განსხვავებულმა სოციალურმა მდგომარეობამ და ასაკმა მათი ურთიერთობების ხასიათიც განსაზღვრეს, მას მეგობრული საუბრების ფორმა მიენიჭა, რომელიც მანამ გრძელდებოდა, სანამ "ელენე" ავად გახდებოდა; სიგიჟემ - კიდევ ერთი საბედისწერო ნიშანი პოეტის ცხოვრებაში - იგი დააცილა მეგობრებს. 1824 წელს ჯეინი გარდაიცვალა - ოცდათერთმეტი წლისა. არსებობს რაღაც "უკვდავი ლეგენდა", რომლის თანახმადაც, ედგარი ღამღამობით "ელენეს" საფლავზე ადიოდა, მაგრამ შემორჩა სხვა, უფრო სანდო ისტორიებიც, ასეთივე "უკვდავი", თუმცა კი ნაკლებ რომანტიული - ამ ამბების წყალობით ჩვენამდე დაბნეულობა აღწევს, საკუთარი თავის საპყრობილეში გამოკეტილი ტკივილი და სევდა. სკოლაში ედგარი, როგორც წესი, ხმას არ იღებდა, გაურბოდა გართობებს, თავი ანება ცელქობას. რა თქმა უნდა, ყველა ამხანაგმა შეამჩნია ეს, მაგრამ არ ესმოდათ ამის მიზეზი და, მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ, როცა გაიგეს, ვინ გახდა იგი სინამდვილეში, იგივე ამხანაგები ერთმანეთს ასწრებდნენ და ზედიზედ იგონებდნენ იმ პერიოდებს მემუარებსა და წერილებში.

ალანების სახლში (რომელიც ედგარისთვის, როგორც სალად მოაზროვნე ახალგაზრდისთვის, არ იყო მშობლიური) იგი იშვიათად ჰპოვებდა შვებას. დედობილს ყოველთვის ძალიან უყვარდა, მაგრამ მალე მას გამოუცნობი ავადმყოფობა შეეყარა. ჯონ ალანი სულ უფრო გულცივი ხდებოდა, ედგარი კი - ჭირვეული. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გაიგო ყმაწვილმა, რომ მის მფარველს უკანონო შვილებიც ჰყავდა და მიხვდა, რომ არავინ იშვილებდა ოფიციალურად. თავდაპირველად ედგარს, ალბათ ფრენსისის გამო მოუვიდა გული - ალანმა ხომ მას მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა თავისი ღალატით. თავად ფრენსისი მიხვდა ყველაფერს და როგორც ჩანს, დაიჩივლა ედგართან, რომელსაც საბოლოოდ გადაეწყვიტა, დედობილის მხარე დაეჭირა. განხეთქილება კიდევ უფრო გაღრმავდა იმ-



ით, რომ ჯონ ალანი მილიონერი გახდა მას შემდეგ, რაც ბიძის ქონება მიიღო მემკვიდრეობად. შესაძლოა პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ ედგარმა სწორედ ამ მოვლენის გამო დაკარგა შვილად აყვანის უკანასკნელი იმედი. თანაც, ძალზე ადრე იჩინა თავი მისმა ჭირვეულმა, უჟმურმა ხასიათმა. მას არ შეეძლო დათმობებზე წასულიყო ურთიერთობისას, მფარველის სიყვარულის მოსაპოვებლად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა. არა, იგი ანარქისტის გზას დაადგა, საითკენაც მას ბუნებრივმა ტემპერამენტმა და შინაგანმა მიდრეკილებებმა უბიძგეს. ჯონ ალანი ხვდებოდა, რას ნიშნავდა სახლში პოეტის, ან ისეთი ადამიანის ყოლა, რომელიც პოეტობაზე ოცნებობდა. მას სურდა, რომ ედგარი ადვოკატი ან კარგი კომერსანტი გამხდარიყო - ისეთი, როგორიც თავად იყო. მე მგონი, რაიმეს დამატება საჭირო აღარ არის, მათი მომავალი შეტაკებების არსი ისედაც ნათელია.

კრიზისი თანდათანობით მწიფდებოდა. ედგარი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, "დედიკოს" ბიჭი და ბრწყინვალე მოსწავლის სახელით სარგებლობდა - ამით ჯონ ალანიც ძალზე ხარობდა. იმ დღეებში მარკიზ დე ლაფაიეტმა, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის 50 წლისთავის აღსანიშნავად გადაწყვიტა იმ ადგილების მონახულება, სადაც კი თავისი საგმირო საქმენი ჩაედინა. ედგარმა მეგობრებთან ერთად საპატიო გვარდიას მოუყარა თავი და სამხედრო ფორმებში გამოწყობილი, იარაღასხმული ბიჭუნები ფრანგი გენერლის ამალას გაჰყვნენ.

ეს სამხედრო გატაცებები ხელს არ უშლიდა ედგარს, გატაცებით ეკითხა ყველაფერი, რაც კი ხელთ ჩაუვარდებოდა; მაგრამ ბედნიერი მას არ ეთქმოდა; ახალ, შესანიშნავ (მფარველის უზარმაზარი სიმდიდრის შესაბამის) სახლში გადასვლაც - სადაც ბიჭუნას ლამაზი და მყუდრო ოთახი მისცეს - არ იყო მისთვის ბედნიერების მომტანი. ადვილი მისახვედრია, რომ ედგარის ამაყი განცხადებები პოეტობის შესახებ, ჯონ ალანის ცივ, ირონიულ კომენტარებსა და ზიზღნარევ გრიმასებს იმსახურებდა. ამასობაში ედგარი გაიზარდა, "სამხედრო" გატაცებებმა კი იგი უფრო შარიანად და თავნებად აქციეს. თანაც, ალანების სახლში უკვე შფოთიანი ატმოსფერო სუფევდა, ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი მოვლენების განვითარებას. მფარველი ედგარში ზრდასრულ ადამიანს ხედავდა, ამიტომაც მათი საუბარი კაცურ საქ-



ჯეინ სტენარდი

მის გარჩევას ემსგავსებოდა ხოლმე. ერთხელ ედგარმა საყვედური უთხრა აღმზრდელს "დედილო" ფრენსისის ღალატისთვის, ალანმა კი საპასუხოდ ნათქვამი სიტყვებით, სამუდამოდ ატკინა გული ყმაწვილს. ახლა უკვე ვიცით, რომ ეს სიტყვები მისის პოს შეურაცხმყოფელ, გამჭვირვალე მინიშნებას გულისხმობდა იმის შესახებ, თუ ვინ იყო ედგარის უმცროსი დის, როზალის ნამდვილი მამა. ადვილი წარმოსადგენია ედგარის რეაქცია... მაგრამ ალანის მიმართ დამოკიდებულება, პრინციპში, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ უცვლელი იყო; ედგარმა მცირე ხნით სულიც მოითქვა - მას ახალგაზრდა, ლამაზკულულებიანი გოგონა, სარა ელმირა როიტერი შეუყვარდა. მას უცნაური როლი უნდა ეთამაშა პოეტის ცხოვრებაში: სარა მალე გაქრა ედგარის გარემოცვიდან, რათა საბოლოოდ, თითქოს მკვდრეთით აღმდგარი, ისევ მის გვერდით აღმოჩენილიყო. მათი სიყვარული ჯერ კიდევ ჰყვაოდა და ელმირაც მხურვალედ პასუხობდა ედგარის გრძნობებს, რაც ძალზე დამახასიათებელი იყო ვირჯინიელი გოგონებისთვის. ჯონ ალანის გეგმებში სულაც არ შედიოდა ედგარისა და ელმირას ქორწინება, თანაც უნივერსიტეტში ჩაბარების დროც ახლოვდებოდა. უეჭველია, მას ჰქონდა საუბარი მისტერ როიტერთან, რასაც ბილწი და ვერაგული შეთანხმება მოჰყვა: ედგარისა და ელმირას წერილები "მამების" გავლით მიდიოდნენ ადრესატებამდე, თანაც გოგონა დროთა განმავლობაში დაარწმუნეს, რომ შეყვარებულმა იგი დაივიწყა და აიძულებდნენ, ცოლად გაჰყოლოდა ვინმე შელტონს - ალანისა და ელმირას მშობლების აზრით, ნამდვილი მეუღლე სწორედ მისნაირი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგომ მოხდება, ჯერ კი, 1826 წლის თებერვალში, ედგარი ემშვიდობება ფრენსისს და ჯონ ალანებს და უნივერსიტეტში მიემგზავრება სასწავლებლად. გზიდან მან წერილი მისწერა ელმირას და იგი გადასაცემად მეეტლეს ჩააბარა, რომელსაც ედგარი შარლოტსვილში მიჰყავდა. ეს წერილი, ალბათ უკანასკნელი იყო გოგონასთვის.

არსებობს მრავალი მოგონება პოს სტუდენტური ცხოვრების შესახებ და ისინი კარგად ხატავენ თავისუფლებისა და ანარქიის იმ კლიმატს, ახლადგახსნილ უნივერსიტეტში რომ სუფევდა. მისი დამაარსებელი, თომას ჯეფერსონი ხომ დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. ამ მოგონებებში ისიც კარგად ჩანს, თუ რა გავლენა მოახდინა უნივერსიტეტმა პოეტზე, კერძოდ კი ის, რომ მან კატალიზატორის როლი ითამაშა ედგარის ჯერ კიდევ ფარული, თუმცა კი უკვე შესამჩნევი მიდრეკილებებისთვის. სტუდენტები (როგორც წესი, მდიდარი ოჯახიშვილები) ბანქოს თამაშით, ქეიფით და დუელებით ირთობდნენ თავს. იღებდნენ ვალებს, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სასწავლო წლის ბოლოს მათი მშობლები დაფარავდნენ ამ თანხებს. ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა იქ ედგარს: ჯონ ალანი ძალზე მცირე თანხებს აგზავნიდა, იმდენად, რომ მას ყველაზე აუცილებლისთვისაც არ ჰყოფნიდა ფული. ედგარი ჯიუტად ცდილობდა, ისევე ეცხოვრა, როგორც მისი მეგობრები ცხოვრობდნენ. თუკი მოქმედების დროსა და ადგილს გავითვალისწინებთ, ამის წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს - თავად მფარველიც ხომ მას სოციალური წრის ჩვეულებითა



ჯეინ სტენარდის ვაჟი, ედგარის თანაკლასელი

და გარკვეული მატერიალური მოთხოვნილებების მიხედვით ზრდიდა. ერთი მხრივ, იგი მას საუკეთესო განათლებას აძლევდა, მეორე მხრივ კი - უარს ეუბნებოდა ფულზე, რომელიც საშუალებს მისცემდა ყმაწვილს, დამცირებულად არ ეგრძნო თავი სამხრეთელი ამხანაგების გვერდით - ამაში გამოჩნდა ჯონ ალანის არამხოლოდ სიძუნწე, არამედ სალი აზრის და საერთოდ, ჭკუის ნაკლებობაც. "შინ" მიწერილ ბარათებში ედგარი ხშირად ითხოვდა მცირე დამატებით თანხებს; იგი სკრუპულოზურად ინერებოდა თავისი დანახარჯების შესახებ, ცდილობდა ეჩვენებინა ალანისთვის, რომ მიღებული ფული ყველაზე ელემენტარულისთვისაც კი არ იყო საკმარისი. ადვილი წარმოსადგენია, რომ უკვე მაშინ, ალანი ედგარის თავიდან მოშორების გეგმებს აწყობდა; ამას დაერთო ფრენსისის ავადმყოფობაც და ალანი მიხვდა, რომ მომავალი გეგმების განხორციელებისთვის "შვილობილი" მხოლოდ დაბრკოლება იქნებოდა. და უნდა ითქვას, რომ ედგარის საუნივერსიტეტო ცხოვრება, მისი საქციელი, ალანის წისქვილზე ასხამდა წყალს. ყველაფერში უკიდურესობების მოყვარული, ედგარი მოკლებული იყო უნარს, სალად შეეფასებინა თავისი საქციელი და ამით ხელს უწყობდა კიდეც "მამობილს". ამას უნდა დავუმატოთ უიმედობაც: ელმირასგან პასუხი არ ისმოდა და ედგარი შიშობდა, რომ გოგონა დაივიწყებდა მას, ან როიტერებისა და ალანების რაღაც ხრიკები დააშორებდნენ საცოლეს. იმ პერიოდში გაუგო პომ გემო ალკოჰოლსაც: პო თამაშობდა, მუდამ აგებდა და სვამდა - რასაც უნივერსიტეტის ატმოსფეროც უწყობდა ხელს. ამასთან დაკავშირებით პუშკინს იხსენებენ ხოლმე - "რუს პოს". მაგრამ პუშკინს სპირტიანი სასმელი არაფერს ვნებდა, პოზე კი იგი თავიდანვე საშინელ, უცნაურ გავლენას ახდენდა და ყველაფერ ამას მხოლოდ ერთი მისაღები ახსნა მოეძებნება: ჰიპერმგრძნობელობა (იგი ცარიელი "ნერვების ხლართი" იყო) და მემკვიდრეობად მიღებული სნეულება. საკმარისი იყო, ერთი ჭიქა რომი დაელია (რომელსაც აუცილებლად სულმოუთქმელად სვამდა) და მყისვე საშინელი რეაქცია ეწყებოდა. კარგადაა ცნობილი, რომ ერთი ჭიქის შემდეგ საოცრად გონებაგახსნილი ხდებოდა: უეცრად გადაიქცეოდა ხოლმე ბრწყინვალე თანამოსაუბრედ, "წამიერ გენიოსად" და ამ დროს იგი საზოგადოების სულსა და გულს წარმოადგენდა. მეორე ჭიქაზე ედგარი ილეშებოდა, გამოფხიზლება კი ძალზე ხანგრძლივი და მტანჯველი იყო. ნორმალურ, ცხოვრებისეულ რიტმში ჩადგომას რამდენიმე დღე უნდებოდა... წვალობდა... ნუხდა... ბუნებრივია, ჩვიდმეტი წლის ასაკში ამის გადატანა გაცილებით ადვილი იყო, ოცდაათის შემდეგ კი ყველაფერი გართულდა. იმ პერიოდშივე, ბალტიმორსა და ნიუ იორკში, ამგვარი ეპიზოდების წყალობით იშვა ლეგენდა მის შესახებ - სამწუხაროდ, ყველაზე ცნობილი და გამძლე ლეგენდა.

ედგარი ბრწყინვალე სტუდენტი იყო. თანაკურსელთა მოგონებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი მა-



ლე იქცა ვირჯინიის ოქროს თაობის ინტელექტუალურ ლიდერად. უპრობლემოდ საუბრობდა კლასიკურ ენებზე და თარგმნიდა, გაკვეთილს ერთი წაკითხვით სწავლობდა, ავტორიტეტით სარგებლობდა მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის. ნთქავდა წიგნებს ისტორიის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, ასტრონომიის შესახებ. რა თქმა უნდა, ბევრს კითხულობდა ლექსებსა და რომანებს. ალანისადმი გაგზავნილი ბარათები საკმაოდ ცოცხლად ხატავს იმ საშიშ ატმოსფეროს, უნივერსიტეტში რომ იყო გამეფებული, სადაც შეიარაღებული სტუდენტები სახიფათო პაექრობებს აწყობდნენ, დარჩენილ დროს კი ან ბუნების წიაღში ატარებდნენ, ან უახლოეს დუქანში ქეიფობდნენ. და აი, ედგარის ვალებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა შეადგინეს, განრისხებულმა ალანმა კი გადაჭრით თქვა უარი მათ გადახდაზე. ედგარი იძულებული გახდა, მიეტოვებინა უნივერსიტეტი (იმ დროს, ვალის გადაუხდელობის გამო, ან ციხეში ამოგაყოფინებდნენ თავს, ან შტატიდან გაგაძევებდნენ), დაჩეხა მთელი ავეჯი თავის ოთახში და გამოსამშვიდობე-ბელი კოცონი ააგიზგიზა (1826 წლის დეკემბერი იყო). შინ თავის ამხანაგებთან ერთად დაბრუნდა - მათთვის არდადეგები იწყებოდა.

შემდგომ მოვლენები ძალზე სწრაფად განვითარდა. ძე შეცდომილს ფრენსისი, როგორც ყოველთვის, ალერსით შეხვდა, "ძვირფასი მამა" კი (ასე მიმართავდა ედგარი მას წერილებში) ბოღმით იხრჩობოდა, სასწავლო წლის შედეგებით უკმაყოფილო. თანაც, დაბრუნდა თუ არა რიჩმონდში, ედგარი მიხვდა, თუ რა დაემართა ელმირას, რომელიც წინდახედულმა მშობლებმა ქალაქიდან გაამგზავრეს. ბუნებრივია, ალანების სახლში ძალზე დაიძაბა ვითარება და ის მოჩვენებითი ჰარმონია, რომელიც შობის დღეებში სუფევდა, მალე დაირღვა. მამაკაცებს შორის შუღლმა ახალი ძალით იფეთქა. ალანი უარს ამბობდა ედგარის უნივერსიტეტში დაბრუნებაზე, არც სამსახურის შოვნაში ეხმარებოდა მას და ამასთანავე უსაქმურობაშიც სდებდა ბრალს "შვილობილს". პასუხად, ედგარმა მალულად გაგზავნა წერილი ფილადელფიაში, სამუშაო ადგილის თაობაზე. ეს რომ ალანმა გაიგო, თორმეტი საათი მისცა ედგარს მოსაფიქრებლად: იგი მის ნებას უნდა დამორჩილებოდა (ანუ იურისპრუდენციის სწავლა უნდა დაეწყო, ან სხვა, ნებისმიერი სასარგებლო საქმე მოეძებნა). ედგარი მთელი ღამე ფიქრობდა და გადაჭრით თქვა უარი ყველაფერზე; ამას საშინელი სცენა მოჰყვა ურთიერთშეურაცხყოფებით და დაუმორჩილებელმა მოზარდმა კარი გაიჯახუნა, წავიდა სახლიდან და ამით კიდევ უფრო განარისხა ჯონ ალანი. რამდენიმე საათი ედგარი ქალაქში დახეტიალობდა, შემდეგ რომელიღაც დუქნიდან წერილი გაგზავნა "შინ", რათა გადაეცათ მისთვის სამგზავრო სკივრი და ფული ნიუ-იორკში გასამგზავრებლად. ალანმა უპასუხოდ დატოვა ბარათი. ედგარმა მეორეჯერ მისწერა, რასაც იგივე შედეგი მოჰყვა. საბოლოოდ "დედამ" მოახერხა მისთვის სკივრისა და ცოტაოდენი ფულის გაგზავნა, ალანი კი თავისდა გასაკვირად, დარწმუნდა, რომ შიმშილმა და განსაცდელმა ვერ გატეხა ედგარი. ბედნიერების საძიებლად ედგარი ბოსტონში გაემგზავრა გემით და 1827-1829 წლებს შორის, მის შესახებ არავის არაფერი სმენია. დაუცხრომელი ბიოგრაფები ათასი ფანტასტიკური ამბით შეავსებენ ამ სიცარიელეს - ოკეანის მიღმა, რუსეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ინგლისსა და საფრანგეთში მოგზაურობა იქნება ეს, თუ სხვა, უფრო დაუჯერებელი ისტორია. ნათელია, რომ მათ - სიკვდილის შემდეგაც კი - თავად ედგარი ეხმარებოდა, იგი ხომ უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ცხოვრების გასალამაზებლად რომანტიული დეტალების გამოგონებით იყო დაკავებული. დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ იგი არასდროს გაცილებია შეერთებული შტატების საზღვრებს.

ჩავიდა თუ არა ბოსტონში, სრულიად შემთხვევით გაიცნო ტიპოგრაფიის ახალგაზრდა მფლობელი, ვისი წყალობითაც, თავისი პირველი წიგნი გამოსცა - "თემურლენგი და სხვა ლექსები" (1827 წელი). წინასიტყვაობაში იგი ამტკიცებდა, რომ წიგნში შესული ყველა ლექსი 14 წლამდე დაწერა. ე.ი. როგორც ჩანს, უკვე სიყმაწვილეში შეეძლო მას რაღაც განსაკუთრებული სიტყვების, მომნუსხველი ინტონაციების მოძიება, აგნებდა ზღვრულ სივრცეებს რეალურსა და ირეალურ სამყაროებს შორის - ანუ იგი უკვე პოეტი იყო. დანარჩენი, გამოუცდელობა და გულახდილობა იყო.

რა თქმა უნდა, წიგნი საერთოდ არ იყიდებოდა.

ედგარს იმდენად გაუჭირდა, რომ ძალზე ორაზროვანი ნაბიჯი გადადგა - არმიაში რიგით ჯარისკაცად ჩაეწერა. იგი გადარჩენისთვის იბრძოდა და ხანდახან სევდიან მზერას ავლებდა ხოლმე საკუთარ არსებას. თუმცა არც ის გამოპარვია არასოდეს, რაც მის გარშემო ხდებოდა. ასე შეაგროვა მან მასალები მომავალი "ოქროს ხოჭოსთვის" - გამოადგა ფერწერული დეკორაციებიც, კაროლინაში, ფორტ მოულტროში რომ ნახა.

აქ მან დიდი ხანი გაატარა და აქვე გამოეთხოვა იგი სამუდამოდ თავის სიჭაბუკეს.

თარგმნა

შალვა მიზანდარმა

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ხრიდი



სარა ელმირა როისტერი 60-იანი წლების ფოტოსურათი

**ზაალ დგებუაძე**

# "...სხვათა დღესასწაულზე..."

დღეს ხალავოდ არ ითვლება თვალსაზრისი: ადამიანურ არსებათა ბუნებაში ჩადებულია მოთხოვნილება დროდადრო დიდ ჯგუფებად გაერთიანდნენ და წარმოქმნან მასა. XX საუკუნის სოციოლოგიასა თუ ფილოსოფიაში ეს მოვლენა ღრმად არის დამუშავებული და ჩვენი სტატიის ფარგლებში მასზე რაიმენიმე ზედაპირული ფრაზით შეჩერება არ ღირს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს მისწრაფება, როგორც ჩანს, ზოგადკაცობრიული ხასიათისაა და მის საფუძველს მნიშვნელოვანწილად გაუცნობიერებელი, ირაციონალური ფაქტორები შეადგენს.

ზოგჯერ მასად ქცევის მოთხოვნილება, პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზეზების გავლენით, სტიქიური ძალით ეუფლება ხოლმე მოსახლეობის უფართოეს ფენებს. ასეთ დროს მასის მოქმედება უმართავი და არაპროგნოზირებადია. ჩვეულებრივ კი მასად ქცევის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სახალხო და სახელმწიფო დღესასწაულების მეშვეობით ხდება. ამ დროს მასა მართვადია.

ამდენად, დღესასწაულის გამართვა, თვით უკიდურესი სიდუხჭირის პირობებშიც კი, არც ისეთი უაზრო რამ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ, რა ტიპის დღესასწაული იმართება - აღრევას ამ სფეროშიც კარგი არაფერი მოაქვს. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო და სახალხო დღესასწაულები, თავისი ბუნებით, დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან.

სახელმწიფო დღესასწაულზე ქვეყნის ხელისუფლება ახდენს: ა) ქვეყნის სამხედრო ან ეკონომიკური პოტენციალის დემონსტრირებას საკუთარი მოსახლეობის ან სხვა ქვეყნების წინაშე; ბ) ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობის დემონსტრირებას; გ) ძალისმიერი სტრუქტურების ხელისუფლებისადმი ერთგულების დემონსტრირებას. სახელმწიფო დღესასწაულები გულმოდგინედ არის ორგანიზებული. მათი მნიშვნელოვანი ნაწილია სამხედრო ძალების აღლუმი, ხელისუფალთა მიერ ქვეყნის სხვადასხვა მიღწევათა "დათვალიერება" (ე.ი. მეწარმეების, მშენებლების, რეგიონების ერთგვარი ანგარიში ხელისუფლების წინაშე), შესაძლოა, ტრიბუნის წინ საგანგებოდ ამ მიზნით შეკრებილი ხალხიც ჩაატარონ და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო დღესასწაულში მთავარ როლს ასრულებს ქვეყნის ხელისუფლება, ხალხი კი მხოლოდ იდეოლოგიური ზემოქმედების ობიექტს წარმოადგენს და აუცილებელ, მაგრამ მეორეხარისხოვან ფონს ქმნის. სახელმწიფო დღესასწაულის თარიღი ნებისმიერად შეიძლება დაწესდეს და სულაც არ არის აუცილებელი მას წინ ხანგრძლივი ტრადიცია უძღოდეს. ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, კონსტიტუციის მიღების, მნიშვნელოვანი სამხედრო გამარჯვების დღე, ან სულაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის დაბადების დღე და ა.შ.

სულ სხვაგვარია სახალხო დღესასწაულები. მათი გამართვის ვადები, ჩვეულებრივ, საკმაოდ ხანგრძლივ ტრადიციასთან არის დაკავშირებული (კარნავალები ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში, ჩვენში - XX საუკუნის დასაწყისამდე მოღწეული "ყეენობები", აგრეთვე ამა თუ იმ ეკლესიის დღეობები, ხატობები მთაში, რომელთა ფუნქცია მხოლოდ რელიგიური მხარით არ ამოიწურებოდა და საერო ელემენტებსაც მრავლად შეიცავდა). სახალხო დღესასწაულს აქვს თავისი ტრადიციით განსაზღვრული (თუმცა, ცხადია, თანდათანობით ცვალებადი) ფორმები, რომლებიც მონაწილეთა სურვილებსა და იმედებს სავსებით შეესაბამება და აკმაყოფილებს. ხელისუფლების ჩარევა, როგორც წესი, მინიმალურია. ის შეიძლება ნებაყოფლობითი დამხმარის ან ერთ-ერთი რიგითი მონაწილის როლს ასრულებდეს.

თბილისობის მთავარი თავისებურება და ნაკლი ის არის, რომ იგი დააწესა სახელმწიფო ხელისუფლებამ, მაგრამ არა-როგორც სახელმწიფო, არამედ როგორც სახალხო დღესასწაული. სწორედ ამით აიხსნება, რომ მან თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში ვერ მიიღო რამდენადმე მაინც ჩამოყალიბებული ფორმა და უამრავი ადამიანის რაღაც უფუნქციო და სრულიად გაურკვეველი მიზნის მქონე თავშეყრად დარჩა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა წელს დღესასწაულის აქცენტებს ქალაქის მერად მყოფი პიროვნების გემოვნება განსაზღვრავდა (რაც წარმოუდგენელია ნამდვილი სახალხო დღესასწაულის შემთხვევაში): 80-იანი წლების თბილისობები ნიშანდობლივი იყო თავისი ბუტაფორიული კიოსკებითა და ამავე ღირსების სხვა "ძველთბილისური" აქსესუარებით; 90-იან წლებში დღესასწაულის განახლების შემდეგ, ნ. ლეკიშვილის მერობისას, მთავარი თბილისობაში მდიდარი საკონცერტო პროგრამა იყო - რუსთაველის პროსპექტის ლამის ერთი მტკაველიც არ იყო დარჩენილი, სადაც რომელიმე ფოლკლორული, საესტრადო ან თეატრალური კოლექტივი არ გამოდიოდა; ბ. შოშიტაიშვილმა ყურადღება მრეწველობის მიღწევათა გამოფენა-დათვალიერებაზე გადაიტანა; ვ. ზოდელავამ - სამშენებლო ობიექტების დასრულებაზე. და კიდევ, ყველა თბილისობის შემადგენელი ნაწილი იყო ბაზრობა - საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოყვანილი გლეხები ქალაქში თავიანთ ჭირნახულს ყიდდნენ.

მოკლედ შევჩერდები დღესასწაულის შემადგენელ თითოეულ ამ ელემენტზე:

1. **მრეწველობის და მშენებლობის მიღწევათა დათვალიერება.** ამ ელემენტს სახალხო დღესასწაულთან, შეიძლება ითქვას, არანაირი კავშირი არა აქვს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხდება ა) **სკულპტურის** ან ბ) **რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნაგებობის საზეიმო გახსნა.** რადგან, სხვა შემთხვევებში, ეს არის, უბრალოდ, საწარმოთა ხელმძღვანელების ან ადგილობრივი ადმინისტრაციის ორგანოების ანგარიში სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე. ქვეყნის ნამდვილ მიღწევებს მრეწველობის ან მშენებლობის სფეროში მოსახლეობა უცდომლად გრძნობს საკუთარი ჯიბისა და ყოფითი მდგომარეობის მიხედვით.

რაც შეეხება სკულპტურის ან ნაგებობის გახსნას, ეს მოვლენა შეიძლება იქცეს სახალხო დღესასწაულის მნიშვნელოვან ნაწილად, მაგრამ ამისთვის აუცილებელია: ა) ძეგლს ჰქონდეს რაღაც იმ პერიოდისთვის საერთო ეროვნული მნიშვნელობის მქონე შინაარსი, - იდეოლოგიური დატვირთვა, - და მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის მისაღები და მოსაწონი ფორმა. ბ) ნაგებობას უნდა ჰქონდეს საყოველთაო, საერთო-სახალხო დანიშნულება და ზოგადსახელმწიფოებრივი თუ არა, საქალაქო ან თუნდაც საუბნო მნიშვნელობა. რა შეიძლება იყოს ეს? - ვთქვათ ხიდი იქ, სადაც მისი მძაფრი საჭიროება არსებობდა და უხიდობის გამო გატანჯული იყო ხალხი; არხი ან თუნდაც წყარო იქ, სადაც მანამდე არ იყო წყალი; ტაძარი იქ, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკლესიურად იყო განწყობილი, მაგრამ არ ჰქონდა ეკლესია და ა.შ. უნდა ითქვას, რომ პირველ თბილისობებზე ქალაქის ძველი უბნების რესტავრაციას, მიუხედავად იმისა, სპეციალისტებისთვის რამდენად მისაღები ფორმით ხორციელდებოდა იგი, ნამდვილად ჰქონდა სახალხო მნიშვნელობა.

2. **ბაზრობა ("პური").** თავისთავად, საგანგებო ბაზრობა, სადაც თუნდაც წელიწადში ერთხელ ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად უხვად "დაიყრება" ხორაგეული, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ხალხისთვის საყოველთაო სიხარულისა და ზეიმის განწყობილების შესაქმნელად, რადგან მასის ძირითადი მოთხოვნები საუკუნეთა განმავლობაში არ იცვლება და დღესაც ამომწურავად შეიძლება გადმოიცეს უძველესი ორსიტყვიანი ლოზუნგით: "პური და სანახაობა".

ცხადია, ამგვარი ბაზრობა, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის შეიძლება იყოს გამიზნული, რადგან ძნელი წარმოსადგენია, საკვები პროდუქტების წელიწადში ერთხელ თუნდაც მნიშვნელოვანმა გაიაფებამ ოჯახის კეთილდღეობაზე და წლიურ ბიუჯეტზე რაღაც რეალური გავლენა მოახდინოს.

**რაც შეეხება მოედნებსა თუ ქუჩებში გაშლილ სუფრებს, მაყალზე აშიშხინებულ მწვადს და ა.შ. მისი მუშტარი ძირითადად ისევ ის ხალხია, რომელიც სხვა დღეებშიც სამწვადე-სახინკლეების ხშირი სტუმარია (სხვადასხვაგვარი რესტორნების ნაკლებობას კი თბილისი ნამდვილად არ განიცდის) და რომლისთვისაც ოდნავ სიიაფესა თუ სიძვირეს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო თუ ვინმე ისეთიც მიუჯდა მაგიდას, ვინც სადაგ დღეებში თავს სამწვადეში შესვლის უფლებას ვერ მისცემს, პურისჭამას იმის შეგნება ჩაამწარებს, რომ ეს სიამოვნება, თავისი გაფხეკილი ჯიბის კვალობაზე, მეტისმეტად ძვირი უჯდება.**

ასეთი ფსიქოლოგიური თერაპია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმეა. თუ საკვები [illegible] ყოველ დღესასწაულზე სულ უფრო მეტად იაფდება, ხალხს უჩნდება რწმენა, რომ ა) მისი სახელმწიფო ნელა, მაგრამ შეუჩერებლად მიემართება საყოველთაო სიმდიდრისა და კეთილდღეობისაკენ - მიწიერი სამოთხის ამ ილუზიისა თუ მირაჟისკენ; ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბ) რომ საკუთარ ქვეყანაში წელიწადში ერთხელ მაინც შეუძლია იგრძნოს ამ მიწიერი სამოთხის მცირე მოდელი; ე.ი. საბოლოო ჯამში, ჩნდება სახელმწიფოსადმი რწმენა და იმედი. ოღონდ, ამგვარი ფსიქოლოგიური ეფექტისთვის აუცილებელია, გაიაფება იყოს მნიშვნელოვანი და ყველასთვის უეჭველი, ანუ მეტად თვალსაჩინო.

ამ თვალსაზრისით რა ხდება რეალურად თბილისობაზე? - ამ დღეს სოფლებიდან ჩამოტანილი პროდუქტები ნამდვილად არის რამდენადმე უფრო იაფი, ვიდრე თბილისის ბაზრებში, - თუნდაც იმიტომ, რომ გადამყიდველთა ხელში არ ხვდება, - მაგრამ ფასთა შორის სხვაობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ დიდ სიხარულსა და ენთუზიაზმს ნამდვილად ვერ აღძრავს. უფრო მეტიც, "ერთდღიანი მცირე სამოთხის" გაცრუებული მოლოდინი ზოგჯერ უკმაყოფილებასაც კი იწვევს ("მე ნამდვილი სიიაფის იმედი მქონდა...").

რაც შეეხება მოედნებსა თუ ქუჩებში გაშლილ სუფრებს, მაყალზე აშიშხინებულ მწვადს და ა.შ. მისი მუშტარი ძირითადად ისევ ის ხალხია, რომელიც სხვა დღეებშიც სამწვადე-სახინკლეების ხშირი სტუმარია (სხვადასხვაგვარი რესტორნების ნაკლებობას კი თბილისი ნამდვილად არ განიცდის) და რომლისთვისაც ოდნავ სიიაფესა თუ სიძვირეს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო თუ ვინმე ისეთიც მიუჯდა მაგიდას, ვინც სადაგ დღეებში თავს სამწვადეში შესვლის უფლებას ვერ მისცემს, პურისჭამას იმის შეგნება ჩაამწარებს, რომ ეს სიამოვნება, თავისი გაფხეკილი ჯიბის კვალობაზე, მეტისმეტად ძვირი უჯდება.

ასე რომ, ბაზრობაზე მისული ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს, მიუხედავად იმისა, ვინ რისი ყიდვა შეძლო, რჩება უსიამოვნო განცდა, რომ ისინი მოხვდნენ სხვათა დღესასწაულზე, რომელიც მათთვის არასდროს დაიწყება.

3. **სანახაობა.** ბოლო წლებში საკონცერტო პროგრამა ერთადერთხელ იყო რამდენადმე დამაკმაყოფილებელი (თუ არ ვცდები, დღესასწაულის განახლების წელს), სხვა შემთხვევებში კი - დამთრგუნველად ულიმღამო.

არადა, სახელმწიფო ან საქალაქო ხელისუფლება, რომელიც სადღესასწაულოდ უყრის თავს მოსახლეობას, მერე კი ფაქტობრივად იძულებულს ხდის მას, ქუჩაში უყუროს და უსმინოს ისეთ კოლექტივებს, რომელთა კონცერტზე, ქუდიც რომ შეგვეგდო, არავინ შევიდოდა, ამით ან საკუთარ უგემოვნებას გამოფენს საჯაროდ, ან თავის შეურაცხმყოფელად აგდებულ დამოკიდებულებას ხალხისადმი.

* * *

და ბოლოს, დღესასწაულის **მიზნის** შესახებ.

წელს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თბილისობის მიზანი თავიდანვე ასე იყო განსაზღვრული: ერთად შეკრებილიყო მთელი საქართველო და თავისი ერთიანობა დაედასტურებინა.

ასეთ შემთხვევაში მთავარია, რა ერთიანობაზეა საუბარი: თუ თბილისობაზე დედაქალაქისა და რეგიონების მოსახლეობამ, მთელმა საქართველომ უნდა დაადასტუროს ერთიანობა, ეს როგორც ეროვნული, ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით საჭირო და სასარგებლო მიზანია, მაგრამ დღესასწაულის დღევანდელი ფორმები მისი გან-

ხორციელების საშუალებას არ იძლევა. ასეთივე დონის "ერთიანობა" ნებისმიერ დღეს შეიძლება იხილოთ თბილისის ვაგზლის მახლობლად გამართულ ბაზრობაზე.

ხოლო თუ ამ დღეს რეგიონების ხელმძღვანელები ადასტურებენ თავიანთ "ერთიანობას" უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებასთან, ამისთვის სახალხო დღესასწაულის გამართვა არ ღირს, რადგან მიზნისა და საშუალების შეუსაბამობა უამრავ უხერხულ მომენტს წარმოშობს.

ერთი მაგალითი: რამდენიმე წლის წინ მე თვითონ შევესწარი ამგვარ სურათს: რიყეზე გამართულ ბუტაფორულ და ფსევდოეთნოგრაფიულ "საქართველოში" რაიონებიდან ჩამოყვანილი ფოლკლორული ანსამბლები მხოლოდ პრეზიდენტის გამოჩენისას იწყებდნენ ცეკვა-სიმღერას, რომელიც მაშინვე წყდებოდა, როგორც კი უმაღლესი ხელისუფალი ჩაივლიდა და თავს მისი ხილვადობა-სმენადობის არეალს გარეთ დაიგულებდნენ. საინტერესოა, ხვდებოდნენ კი რაიონულ დელეგაციათა ხელმძღვანელები, რამდენად შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ ისინი ამგვარი ქმედებით რიყეზე საზეიმოდ თავშეყრილი ხალხისადმი, რომელთან ერთიანობის დასადასტურებლადაც იყვნენ დღესასწაულზე ჩამოსულები?!

**რიყეზე გამართულ ბუტაფორულ და ფსევდოეთნოგრაფიულ "საქართველოში" რაიონებიდან ჩამოყვანილი ფოლკლორული ანსამბლები მხოლოდ პრეზიდენტის გამოჩენისას იწყებდნენ ცეკვა-სიმღერას, რომელიც მაშინვე წყდებოდა, როგორც კი უმაღლესი ხელისუფალი ჩაივლიდა და თავს მისი ხილვადობა-სმენადობის არეალს გარეთ დაიგულებდნენ. საინტერესოა, ხვდებოდნენ კი რაიონულ დელეგაციათა ხელმძღვანელები, რამდენად შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ ისინი ამგვარი ქმედებით რიყეზე საზეიმოდ თავშეყრილი ხალხისადმი, რომელთან ერთიანობის დასადასტურებლადაც იყვნენ დღესასწაულზე ჩამოსულები?!**

ამ შემთხვევაში ვერმიხვედრა ქვეყნის ხელისუფლების ამ რგოლის გონებრივი და ზნეობრივი სიჩლუნგის ნიშანია, თუ ხვდებოდნენ და ფეხებზე ეკიდათ - მით უარესი.

დასასრულ ვიტყვი: თბილისობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა შეიძლება გახდეს, თუკი ნაწილობრივ მაინც განხორციელდება მისი დეკლარირებული მიზანი. ოღონდ, ამისთვის აუცილებელია იგი ძირეულად გარდაიქმნას.

როგორ უნდა დაადასტუროს ამ დღეს მთელი საქართველოს ხალხმა თავისი ერთიანობა? როგორ უნდა მიიღოს ამ სახელმწიფო დღესასწაულმა ნამდვილად სახალხო შინაარსი? - ეს ცალკე მსჯელობის საგანია. მე მოკლე შენიშვნით შემოვიფარგლები:

თუ სახელმწიფო ასეთი დღესასწაულის გამართვას კისრულობს, მან, უწინარეს ყოვლისა, იმაზე უნდა იზრუნოს, რომ "პური" იყოს ბევრი და ყველასთვის ხელმისაწვდომი, ხოლო სანახაობა - მაღალხარისხოვანი და ნამდვილი სიხარულის მომტანი.

და კიდევ, იმისთვის, რომ საქართველოს კუთხეები თავიანთ ერთიანობას ადასტურებდნენ, აუცილებელია, ამ დღეს ჯერ მათმა შემკრებმა ხელისუფლებამ დაადასტუროს თავისი ერთიანობა ყველასთან და, რამდენადაც ამის შესაძლებლობას უსაფრთხოების ნორმები მისცემს, იქცეს დღესასწაულის ერთ რიგით მონაწილედ, მოზეიმე ხალხის ერთ უმნიშვნელო, სხვათაგან გაურჩეველ ნაწილად. მოსახლეობას უნდა შეექმნას რწმენა, რომ ამ ძვირადღირებულ დღესასწაულს ხელისუფლება საკუთარ თავს კი არა, სწორედ ხალხს უმართავს. თანაც, ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ხელისუფლების ფაქტობრივად ყველა რგოლის დრომოჭმული ბიუროკრატულ-კომკავშირული მენტალიტეტის ახალი ვითარების შესაბამისად გარდაქმნის გზაზე.



ზაზა მოდებაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატიანის ჯიბის ჰაერი

*4 ნოემბერს კლუბ "სარდაფში" შედგა ზვიად რატიანის პოეტური კრებულის - "ჯიბის ჰაერის" პრეზენტაცია.*



## მაგიდა იყო "კალბასიანი", არაყს ქლაპავდა ზვიად რატიანი

ჩვენი გამოცდილებიდან კარგად ვიცოდი, თუ რა გველოდა ლიტერატურულ ბუნკერში, ამიტომ მივაფურთხეთ ეშმაკს და "არილის" რედაქციაში აცრა ჩავიტარეთ. ავტორთან ერთად არაყი, ლუდი და ძეხვი მივირთვით. ასე უფრო ადვილია იმ სარდაფში გაძლება, სადაც ნიკოტინი ფილტვის კიბოს აჩრდილებს ეარშიყება.

მზე და ჩვენი პოეტი გოგონები ძალიან უხდებოდნენ იმ დღეს. თანაც ყველაფერი ზვიადის საპატივცემლოდ ილიმებოდა და მისი ალალი თვალების ფონზე ონავარ სიმკვეთრეს იძენდა. საზეიმო განწყობილება არაყს კლანჭებს აჭრიდა და ფაფუკ თათებად აქცევდა.

ბოლოს იმუნური სისტემაც გამაგრდა და პრეზენტაციის დროც მოვიდა.

წავედით.

## გზა იყო მშვიდი და ხალხიანი, "პაპკაში" იჯდა ზვიად რატიანი

ჩვენ მრავალტანჯული არილელები თანამგზავრზე გასული პირველი ქართული არხის ვარსკვლავებივით მივიჯგუფებოდით რუსთაველზე და ერთმანეთს თვალებში სიხარულს ვაჭყიტებდით. არ ჩანდა მხოლოდ რატიანის ციმციმა, რომელსაც უწონობაში მყოფმა პატრონმა ანთება არ აღირსა. თუმცა, რაში სჭირდებოდა. ის დღე მისი იყო და ის გზაც იმიტომ ითმენდა მისი

"ტრაქტორების" ბრახაბრუხს.
მივედით.

## სულაკა იყო ბაკურიანი, სარდაფს უგლვერდა ზვიად რატიანი

სარდაფში იყვნენ: თამაზ ჩხენკელი, ლია სტურუა, გურამ დოჩანაშვილი, ნუგზარ შატაიძე, ბესიკ ხარანაული, გივი ალხაზიშვილი და სხვა პატიოსანი საზოგადოება, რომლის ფერხთით იატაკზე მოკალათებული იყო არანაკლებ ღირსეული ახალგაზრდობა: პოეტები, მწერლები, ლიტერატურის მოყვარულები, უბრალოდ მეგობრები და კოტე ყუბანეიშვილი; და ყველა იყო თაყვანისცემის გამოსახატავად მოსული, მაგრამ რატიანს ღიმილი "პაპკაში" დარჩენოდა და მთელი ძალაუფლება წარბებისთვის დაეთმო. ისინი კი "დვორნიკებივით" მოძრაობდნენ და ხან იბღვირებოდნენ, ხანაც პიერობდნენ.

პრეზენტაცია ბაკურ სულაკაურმა გახსნა და აღნიშნა, რომ რატიანის წიგნი მისი გამომცემლობის პირველი პოეტური კრებულია.

"წელიწადში 40 წიგნს ვუშვებთ და ეს არის პირველი პოეტური კრებული. პოეზიაში არაფერი გამეგება, მაგრამ ვიცოდი, რომ ამ წიგნის გამოცემისა არ შემრცხვებოდა, – განაგრძობდა სულაკაური, – მე არ მწამს ლექსის, რომელსაც ათასობით ადამიანი იზეპირებს და იმეორებს. მე მწამს პოეზიის, რომელიც ასი კაცის გულში ტრიალებს".

ასე გამჟღავნდა გამომცემლის კეთილშობილური მიზანი, დახლები ახალგაზრდა პოეტების წიგნებით გაავსოს. საწინააღმდეგო აზრი მხოლოდ კოტე ყუბანეიშვილმა გამოთქვა, თუ პოეზია არ გესმის, ლექსების გამოცემას თავი გაანებეო და დაიყოლია კიდეც სულაკაური. ამან ალაშფოთა შოთა იათაშვილი, რას ამბობ კაცო, ძლივს დაიწყოო.

დაიწყო.

## პუბლიკა იყო ყურებიანი, ლექსს კითხულობდა ზვიად რატიანი

ამასობაში ლექსების კითხვის დროც მოვიდა. ზვიად რატიანმა დაიწყო "მამებით" – ლექსით ჩვენს თავჩაქინდრულ მამებზე, ჯიბის ჰაერის ლაურეატებზე.

ლექსის კითხვის დროს მორიდებულ ხელოვანში აგრესიული თავდამსხმელი იღვიძებდა. პოეტი მარცხენა თვალს ხელით იფარავდა, მარჯვენა თვალით მსმენელს მიზანში იღებდა, ფეხით პედალს აწვებოდა, მარჯვენა ხელს მეტყვიამფრქვევესავით აკანკალებდა და დარბაზს ცხრილავდა. პირველად გურამ დოჩანაშვილი დაიჭრა: "ამიერიდან მშვიდად მოვკვდები, იმიტომ, რომ ქვეყანაზე ჩემი საყვარელი რჩება. ულრმესი მადლობა, რომ მშვიდად სიკვდილის თავისუფლება მომეცი... ჩვენს შორის მეფე რომელია?!" – ამ სიტყვებზე რატიანი წამოდგა.

## მწერალი იყო პატივიანი, თავს ევლებოდა ზვიად რატიანი

ზვიად რატიანი სათუთად მოეხვია გურამ დოჩანაშვილს და დიდი მადლობა გადაუხადა. თუმცა, ეს არც კითხვაზე პასუხი იყო და არც მშვიდად სიკვდილის ნებართვა. ეს იყო რიდად გადაქცეული სიხარული, რომელიც თვალებით ამბობდა, ჩემი ბრალი არ არის, რომ ლექსი დავწერე, სულაკაურმა გამოსცა, პრეზენტაცია მოაწყო, სადაც დაგპატიჟეთო.

სხვათა შორის, რატიანის გაუბედავი საქციელი, მისივე თქმით, სწორედ იმ მწერლების შეწუხებით იყო გამოწვეული, რომელთაც პოეტი ბავშვობიდან ეთაყვანებოდა. სწორედ მათი დამსახურებაა რატიანის პოეტიკა, კერძოდ, ბესიკ ხარანაულისა, რომლის პოეზიის კითხვისას ზვიადს საბოლოოდ გადაუწყვეტია ლექსების წერა.

## საფლავში იყო მოდილიანი, სევდას ბოჭავდა ზვიად რატიანი

გახსოვთ "მონპარნასი 19", როგორ დაშიმშილობდა ბარებში შედევრებგაწვდილი მოდილიანი, იხვეწებოდა, იყიდეთ მოდილიანი 5 ფრანკადო და მყიდველს ვერ პოულობდა... ისე მოკვდა, რომ ჯიბის ჰაერი 5 ფრანკითაც კი ვერ შეავიწროვა. სამაგიეროდ თავისი სევდა შეუერთა ჯიბის ჰაერთან ბრძოლაში ამ ქვეყნად დამარცხებულ სხვა ხელოვანთა სევდას და დროში გაუშვა. რატიანმა ეს სევდა მიიღო და გაატარა, რაც წიგნების დარიგებითაც დადასტურდა.

ბაკურ სულაკაურმა თქვა, პირველი შემთხვევაა, როცა წიგნებს უფასოდ ვარიგებთო. "ნამდვილი პოეზია სწორედ ასე უნდა ვრცელდებოდეს. წიგნების დარიგება კარგი ტრადიციაა", – ეს უკვე გივი ალხაზიშვილი იყო – მაშველი რგოლი. მაგრამ ბაკურ სულაკაურს ისე გაეცინა, ყველა მიხვდა, რომ ეს ფაქტი პირველი და უკანასკნელი იყო, რომ ზვიად რატიანს ბედმა გაუღიმა.

მოკლედ, ჯიბის ჰაერი კვლავ არავის შეუწუხებია.

## ქალები იყვნენ ჩექმებიანი, ავტოგრაფობდა ზვიად რატიანი

წიგნების დარიგებით დამთავრდა პროზაულ-პოეტური დიალოგი გამომცემელსა და ავტორს შორის. წიგნების ბედნიერი მფლობელები რატიანს ავტოგრაფებისთვის შემოეხვივნენ და როგორც იქნა, ამოძვრა "პაპკიდან" ღიმილი.

**P.S. "არილის" ნომერი, რომელშიც ეს მასალა უნდა დაბეჭდილიყო, არ გამოვიდა და ესეც ჯიბის ჰაერის ბრალი იყო.**

არილი





2000 წლის „ბუკერის“ პრემიის ლაურეატი

**მარგარეტ ეტვუდი**

მასალები მარგარეტ ეტვუდის შესახებ იხილეთ „არილის“ მომდევნო ნომერში

**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE

№ 80/2

იხილეთ რევაზ სირაძის სტა

ეროვნული ბიბლიოთეკა





[illegible]

[illegible]

[illegible]